

სახელმძღვანელო

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის
სტუდენტებისათვის

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი

ისტორია

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2017

ენობრივი კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

პროექტი

**„არაქართულენოვან სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის სრული
(ბეჭდურ-ელექტრონული) პაკეტი“**



**OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო**

გამოცემულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material

ავტორი: ჭაბუკი ქირია

კონცეფციის ავტორები: კახა გაბუნია, ჭაბუკი ქირია

რედაქტორი: ქეთევან გოჩიტაშვილი

ISBN

თემა 1. ადამიანის წარმოშობა. ქვის ხანა

სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის შესახებ არსებობს **ევოლუციური** და **კრეაციული** თეორიები. კრეაციული თეორიით, სამყაროს, დედამიწის და სიცოცხლის წარმოშობა ღვთის შემოქმედების შედეგია. კრეაციონიზმი დამახასიათებელია იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამისთვის.

კრეაციულ თეორიას უპირისპირდება **ევოლუციონიზმი**. „ევოლუციური თეორიის“ მიხედვით, ცოცხალი სამყაროს, მათ შორის, ადამიანის დღევანდელი სახეობა უფრო მარტივი ორგანიზმების თანდათანობითი განვითარების პროცესის (ევოლუციის) შედეგად ჩამოყალიბდა.

ევოლუციური თეორიის ფუძემდებელია XIX საუკუნის ინგლისელი მეცნიერი **ჩარლზ დარვინი**. მისი შეხედულებები სრული სახით არის გადმოცემული 1859 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „სახეობათა წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით, ანუ უკეთ შეგუებული ჯიშების გადარჩენა სიცოცხლისათვის ბრძოლაში“.

ევოლუციური თეორიის მიხედვით, ადამიანის შორეული წინაპარი დაახლოებით ორნახევარი მილიონი წლის წინ გაჩნდა ცენტრალურ აფრიკაში. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ამ კონტინენტზე უკვე მცხოვრებ სხვა პრიმატებისაგან, მათ შორის გამართულად მოსიარულე მაიმუნებისაგან („ავსტრალოპითეკებისაგან“). მათთან შედარებით ადამიანის წინაპარი – „ჰომოჰაბილისი“ ფიზიკურადაც დიდი იყო და უფრო რთული აგებულების ტვინი ჰქონდა.

დაახლოებით ორი მილიონი წლის წინ დაიწყო ადამიანის წინაპრების გადასახლება აფრიკიდან სხვა ტერიტორიებზე. გადასახლების შესაძლო მიზეზებად ისტორიკოსები ასახელებენ ადამიანების გამრავლებას და კლიმატის (ბუნებრივი ვარემოს) ცვლილებას.

აფრიკიდან ევრაზიაში წამოსული „ჰომოერექტუსის“ უძველესი კვალი საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, დმანისშია მიგნებული. 1999 წელს აქ აღმოჩენილი თავის ქალის ფრაგმენტები დაახლოებით მილიონ-რვაასი ათასი წლით თარიღდება. ნაპოვნი ძვლების საფუძველზე მეცნიერებმა შეძლეს „დმანისელი ადამიანის“ პირვანდელი სახის აღდგენა. შემდეგ სახელებიც შეურჩიეს და ქალს **მზია**, მამაკაცს კი **ზებვა** დაარქვეს.

დმანისში აღმოჩენილი მღვდრის სიმაღლეა 150 სმ. თავის ქალა ნაკლებ განვითარებულია და ტვინის მოცულობაც თანამედროვე ადამიანისას ორჯერ ჩამოუვარდება... დმანისელი შემგროვებლობასა და პატარა ცხოველებზე ნადირობას ეწეოდა.

დმანისში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ცხოველთა ნაშთებიც. ესენია: ცხენი, ანტილოპა, სპილო, მგელი, მარტორქა, აფთარი, ყირაფი, ირემი, სირაქლემა, ცხვარი და სხვა. ამ ცხოველთაგან ზოგიერთი სიტბოს მოყვარულია და დღესდღეობით კავკასიაში აღარ ბინადრობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძველად დმანისის მიდამოებში უფრო თბილი კლიმატი იყო. სწორედ ამან შეაძლებინა „მზიას“, „ზებვას“ და მათ შთამომავლებს, ეცხოვრათ დღევანდელი საქართველოს სამხრეთ ტერიტორიებზე.

„დმანისელი ადამიანში“ და, ზოგადად, ჰომოერექტუსთა პოპულაციაში არსებობდა სოციალური ურთიერთობის მარტივი სახე – პირველყოფილი ჯოგი. თითოეულ ჯოგში 20-30 ადამიანი იყო გაერთიანებული. მათ უმთავრეს საქმიანობას ნადირობა და შემგროვებლობა წარმოადგენდა.

ჯოგის შიგნით არ არსებობდა ქონებრივი დიფერენციაცია. ჯოგის წევრები ერთად ცხოვრობდნენ და ერთმანეთში ინანილებდნენ საკვებს. დაახლოებით ნახევარი მილიონი წლის

წინ ცენტრალური აფრიკიდან გავრცელება დაიწყო „ჰომინიდა“ ახალმა პოპულაციამ - „ნეანდერტალელმა ადამიანმა“. „ჰომოერექტუსის“ და „ნეანდერტალელი ადამიანის“ განვითარების პროცესი ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, სავარაუდოდ, მკვეთრი აცევების გამო შეწყდა. ადამიანის უშუალო წინაპარი მათზე ბევრად გვიან ჩნდება, დაახლოებით 200-150 ათასი წლის წინ. მას „ჰომო საპიენსს“ ანუ „გონიერ ადამიანს“ უწოდებენ. გონიერი ადამიანიც აფრიკის მკვიდრია და ისიც მოგვიანებით გადასახლდა ევრაზიის, ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტებზე. „ჰომო საპიენსი“ ფიზიკური აღნაგობითა და გონებრივი შესაძლებლობებით დიდად არ ჩამორჩებოდა თანამედროვე ადამიანს.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: კლიმატი, ევოლუცია, პოპულაცია, პრიმატი, გადასახლება, მეცნიერი, აცევა.

3. უპასუხეთ კითხვებს:

როგორი თეორიები არსებობს სამყაროსა და ადამიანის წარმოშობის შესახებ?

როგორ შეიქმნა სამყარო კრეაციული თეორიის მიხედვით?

როგორ შეიქმნა სამყარო ევოლუციური თეორიის მიხედვით?

სად არის ნაპოვნი აფრიკიდან ევრაზიაში წამოსული „ჰომოერექტუსის“ უძველესი კვალი?

რა ჰქვიათ უძველეს დმანისელ ადამიანებს?

რის გამო შეწყდა „ჰომოერექტუსის“ და „ნეანდერტალელი ადამიანის“ განვითარების პროცესი ისტორიის გარკვეულ ეტაპზე?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

მკვიდრია, ნეანდერტალელი, დაახლოებით, აცივების, წინაპარი

„ჰომოერექტუსის“ და „..... ადამიანის“ განვითარების პროცესი ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, სავარაუდოდ, მკვეთრი გამო შეწყდა. ადამიანის უშუალო მათზე ბევრად გვიან ჩნდება, 200-150 ათასი წლის წინ. მას „ჰომო საპიენსის“ ანუ „გონიერ ადამიანს“ უწოდებენ. გონიერი ადამიანიც აფრიკის და ისიც მოგვიანებით გადასახლდა ევრაზიის, ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტებზე.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

შედლეს ნაპოვნი „დმანისელი ადამიანის“ პირვანდელი საფუძველზე სახის მეცნიერებმა აღდგენა ძვლების

შიგნით ქონებრივი ჯოგის არ დიფერენციაცია არსებობდა

ასახელებენ გადასახლების ისტორიკოსები შესაძლო გამრავლებას მიზნებად ადამიანების

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

შეწყდა, საკვებს, ნაშთებიც, პოპულაციამ

ჯოგის წევრები ერთად ცხოვრობდნენ და ერთმანეთში ინაწილებდნენ დაახლოებით ნახევარი მილიონი წლის წინ ცენტრალური აფრიკიდან გავრცელება დაიწყო ახალმა

„ჰომოერექტუსის“ და „ნეანდერტალელი ადამიანის“ განვითარების პროცესი ისტორიის გარკვეულ ეტაპზე დმანისში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ცხოველთა

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|-----------------|---------------|
| ა. განვითარების | კლიმატი |
| ბ. ქონებრივი | მოყვარული |
| გ. გავრცელება | სახე |
| დ. პირვანდელი | დაიწყო |
| ე. სითბოს | დიფერენციაცია |
| ვ. თბილი | პროცესი |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 2. პალეოლითი და მეზოლითი

კაცობრიობის ისტორიის უძველეს პერიოდს ქვის ხანა ეწოდება. ის სამ ნაწილად იყოფა: პალეოლითად (ძველი ქვის ხანა. ადამიანის წარმოშობიდან _ დაახლოებით 12 ათასი წლის წინ), მეზოლითად (შუა ქვის ხანა. 12-8 ათასი წლის წინ) და ნეოლითად (ახალი ქვის ხანა. 8-4 ათასი წლის წინ).

თვით პალეოლითში გამოყოფენ განვითარების ორ პერიოდს: ქვედას და ზედას.

ძველი ქვის ხანაში ერთმანეთს ენაცვლებოდა დათბობისა და გამყინვარების პერიოდები. თუ თბილი კლიმატის პირობებში პირველყოფილ ადამიანს მთიან ადგილებშიც შეეძლო ეცხოვრა, აცივებისას იძულებული იყო უფრო დაბლობ ადგილებში გადმოენაცვლა.

ქვედა პალეოლითში თანდათან იხვეწებოდა ქვის დამუშავების ტექნიკა. ძველი ქვის ხანის ბოლოს ადამიანს უკვე შეეძლო ქვის, ძვლისა და გაქვავებული ვულკანური ლავისაგან ნაირგვარი ცულების, დანებისა და საფხეკების დამზადება.

ქვედა პალეოლითში ჩაისახა შრომის დანაწილება მამაკაცსა და ქალს შორის. ქალის საქმიანობის სფეროდ იქცა საცხოვრებლის დაცვა, მუდმივი ცეცხლის მოვლა, ზრუნვა ბავშვებსა და მოხუცებზე, მცენარეული საკვების შეგროვება და სხვა სამეურნეო მოვალეობანი. მამაკაცთა შრომას უპირატესად ნადირობა წარმოადგენდა.

დაახლოებით 40-35 ათასი წლის წინ დაიწყო ზედა პალეოლითი. ამ დროს იხვეწება ქვის დამუშავების ტექნიკა. მკვეთრი აცივების გამო ადამიანის ძირითად სადგომად გამოქვაბული იქცა. პროგრესი განიცადა ადამიანთა საზოგადოებამაც. თუ პირველყოფილთა ჯოგი შემთხვევითი და არამყარი გაერთიანება იყო, სისხლით ნათესაობაზე დამყარებული გვაროვნული თემი ადამიანთა უფრო მტკიცე კავშირს განასახიერებდა. თავდაპირველად გვარში წამყვანი მდგომარეობა ქალს ეკავა და ნათესაობაც მხოლოდ მისი ხაზით ვრცელდებოდა. ასეთ ურთიერთობებზე დაფუძნებულ გვარს **დედამთავრული** ანუ **მატრიარქალური** ეწოდება.

ზედა პალეოლითში მოხდა ადამიანის მიერ რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ფორმირება.

იმდროინდელი ადამიანი ბუნებასაც ადამიანურ თვისებებს მიაწერდა. სულიერ არსებებად აღიქვამდა მცენარეებსა და ქვებს, თაყვანისცემის ობიექტად ხდიდა ცხოველებსა და ფრინველებს. ზოგიერთ მათგანს საკუთარი გვარის წინაპრადაც კი თვლიდა.

უძველეს რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდება ხელოვნების წარმოშობაც. ადამიანები ბოროტი ძალების ზემოქმედებისაგან დასაცავად ან ზებუნებრივი მფარველების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად აკეთებდნენ სხვადასხვა სახის სამკაულებს. ერთგვარი მაგიური დანიშნულება ჰქონდა კედლის მხატვრობასაც. დახატულ ნადირს შუბებით ჩხვლეტდნენ, მის წინ რიტუალურ ცეკვას ასრულებდნენ და ამით მონადირეთა მფარველ ძალებს დასახმარებლად უხმობდნენ.

ზედა პალეოლითის დასრულების შემდეგ დგება **მეზოლითი**, რომელიც დაახლოებით 5-4 ათას წელს გაგრძელდა. მეზოლითის დასაწყისში კლიმატი დათბა, სწორედ ამიტომ ადამიანმა დატოვა გამოქვაბული და ღია სადგომის შექმნა დაიწყო. ამან ხელი შეუწყო ადამიანის მჭიდრო დასახლებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. საქართველოში მეზოლითური ნასახლარები გვხვდება როგორც მღვიმეებში, ასევე ზეგნებსა და ტერასებზე.

მეზოლითის ეპოქაში კიდევ უფრო მრავალფეროვანი ხდება ქვისა და ძვლის იარაღები. წამყვან ადგილს იკავებს საჭრისები, საფხეკები (ოვალური სამუშაო პირით), სახვრეტები, დაკბილული და დანისმაგვარი ფირფიტები.

მეზოლითის ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩნდება კლდეზე ამოკანრული ნახატები. სხვადასხვა ცხოველთა (ირემი, ცხენი, აქლეში, გველი) და მშვილდისრიანი კაცუნების

გამოსახულებები აღმოჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში, დაბა წალკიდან 10 კმ-ით დაშორებულ მდინარე პატარა ხრამის ხეობაში.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: მებოლითი, იარაღი, დასახლება, პალეოლითი, ნეოლითი, გამოქვაბული.

3. უპასუხეთ კითხვებს:

რა ეწოდება კაცობრიობის ისტორიის უძველეს პერიოდს?

რომელი პერიოდი დგება ზედა პალეოლითის დასრულების შემდეგ?

განვითარების რამდენი პერიოდი გამოიყოფა პალეოლითში?

რას უკავშირდება ხელოვნების წარმოშობა?

როდის ჩაისახა შრომის დანაწილება მამაკაცსა და ქალს შორის

როდის დაიწყო ზედა პალეოლითი?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ზედა, გამოქვაბული, ჯოჯი, ნათესაობაზე, პროგრესი, გვაროვნული

დაახლოებით 40-35 ათასი წლის წინ დაიწყო პალეოლითი. ამ დროს იხვეწება ქვის დამუშავების ტექნიკა. მკვეთრი აცივების გამო ადამიანის ძირითად სადგომად იქცა. განიცადა ადამიანთა საზოგადოებამაც. თუ პირველყოფილთა შემთხვევითი და არამყარი გაერთიანება იყო, სისხლით დამყარებული თემი ადამიანთა უფრო მტკიცე კავშირს განასახიერებდა.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (აანწყვეთ) წინადადებები:

წარმოდგენებს უძველეს წარმოშობა რელიგიურ უკავშირდება ხელოვნების

შემდეგ მეზოლითი ზედა დასრულების პალეოლითის დგება

მხატვრობასაც დანიშნულება კედლის ერთგვარი ჰქონდა მაგიური

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

მხატვრობასაც, სამკაულებს, ასრულებდნენ, წარმოშობაც

უძველეს რელიგიურ წარმოდგენებს უკავშირდება ხელოვნების
ადამიანები ბოროტი ძალების ზემოქმედებისაგან დასაცავად აკეთებდნენ სხვადასხვა სახის
.....

ერთგვარი მაგიური დანიშნულება ჰქონდა კედლის
დახატულ ნაღირს შუბებით ჩხვლევდნენ, მის წინ რიტუალურ ცეკვას

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|------------------|--------------|
| ა. მაგიური | წარმოდგენები |
| ბ. კედლის | ხანა |
| გ. რელიგიური | დანიშნულება |
| დ. დასახმარებლად | ობიექტი |
| ე. თაყვანისცემის | უხმობს |
| ვ. ქვის | მხატვრობა |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცი |
|-----------|---------|---------------|
| | | |

თემა 3. ბრინჯაოს ხანა

უძველესი მეტალურგიის კერები წინა აზიაშია აღმოჩენილი. საქართველოში ლითონის დამუშავება ძვ.წ. IV ათასწლეულში დაიწყო. ენეოლითური კულტურის ძეგლები აღმოჩენილია კიკეთში, თბილისში, თრიალეთში, ზემო ავჭალაში, ტყვიავში, ურბნისში, ოჩამჩირესა და სხვა ადგილებში.

ბრინჯაო ბუნებაში თვითნაბადი სახით არ არსებობს. ის სპილენძის, დარიშხანისა და კალის შერევით მიიღება. ბრინჯაო სპილენძთან შედარებით მტკიცე ლითონია, ამიტომ მისგან დამზადებული შრომის იარაღები ფართოდ ინერგება სამეურნეო საქმიანობაში. მნიშვნელოვნად გაიზარდა სახნავ-სათესი ფართობები, შესაძლებელი გახდა მიწის უკეთ დამუშავება.

ნამატი პროდუქციის დაგროვებამ ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას თემებს შორის. ბრინჯაოს ხანა ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში იწყება და სამ (ადრე, შუა და გვიან) პერიოდად იყოფა.

ამიერკავკასიაში ადრე ბრინჯაოს ხანის კულტურის ცენტრი ხდება მდინარეების მტკვრისა და არაქსის ხეობებსშორისი ტერიტორია (ძვ.წ. IV ათასწლეულის დასასრული - ძვ.წ. III ათასწლეულის I ნახევარი). ამიტომ ამ ხანას მტკვარ-არაქსის კულტურის სახელითაც ვიცნობთ. არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა მნიშვნელოვნად სცილდებოდა ამ მდინარეების შემოგარენს და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიებზეც ვრცელდებოდა. მტკვარ-არაქსის კულტურა მინათმოქმედებისა და მეცხოველეობის დანინაურებით აღინიშნა. ხელოსნურ ნაწარმში იარაღებთან ერთად გვხვდება მრავალგვარი კერამიკული ნაკეთობა და ნატიფად დამუშავებული სამკაულები.

მწარმოებლურ შრომაზე გადასვლამ, სხვადასხვა სამუშაო იარაღის გაჩენამ და ცალკეულ გვართა შორის საბრძოლო შეტაკებების გახშირებამ გაზარდა მამაკაცის სოციალური როლი.

მატრიარქალური გვარი თანდათან იცვლება მამამთავრული (პატრიარქალური) გვართ. ძვ.წ. III ათასწლეულში იწყება შუა ბრინჯაოს ხანა (გრძელდებოდა ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახევრამდე).

ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარების კვალდაკვალ ხელოსნობა გამოეყო მინათმოქმედებასა და მეცხოველეობას და მეურნეობის ცალკე დარგად ჩამოყალიბდა.

საქართველოში არსებობდა გვიან ბრინჯაოს ხანის ორი მძლავრი კულტურული კერა: დასავლურქართული (კოლხური) და აღმოსავლურქართული. საომარი იარაღიდან გვიან ბრინჯაოს ხანაში კოლხეთში გავრცელებული იყო ცულები („კოლხური ცულები“) და სატევრები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში - გრძელი მახვილები და შუბები.

ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ბრინჯაოს თანდათან ცვლის რკინა. რკინა გაცილებით მყარი ლითონია და მისი დანერგვა სამეურნეო და სამხედრო წარმოებაში ცივილიზაციის კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

საქართველო რკინის მეტალურგიის ერთ-ერთი უძველესი კერაა. ძველი ბერძნები ქართველურ ტომს ხალიბებს - „რკინის გამომგონებლებს“ - უწოდებდნენ. ისინი ასევე მიუთითებდნენ „მოსინიკური ფოლადის“ საუკეთესო თვისებებზე. გვიანბრინჯაოს ხანის დანინაურებულმა სამეურნეო ყოფამ და კულტურამ მისცა ბიძგი პირველი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებების ჩამოყალიბებას.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: ბრინჯაო, მეტალურგია, ხელოსნობა, კულტურა, მინათმოქმედება, მეცხოველეობა, ვაჭრობა.

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის იცვლება ბრინჯაო რკინით?

როგორი ლითონია რკინა?

რამ გაზარდა მამაკაცის სოციალური როლი?

სად არის აღმოჩენილი უძველესი მეტალურგიის კერები?

რით იცვლება მატრიარქალური გვარი?

რამ შეუწყო ხელი ვაჭრობის განვითარებას თემებს შორის?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

კულტურის, არქეოლოგიურმა, მინათმოქმედებისა, ტერიტორიებზეც, იარაღებთან, კერამიკული

ამ ხანას მტკვარ-არაქსის სახელითაც ვიცნობთ.
გამოკვლევებმა ცხადყო, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა მნიშვნელოვნად სცილდებოდა ამ
მდინარეების შემოგარენს და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ
ვრცელდებოდა. მტკვარ-არაქსის კულტურა და მეცხოველეობის დანიშნულებით
აღინიშნა. ხელოსნურ ნაწარმში ერთად გვხვდება მრავალგვარი
ნაკეთობა და ნატიფად დამუშავებული სამკაულები.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

უძველესი რკინის მეტალურგიის საქართველო ერთ-ერთი კერაა

ხალიბებს ქართველურ ძველი უწოდებდნენ ბერძნები ტომს „რკინის გამომგონებლებს“

თვისებებზე მიუთითებდნენ საუკეთესო ისინი ასევე „მოსინიკური ფოლადის“

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

საქმიანობაში, არსებობს, შორის, ფართობები

ბრინჯაო ბუნებაში თვითნაბადი სახით არ
მისგან დამზადებული შრომის იარაღები ფართოდ ინერგება სამეურნეო
მნიშვნელოვნად გაიზარდა სახნავ-სათესი
ნამატი პროდუქციის დაგროვებამ ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას თემებს

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|---------------|-------------|
| ა. თვითნაბადი | განვითარება |
| ბ. შრომის | პროდუქცია |
| გ. ვაჭრობის | სახით |
| დ. ხელოსნური | მისცა |
| ე. ბიძგი | იარაღები |
| ვ. ნამატი | ნაწარმი |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცი |
|-----------|---------|---------------|
| | | |

თემა 4. უძველესი ქართული ტომობრივი და სახელმწიფოებრივი გაერთიანებები

ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოს სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში ჩამოყალიბდა ტომთა ძლიერი გაერთიანებები. მათ „გემო ზღვის ქვეყნებად“ და „ნაირის ქვეყნებად“ მოიხსენიებენ. „ნაირის ქვეყნების“ სათავეში დაიყენი, იგივე დიაოხი იდგა. ბერძნული წყაროები დიაოხს ტაოხს უწოდებენ. აქედან მომდინარეობს ისტორიული ქართული პროვინციის ტაოს სახელწოდება.

უძველეს ცნობას დიაოხის შესახებ გვანვდის ძვ. წ. 1112 წლის ასურული წარწერა, რომელშიც საუბარია „ნაირის ქვეყნებში“ მეფე ტიგლათფალასარ I-ის ლაშქრობაზე.

დიაოხის დასაპყრობად იბრძოდა ურარტუც. მისმა მეფეებმა არაერთხელ ილაშქრეს აქ, ააოხრეს ციხე-სიმაგრეები, სამეფო ქალაქები, ქვეყანას დააკისრეს მძიმე ხარკი.

დიაოხის ჩრდილოეთით ჩამოყალიბდა ქართველურ ტომთა ახალი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელსაც ძველბერძნული წყაროები კოლხას (კოლხიდას) სახელით მოიხსენიებენ. კოლხას ადრეულ პერიოდზე ცნობებს გვანვდის ასურული წარწერებიც.

კოლხას სიძლიერის ხანად ძვ.წ. XI-VIII სს. არის მიჩნეული. მის შესახებ ცნობებს გვანვდის ურარტული წარწერები. ერთ-ერთში აღწერილია ურარტუს მეფის სარდურ II-ის კოლხაში ლაშქრობა (ძვ.წ. VIII ს-ის შუა წლები): „გავემართე სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ. ეს ქვეყანა (მე დავიპყარი). ქალაქი ილდამუსა, სამეფო ქალაქი, კოლხას მეფე ბრძოლით დავიპყარი, მისი მოსახლეობა გადავბუგე. კოლხას ქვეყნის მეფის ნაცვლები, რომელნიც კი იქ იყვნენ, გავუღიბე, რკინის ბეჭედი გავაკეთებინე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები და ქალები გავრეკე... წავიყვანე 17300 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 31600 წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი“.

კოლხას შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის ძველი ბერძნული მითი არგონავტების შესახებ. თქმულების მიხედვით, საბერძნეთის ერთ-ერთი ქალაქ-სახელმწიფოს _ იოლკოსის მეფე პელიასმა ტახტის სანაცვლოდ თავის ძმისშვილ იაზონს კოლხეთიდან ოქროს საწმისის ჩამოტანა დაავალა. იაზონი ორმოცდაათიოდე ბერძენი გმირის თანხლებით კოლხას სატახტო ქალაქს ქუთაისს მიაღწა და მეფე აიეტს ოქროს საწმისი სთხოვა. აიეტმა იაზონს რამდენიმე რთული დავალება მისცა და მათი შესრულების შემთხვევაში დაჰპირდა ოქროს საწმისს. მითის მიხედვით, ბერძენი უფლისწული კოლხთა მეფის გრძნეულ ასულს, მედეას, შეუყვარდა და დავალების შესრულებაში დაეხმარა. საბოლოოდ, არგონავტებმა „ოქროს საწმისი“ გაიტაცეს და საბერძნეთისაკენ გაემართნენ.

ბერძენი მწერლის პალეფატის (ძვ. წ. IV ს.) ცნობით, „ოქროს საწმისი“ ტყავზე ნაწერი წიგნი იყო, რომელშიც ოქროს ქიმიურად მიღების წესი ეწერა. საინტერესოა, რომ სვანეთში ბოლო დრომდე არსებობდა ოქროს მოპოვების ასეთი წესი: ცხვრისბენჯიან ტყავს მთის მდინარეში ჩაათუნდნენ, სწრაფ წყალს კი ქვიშასთან ერთად მოჰქონდა ოქროს ნაწილაკებიც, რომლებიც ბენჯზე ილექებოდა. ცნობილმა ირლანდიელმა მოგზაურმა ტიმ სევერინმა 1984 წელს ძველი „არგოს“ მსგავსი ხომალდით არგონავტების გზა გამოიარა, რითაც დაადასტურა ძველ დროში ასეთი ნაოსნობის შესაძლებლობა.

ძვ.წ. VIII საუკუნის II ნახევარში თანამედროვე რუსეთის სამხრეთით მდებარე სტეპებიდან და ჩრდილო კავკასიიდან დაიწყო ირანული მოღვმის მომთაბარე ტომების - კიმერიელებისა და სკვითების შემოსევები. მათი ცხენოსანი ლაშქარი იმ დროისათვის გამანადგურებელი ძალა იყო. სწორედ კიმერიელთა შემოსევებმა მოულო ბოლო კოლხას ძლიერებას. კიმერიელებმა, მიდიელებთან ერთად, ძვ.წ. 590 წელს გაანადგურეს ურარტუც.

კიმერიელთა გამანადგურებელი ლაშქრობის შემდეგ დასავლეთ საქართველოში მალევე აღდგა სახელმწიფოებრიობა. ახალი კოლხური სახელმწიფო, რომელსაც ქართველი

ისტორიკოსები ეგრისის სახელითაც მოიხსენიებენ, კულტურულად წინამორბედზე დაწინაურებული და ვრცელი იყო.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: ლაშქარი, არგონავტები, ხარკი, სახელმწიფო, მომთაბარე, მოგზაური, მითი.

3. უპასუხეთ კითხვებს:

რას უწოდებდნენ ბერძნული წყაროები დიაოხს?

ვისმა შემოსევებმა მოუღო ბოლო კოლხას ძლიერებას?

რა იყო, პალეოგრაფის ცნობით, „ოქროსი საწმისი“?

ვინ არის ტიმ სვერინი?

რა დაავალა მეფე პელიასმა იაზონს?

რომელი წარწერა გვაძლევს უძველეს ცნობას დიაოხის შესახებ?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ოქროსი, ბერძენი, სატახტო, უფლისწული, საწმისი, დაავლება

პელიასმა ტახტის სანაცვლოდ თავის ძმისშვილ იაზონს კოლხეთიდან ოქროს ჩამოტანა დაავალა. იაზონი ორმოცდაათიოდე გმირის თანხლებით კოლხას ქალაქს ქუთაისს მიადგა და მეფე აიეტს ოქროს საწმისი სთხოვა. აიეტმა იაზონს რამდენიმე რთული მისცა და მათი შესრულების შემთხვევაში დაპირდა საწმისს. მითის მიხედვით, ბერძენი კოლხთა მეფის გრძნეულ ასულს, მედეას შეუყვარდა

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (აანწყვეთ) წინადადებები:

არგონავტების მითი გვანვლის კოლხას ბერძნული შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ძველი შესახებ

დაავალა ოქროს კოლხეთიდან ძმისშვილ სანაცვლოდ პელიასმა ტახტის თავის იაზონს საწმისის ჩამოტანა

ქალაქს ორმოცდაათიოდე ქუთაისს კოლხას სატახტო თანხლებით იაზონი ბერძენი გმირის მიადგა

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ნაწილაკებიც, წესი, ენერა გამოიარა

„ოქროს საწმისი“ ტყავზე ნაწერი წიგნი იყო, რომელშიც ოქროს ქიმიურად მიღების წესი

.....

საინტერესოა, რომ სვანეთში ბოლო დრომდე არსებობდა ოქროს მოპოვების ასეთი

ცხვრისბეწვიან ტყავს მთის მდინარეში ჩაათვენდნენ, სწრაფ წყალს კი ქვიშასთან ერთად მოჰქონდა ოქროს

ტიმ სევერინმა 1984 წელს ძველი „არგოს“ მსგავსი ხომალდით არგონავტების გზა

.....

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|--------------|----------|
| ა. ოქროს | ხარკი |
| ბ. სატახტო | ტომები |
| გ. ბერძნული | დავალება |
| დ. რთული | მითი |
| ე. მძიმე | საწმისი |
| ვ. მომთაბარე | ქალაქი |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 5. ბერძნული კოლონიზაცია და ახალშენები კოლხეთის ტერიტორიაზე

ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებში ბერძნებმა ხმელთაშუა, შავი და აზოვის ზღვების სანაპიროებზე მრავალი დასახლება დააარსეს. მათ, ჩვეულებრივ, კოლონიებს (ახალშენებს) ვუწოდებთ. კოლონიები, ჩვეულებრივ, ზღვის ნაპირებზე, ნავსადგურისთვის ხელსაყრელი უბეების მიმდებარე ტერიტორიებზე შენდებოდა.

ბერძნულ კოლონიზაციას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებდა. ბერძნული წყაროების მიხედვით, კოლონიზაციის დაწყების უმთავრესი მიზეზი დემოგრაფიული – მოსახლეობის გადაჭარბებული ტემპებით მატება იყო. პოლისი ვეღარ იტევდა და ვერ აკმაყოფილებდა ჭარბ მოსახლეობას პროლეტციით და ნედლეულით, ვეღარ ასაქმებდა მას. ამ ვითარებაში ბერძენთათვის გამოსავალს ახალ მიწებზე დასახლება შეადგენდა.

კოლონიზაციის მეორე მიზეზი იყო საშინაო კონფლიქტები, რომლებიც ხშირად სამოქალაქო ომებამდე მიდიოდა. კოლონიზაცია სამოქალაქო ომისგან თავის არიდების ერთ-ერთი ხერხი იყო – უმცირესობაში აღმოჩენილი ჯგუფი ტოვებდა ქვეყანას ახალი ქალაქის დასაარსებლად.

ბერძნები კოლონიებთან გაცხარებულ ვაჭრობას ეწეოდნენ. კოლონიებიდან მათ საბერძნეთში მიჰყავდათ მონები, პირუტყვი, გაჰქონდათ პური, ხე-ტყე, თევზი, ცვილი, სანელებლები და სხვ. საბერძნეთიდან კოლონიებში გაჰქონდათ ხელოსნური ნაწარმი (ძირითადად თიხის და ლითონის), ფუფუნების საგნები, ღვინო, ზეთისხილის ზეთი და სხვ. კოლონიზაციას ხმელთაშუა ზღვის ელინიზაცია მოჰყვა, რადგან დიდი იყო ბერძნული კოლონიების ზეგავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე.

დროთა განმავლობაში კოლონიების უმრავლესობამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ მათ მეტროპოლიასთან ეკონომიკური და კულტურული კავშირები ბოლომდე შეინარჩუნეს.

ბერძენთა დიდი კოლონიზაცია უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში. მან მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი მოიცვა და ხელს უწყობდა ზღვაოსნობის, გემთმშენებლობის, ვაჭრობის განვითარებას, რის შედეგადაც სწრაფად გაიზარდა ბერძნული ქალაქები. გაჩნდა და სწრაფად განვითარდა ხელოსნობის მრავალი დარგი.

ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში შავი ზღვისპირეთში იწყება ბერძნული კოლონიზაცია. კოლონიები დაარსდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც. ესენია: პიტეუნტი (ბიჭვინთა), დიოსკურია (სოხუმის მიდამოებში), გიენოსი (ოჩამჩირე) და ფაზისი (ფოთის მახლობლად). წყაროების მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კოლონიები ბერძნულმა ქალაქმა მილეტმა დააარსა.

ბერძნულმა კოლონიებმა ვერ მოახერხეს კოლხურ სახელმწიფოზე პოლიტიკური გაბატონება. პირიქით, ზოგჯერ ისინი ექცეოდნენ კოლხეთის გავლენის ქვეშ. ამასთან, კოლონიები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ წინსვლაზე.

საბერძნეთთან სავაჭრო კავშირები კოლხთათვისაც მომგებიანი აღმოჩნდა. ბერძნებს საქართველოში შემოჰქონდათ ქსოვილები, ოქროსგან დამზადებული ნაკეთობები, ძვირფასი თვლებით მორთული სამკაულები და მრავალფეროვანი ჭურჭელი. საქართველოდან გაჰქონდათ ძვირფასი ხის მასალა, რომელსაც ისინი ძირითადად გემების ასაგებად იყენებდნენ, ასევე დიდი რაოდენობით ბუნვეული, ტყავი და საიუველირო ნაწარმი.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: კოლონია, განვითარება, ურთიერთობა, ვაჭრობა, დასახლება, პროდუქცია, მოსახლეობა

3. უპასუხეთ კითხვებს:

სად შენდებოდა, ჩვეულებრივ, კოლონიები?

როდის იწყება ბერძნული კოლონიზაცია შავი ზღვისპირეთში?

რა იყო კოლონიზაციის დაწყების უმთავრესი მიზეზი?

რა იყო კოლონიზაციის მეორე მიზეზი?

რა გაჰქონდათ საბერძნეთიდან კოლონიებში?

რა გაჰქონდათ კოლონიებიდან საბერძნეთში?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

პოლისი, წყაროების, დასახლება, მოსახლეობის, კოლონიზაციას, ნედლეულით

..... სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებდა. ბერძნული მიხედვით, კოლონიზაციის დაწყების უმთავრესი მიზეზი დემოგრაფიული - გადაჭარბებული ტემპებით მატება იყო. ველარ იტევდა და ვერ აკმაყოფილებდა ჭარბ მოსახლეობას პროდუქციით და, ველარ ასაქმებდა მას. ამ ვითარებაში ბერძენთათვის გამოსავალს ახალ მიწებზე შეადგენდა.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (აანწყვეთ) წინადადებები:

კოლონიზაცია კაცობრიობის მოვლენა ბერძენთა დიდი უმნიშვნელოვანესი იყო ისტორიაში

მრავალი ხელოსნობის გაჩნდა და განვითარდა დარგი სწრაფად

სახელმწიფოზე მოახერხეს პოლიტიკური ბერძნულმა კოლონიებმა ვერ კოლხურ გაბატონება

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

იყენებდნენ, ნაკეთობები, მოიპოვა, აღმოჩნდა

საბერძნეთთან სავაჭრო კავშირები კოლხთათვისაც მომგებიანი ბერძნებს საქართველოში შემოჰქონდათ ქსოვილები, ოქროსგან დამზადებული დროთა განმავლობაში კოლონიების უმრავლესობამ დამოუკიდებლობა საქართველოდან გაჰქონდათ ძვირფასი ხის მასალა, რომელსაც ისინი ძირითადად გემების ასაგებად

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|---------------------|-----------|
| ა. სავაჭრო | ომი |
| ბ. ძვირფასი | საგნები |
| გ. გავლენას | მოვლენა |
| დ. სამოქალაქო | ახდენს |
| ე. ფუფუნების | კავშირები |
| ვ. უმნიშვნელოვანესი | თვლები |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცი |
|-----------|---------|---------------|
| | | |

თემა 6. ქართლის სამეფოს წარმოქმნა. ფარნავაზის რეფორმები

ძველი ქართული საისტორიო ტრადიცია („ქართლის ცხოვრება“, ლეონტი მროველი) პირველი აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს - ქართლის სამეფოს - დაარსებას ფარნავაზს უკავშირებს. ამ წყაროს მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელს აღმოსავლეთ საქართველო დაულაშქრავს და ეს ტერიტორია სამართავად საკუთარი სარდლისთვის, ბერძენი აზოსათვის გადაუცია.

ეს ცნობა ლეგენდარულია. სინამდვილეში ალექსანდრე მაკედონელს სამხრეთ კავკასიაში არ ულაშქრია.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ბერძენთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა მცხეთის მამასახლისი სამარა - ქართლის პირველი მეფის, ფარნავაზის ბიძა. აზოს მმართველობა სასტიკი აღმოჩნდა. წინააღმდეგობის შიშით მას მრავალი ადამიანი დაუსჯია სიკვდილით.

საბოლოოდ აზოს ფარნავაზი დაპირისპირებია, რომელიც ბავშვობაში, ბერძენთა შიშით, დედას მთაში გაუხიზნავს. ნადირობისას ფარნავაზმა გამოქვაბულში დამალულ განძს მიაგნო. დედისა და დების დახმარებით მან განძი უსაფრთხოდ აღვიდა გადაიტანა.

შემდეგ ეგრისის მმართველს, ქუჯის, დაუკავშირდა და აზოს წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა შესთავაზა. ფარნავაზმა ჩრდილოკავკასიელებიც დაიქირავა და გაერთიანებული ძალებით სძლიეს აზოს. გამეფების შემდეგ ფარნავაზმა მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა. მან ქვეყანა რვა საერისთავოდ და ერთ სასპასპეტოდ დაყო. სპასპეტი, რომელიც მცხეთასა და შიდა ქართლს მართავდა, მეფის შემდეგ პირველ კაცად ითვლებოდა და სხვა ერისთავებზე „მთავრობდა“. ერისთავებს ემორჩილებოდნენ სპასალარები და ათასისთავები. ერისთავების ძირითადი ფუნქცია ჯარისა და სამეფო გადასახადების შეკრება იყო. ფარნავაზმა რელიგიური რეფორმაც გაატარა. მცხეთასთან, არმაზის მთაზე, აღმართა არმაზის კერპი. არმაზის ღვთაება სამეფოს მთავარ სალოცავად იქცა.

ქართლის სამეფოს შექმნის განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს მეორე ქართული საისტორიო თხზულება „მოქცევაი ქართლისაი“. აქაც სამეფოს შექმნა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის პერიპეტეებს უკავშირდება. ამასთან, „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, აზო არის არა ქართლის დამპყრობი უცხოტომელი, არამედ ტომით ქართველი, „არიან ქართლის“ მეფის ძე. „მოქცევაი ქართლისაის“ უცნობი მემატეანის ცნობით, სწორედ აზომ ჩამოიყვანა „არიან ქართლიდან“ თანამედროვე ქართლში ქართველი ხალხი და ამით დაუდო სათავე ქართლის სამეფოს. მემატეანე აზოსვე მიაწერს კერპების - გაცისა და გაიმის - აღმართვას.

„არიან ქართლის“ რეალურობაზე ან მის მდებარეობაზე ისტორიკოსები განსხვავებულ თვალსაზრისებს გვთავაზობენ. ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიით, „არიან ქართლი“ წარმოადგენდა აქემენიდთა იმპერიის მიერ დაპყრობილ ქართლის (საქართველოს) ტერიტორიას.

როგორც ვიცით, ეს იმპერია ალექსანდრე მაკედონელმა დაამარცხა და სპარსთაგან დაპყრობილი ხალხების ნაწილმა თავისუფლება მოიპოვა. შესაძლებელია, შექმნილი ვითარებით აქემენიდთა მორჩილებაში მყოფმა ქართულმა ტომებმაც ისარგებლეს და სახელმწიფოებრივი გაერთიანება შექმნეს, რომელიც „არიან ქართლად“ (ანუ „ირანის ქართლად“) იწოდებოდა.

როგორც ჩანს, „არიან ქართლის“ ჩრდილოეთით, შიდა ქართლშიც არსებობდა სხვა სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომლის ცენტრი მცხეთა იყო. არ არის გამორიცხული, რომ „მოქცევაი ქართლისაიში“ სწორედ ამ ორ ქართულ გაერთიანებას შორის პირველობისათვის ბრძოლაა ასახული. აზო (არიან ქართლი) იკავებს მცხეთას (შიდა ქართლს) და ქმნის პირველ აღმოსავლურ ქართულ სახელმწიფოს. ფარნავაზთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ

წყაროებში არეკლილია შიდა ქართლში მესხური ტომების შემოჭრისა და მათგან ქართული სახელმწიფოს დაარსების ფაქტი.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: *სამეფო, ცენტრი, მემკვიდრე, წყარო, რეფორმა, ტერიტორია, ისტორიკოსი*

3. უპასუხეთ კითხვებს:

ვინ შეეწინააღმდეგებოდა წინააღმდეგ ბრძოლას „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით?

ვის დაუკავშირდა ფარნავაზი აზოს წინააღმდეგ საბრძოლველად?

ვინ იყო ქუჯი?

რას მიაგნო ფარნავაზმა გამოქვაბულში?

რამდენ საერისთავოდ დაყო ფარნავაზმა ქვეყანა?

რას მართავდა სპასპეტი?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

პირველ, სპასალარები, რეფორმები, სასპასპეტოდ, გადასახადების, დაიქირავა

ფარნავაზმა ჩრდილოკავკასიელებიც და გაერთიანებული ძალებით სძლიეს აზოს. გამეფების შემდეგ ფარნავაზმა მნიშვნელოვანი გაატარა. მან ქვეყანა რვა საერისთავოდ და ერთ დაყო. სპასპეტი, რომელიც მცხეთასა და შიდა ქართლს მართავდა, მეფის შემდეგ კაცად ითვლებოდა და სხვა ერისთავებზე „მთავრობდა“. ერისთავებს ემორჩილებოდნენ და ათასისთავები. ერისთავების ძირითადი ფუნქცია ჯარისა და სამეფო შეკრება იყო.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

დამალულ გამოქვაბულში ნადირობისას განძს მიაგნო ფარნავაზმა

ადგილას უსაფრთხო დედისა და დახმარებით მან განძი გადაიტანა დების

მაკედონელმა ეს დაამარცხა ალექსანდრე იმპერიის

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ქართველი, უკავშირდება, თხზულება, ხალხი

ქართლის სამეფოს შექმნის განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს მეორე ქართული საისტორიო

აქაც სამეფოს შექმნა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის პერიპეტებს

აზო არის არა ქართლის დამპყრობი უცხოტომელი, არამედ ტომით

სწორედ ამომ ჩამოიყვანა „არიან ქართლიდან“ თანამედროვე ქართლში ქართველი

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|---------------------|-------------|
| ა. ბრძოლას | ვითარება |
| ბ. განსხვავებული | გაერთიანება |
| გ. თავისუფლება | ვერსია |
| დ. შექმნილი | თხზულება |
| ე. სახელმწიფოებრივი | შეენირა |
| ვ. საისტორიო | მოიპოვა |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 7. ქართლის სამეფო ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე

ძვ. წ. I საუკუნიდან რომის სახელმწიფო ბრძოლას იწყებს მცირე აზიისა და კავკასიის დასამორჩილებლად.

ახლო აღმოსავლეთში რომის ძირითადი მონინაალმდევე პონტოს სამეფო იყო. საგარეო საფრთხემ ქართლი, სომხეთი და ალბანეთი პონტოს მოკავშირეებად აქცია. პონტოს სამეფომ განსაკუთრებულ ძლიერებას მეფე მითრიდატე VI-ის (ძვ. წ. 111-63 წწ.) დროს მიაღწია.

მითრიდატემ მოკავშირეებთან ერთად სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია რომს. საბოლოო ჯამში, რომმა მოხერხებული დიპლომატიით შეძლო მოკავშირეების – პონტოსა და სომხეთის განცალკევება და მათი დამარცხება.

ძვ. წ. 65 წელს რომაული არმია ცნობილი სარდლის, პომპეუსის მეთაურობით ქართლის სამეფოს საზღვრებს მოადგა. პომპეუსის გეგმის მიხედვით, რომაელები მოულოდნელად უნდა შემოჭრილიყვნენ ქართლში და სწრაფად დაემარცხებინათ მონინაალმდევე. მათ წინააღმდეგობის გარეშე მიაღწიეს არმაზის ციხეს. ქართლის მეფე არტაგმა მოშალა მტკვარზე გადებული ხიდი და მდინარე არაგვისკენ დაიხია.

როდესაც პომპეუსმა მტკვარზე გადასვლა დააპირა, არტაგმა გაგზავნა მასთან ელჩები ზავის თხოვნით, ასევე დაპირდა ხიდის აშენებას და სურსათის მიწოდებას. მან შეასრულა პირობა, მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ პომპეუსი მდინარეზე გადმოდიოდა, შეშინებული გადავიდა არაგვზე, დაწვა ხიდი და გაიქცა, მის მეთაურთან ზოგი ბრძოლაში დაიღუპა, ზოგიც მდინარეზე გადასვლისას. მებრძოლთა ნაწილი არაგვისპირა ჭალებში გაიფანტა და ბრძოლა განაგრძო. პომპეუსის ბრძანებით რომაელებმა ტყე გადაწვეს და ამგვარად დაამარცხეს იბერიელი მშვილდოსნები. რომაელებმა ბრძოლაში 9000 ქართველი მოკლეს და 10000 ტყვედ ჩაიგდეს. ტყვეთა შორის მებრძოლი ქალებიც აღმოჩნდნენ.

ზაფხულში, როდესაც არაგვმა იკლო, რომაელებს არ გასჭირვებიათ მდინარის გადალახვა. არტაგი იძულებული გახდა, წინააღმდეგობა შეენწყვიტა და პომპეუსისათვის მძევლებად შვილები გაეგზავნა.

რომსა და ქართლს შორის გაფორმდა „მეგობრობისა და მოკავშირეობის“ ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით არ იზღუდებოდა ქართლის სამეფოს შინაგანი დამოუკიდებლობა, საგარეო პოლიტიკაში კი ის რომის მოკავშირედ უნდა გამოსულიყო. ქართლის მეფეს დარიალის კარის გამაგრება ევალებოდა. ჩრდილოკავკასიელი მომთაბარე ტომებისაგან საზღვრების უსაფრთხოება ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო როგორც რომაული, ისე ქართული მხარისათვის.

რომისა და ქართლის „მეგობრული და მოკავშირული“ ურთიერთობა არ იყო სტაბილური. იმპერატორმა ადრიანემ (117-138 წწ.) მცირე აზიაში ყოფნისას რომის მოკავშირე სახელმწიფოების მმართველები მიიწვია. მათ შორის იყო იბერიის მეფე ფარსმან II. იმპერატორმა ქართლის მეფეს საგანგებოდ გაუგზავნა ძვირფასი საჩუქრები, მათ შორის საომარი სპილო და 500-კაციანი რაზმი. ფარსმანმა იმპერატორის საჩუქრებს საჩუქრებითვე უპასუხა, თუმცა მისი მიწვევა არ მიიღო, რითაც საკუთარ დამოუკიდებლობას გაუსვა ხაზი. იმპერატორმა ფარსმანისაგან ნაჩუქარი მოოქროვილი მოსასხამები გლადიატორებს მოასხა და ცირკის არენაზე საბრძოლველად გაიყვანა. მისი საჩუქრების აბუჩად აგდებით განაწყენებულმა მეფემ გახსნა დარიალის კარი და მოკავშირე ალან-ოსები რომის პროვინციებს შეუსია.

რომსა და საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობა შედარებით მონესრიგდა ადრიანეს შემდგომი იმპერატორის – ანტონინე პიუსის – მმართველობის დროს. მან ფარსმანი რომში მიიწვია.

ქართლი მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა იყო. აქ არსებობდა მრავალი ქალაქი და დაბა. არქიტექტურულად კარგად დაგეგმარებულ ქალაქებში იყო ბაზრები და სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი დაწესებულებები. სტრაბონი აღწერს ქართლის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურასაც.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: საზღვარი, საჩუქარი, სტაბილური, მძევალი, ტყვე, უსაფრთხოება, ურთიერობა

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის იწყებს რომის სახელმწიფო ბრძოლას იწყებს მცირე აზიისა და კავკასიის დასამორჩილებლად?

რომელი სახელმწიფო იყო ახლო აღმოსავლეთში რომის ძირითადი მოწინააღმდეგე?

რომელ წელს მოადგა რომაელთა ლაშქარი პომპეუსის მეთაურობით ქართლის სამეფოს საზღვრებს?

როდის შეწყვიტა არტაგმა წინააღმდეგობა?

როგორი ხელშეკრულება გაფორმდა რომსა და ქართლს შორის?

რა ევალეზობდა ქართლის მეფეს რომთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

მოოქროვილი, იმპერატორმა, მოკავშირე, მინვევა, ურთიერთობა, საომარი

რომისა და ქართლის „მეგობრული და მოკავშირული“ არ იყო სტაბილური. იმპერატორმა ადრიანემ მცირე აზიაში ყოფნისას რომის სახელმწიფოების მმართველები მიიწვია. მათ შორის იყო იბერიის მეფე ფარსმან II. ქართლის მეფეს საგანგებოდ გაუგზავნა ძვირფასი საჩუქრები, მათ შორის სპილო და 500-კაციანი რაზმი. ფარსმანმა იმპერატორის საჩუქრებს საჩუქრებთვე უპასუხა, თუმცა მისი არ მიიღო, რითაც საკუთარ დამოუკიდებლობას გაუსვა ხაზი. იმპერატორმა ფარსმანისაგან ნაჩუქარი მოსასხამები გლადიატორებს მოასხა და ცირკის არენაზე საბრძოლველად გაიყვანა.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

ბრძოლა ჭალებში გაითვანტა მებრძოლთა ნაწილი არაგვისპირა და განაგრძო

იბერიელი დაამარცხეს გადაწვეს პომპეუსის ბრძანებით ტყე და ამგვარად მშვილდოსნები რომაელებმა

ქალებიც ტყვეთა აღმოჩნდნენ მებრძოლი შორის

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ეგალებოდა, დამოუკიდებლობა, ხელშეკრულება, მხარისათვის.

რომსა და ქართლს შორის გაფორმდა „მეგობრობისა და მოკავშირეობის“

ამ ხელშეკრულებით არ იზღუდებოდა ქართლის სამეფოს შინაგანი

ქართლის მეფეს დარიალის კარის გამაგრება

ჩრდილოკავკასიელი მომთაბარე ტომებისაგან საზღვრების უსაფრთხოება ერთნაირად მნიშვნელოვანი იყო როგორც რომაული, ისე ქართული

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|------------------|----------------|
| ა. წინააღმდეგობა | საფრთხე |
| ბ. მოკავშირე | დამოუკიდებლობა |
| გ. მიწვევა | დიპლომატია |
| დ. საგარეო | მიიღო |
| ე. მოხერხებული | გაუნია |
| ვ. შინაგანი | სახელმწიფო |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 8. ქართლის სამეფო III საუკუნესა და IV საუკუნის დასაწყისში

სასანიდური სპარსეთისა და რომის საგარეო პოლიტიკის მიზანი კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში გაბატონება იყო. უპირატესობის მოსაპოვებლად ორივე მხარე ცდილობდა საკუთარი პოლიტიკური გავლენა მეზობელ სახელმწიფოებზე გაეფრცვლებინა და მათი ძალა მოწინააღმდეგის დასამარცხებლად გამოეყენებინა.

მეომარი მხარეების წარმატება მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული ამიერკავკასიელი ხალხების მხარდაჭერაზე. რომსა და სპარსეთს შორის დაპირისპირების გამო მათ არაერთგვაროვანი პოზიცია ჰქონდათ. ალბანეთი, სპარსეთთან სიახლოვისა და მისი სამხედრო-პოლიტიკური ზეგავლენით, სპარსეთის მხარეს იბრძოდა. იბერიის სამეფოს კი, რომელიც რომის იმპერიას ფორმალურად ექვემდებარებოდა და მის სამხედრო მოკავშირედ ითვლებოდა, ნეიტრალური პოზიცია ეკავა.

სასანიანი შაჰები შემტევ, აგრესიულ საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ. შაბურ I-მა რამდენჯერმე დაამარცხა რომაელები და იმპერატორი ვალერიანი დაატყვევა (260 წ.). სომხეთი ირანის მფლობელობაში მოექცა. სასანიანებმა ასევე დაიმორჩილეს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მდებარე რომის მოკავშირე „ჰენიოხებისა და მახლონების სამეფო“. რაც შეეხება ქართლს, მართალია, III საუკუნეში ის სპარსეთისაგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, მაგრამ იძულებული იყო უარი ეთქვა რომის მოკავშირეობაზე და საგარეო ორიენტაცია სპარსეთზე აეღო. ქართლის მეფე **ამაზასპი** იძულებული გახდა ელიარებინა შაჰ შაბურის უზენაესობა. ამის მიუხედავად, მეფეს რომთან კავშირი არ გაუნწყვეტია. ურჩი მეფის დასასჯელად 265 წელს სპარსელები ქართლში შემოიჭრნენ, ამაზასპი მათთან ბრძოლაში დაიღუპა.

უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში შაჰმა თავისი ვაჟი, იმავდროულად ამაზასპის დისშვილი, **რევი** გაამეფა, რითაც ქართლის სამეფო თავის პოლიტიკურ გავლენას დაუმორჩილა. „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ რევის გამეფებით დასრულდა ფარნავაზიანთა მმართველობა და საფუძველი ჩაეყარა ქართლში სასანიანთა დინასტიას. ამავე წყაროს მიხედვით, სასანიანთა შთამომავალია მეფე მირიანიც. ისტორიკოსთა ნაწილი არ იზიარებს „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობას.

296 წელს რომსა და სპარსეთს შორის ომი განახლდა. გადამწყვეტი გამარჯვება რომმა მოიპოვა. დაიდო ნისიზინის ზავი (298 წ.), რომლის თანახმად, სპარსეთი ქართლსა და სომხეთს რომის გავლენის სფეროდ აღიარებდა. რომი ქართლის ფორმალური დაქვემდებარებით - პოლიტიკური მოკავშირეობით კმაყოფილდებოდა და მის სამინაო საქმეებში არ ერეოდა.

რომსა და ირანს შორის მშვიდობამ 338 წლამდე გასტანა. ამ დროის განმავლობაში ქართლი უცხო ძალების თავდასხმებისაგან დაცული იყო. თანდათან გაღრმავდა რომაულ სამყაროსთან პოლიტიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობები, მათ შორის რელიგიურიც - რომის იმპერიისადმი ქართლისა და სომხეთის დაქვემდებარებამ ხელი შეუწყო ამ ქვეყნებში ქრისტიანობის აღიარებას.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: უპირატესობა, ზავი, მმართველობა, დაამარცხა, კავშირი, გავლენა, მოკავშირე

3. უპასუხეთ კითხვებს:

რა იყო სასანიდური სპარსეთისა და რომის საგარეო პოლიტიკის მიზანი?

ვის მხარეს იბრძოდა ალბანეთი?

როგორი პოზიცია ეკავა იბერიას?

ვისი სამხედრო მოკავშირე იყო იბერია?

ვინ გახდა მეფე ამაზასპის შემდეგ?

როლის განახლდა ომი რომსა და სპარსეთს შორის?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

კავშირი, დამოუკიდებლობას, შავი მღვდისპირეთში, უზენაესობა, საგარეო, მფლობელობაში

სომხეთი ირანის მოექცა. სასანიანებმა ასევე დაიმორჩილეს აღმოსავლეთ მღებარე რომის მოკავშირე „ჰენიოხებისა და მახელონების სამეფო“. რაც შეეხება ქართლს, მართალია, III საუკუნეში ის სპარსეთისაგან ინარჩუნებდა, მაგრამ იძულებული იყო უარი ეთქვა რომის მოკავშირეობაზე და ორიენტაცია სპარსეთზე აეღო. ქართლის მეფე ამაზასპი იძულებული გახდა ელიარებინა შაჰ შაბურის ამის მიუხედავად მეფეს რომთან არ გაუნყვეტია.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

სფეროდ სპარსეთი და სომხეთს რომის გავლენის აღიარებდა ქართლსა

ფარნავაზიანთა დასრულდა რევის მმართველობა გამეფებით

იზიარებს ისტორიკოსთა არ „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობას ნაწილი

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

რომაელები, ატარებდნენ აღიარებას, კავშირ-ურთიერთობები

სასანიანი შაჰები შემტევ, აგრესიულ საგარეო პოლიტიკას

შაბურ I-მა რამდენჯერმე დაამარცხა

თანდათან გაღრმავდა რომაულ სამყაროსთან პოლიტიკური და კულტურული

რომის იმპერიისადმი ქართლისა და სომხეთის დაქვემდებარებამ ხელი შეუწყო ამ ქვეყნებში ქრისტიანობის

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|---------------|----------|
| ა. საგარეო | ჩაეყარა |
| ბ. ხელი | პოზიცია |
| გ. საფუძველი | პოლიტიკა |
| დ. პოლიტიკური | სფერო |
| ე. გავლენის | შეუწყო |
| ვ. ნეიტრალური | გავლენა |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცი |
|-----------|---------|---------------|
| | | |

თემა 9. საქართველოს გაქრისტიანება

ქართლის გაქრისტიანებაზე ცნობებს გვანდის ქართული, სომხური, ბერძნული, ლათინური და ასურული წყაროები. ქართული წყაროებიდან ამ საკითხს საგანგებოდ ეხება „მოქცევა ქართლისაი“, „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და „ქართლის ცხოვრება“.

უცხოური წყაროებიდან ერთ-ერთი უძველესია გელასი კესარიელის (IV ს.) ცნობები.

ქართლის გაქრისტიანების შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ **ნინო** კაპადოკიელი სარდლის, ზაბილონის და იერუსალიმის პატრიარქის დის, **სუსანას** ასული იყო. როდესაც ნინო 12 წლის შეიქნა, მისი მშობლები ღვთის სამსახურს შეუდგნენ. ნინო მართლ დარჩა იერუსალიმში და ორ წელიწადს ცხოვრობდა ღვინელ სომეხ ქალთან, რომელმაც მას გააცნო ქრისტიანობა. შემდეგ ნინო მოხვდა სამეფო წარმოშობის ქალთან, **რიფსიმესთან**. რიფსიმეს ცოლად შერთვა ბიზანტიის კეისარს მოუნდომებია.

რიფსიმეს აღთქმა ჰქონდა დადებული, რომ მთელ სიცოცხლეს ღმერთს მიუძღვნიდა და ქრისტიანობის საქადაგებლად 50 ქალწულთან ერთად (მათ შორის იყო ნინო კაპადოკიელი), სომხეთში წავიდა. სომხეთის წარმართმა მეფე **თრდატმა** ისინი აწამა. ნინო გადარჩა და, ღმერთის შთავონებით, ჩრდილოეთისაკენ წავიდა. გადავიდა ჯავახეთში, აუყვა მტკვარს და ჩავიდა ქართლის ქალაქ ურბნისში, სადაც მცირე ხანს ცხოვრობდა „ურიათა უბანში“. შემდეგ ნინო სავაჭროდ და სალოცავად მიმავალ ხალხს გაჰყვა ქართლის დედაქალაქში.

ნინოს ვედრებით, ღმერთმა სეტყვით დაამსხვრია მცხეთაში აღმართული კერპები (არმაზი, ვაცი, გაიმი). ამავე წყაროს მიხედვით, ნინოს ვაზის ნასხლავისაგან გაუკეთებია ჯვარი და მცხეთაში, დღევანდელი სამთავროს მონასტრის ტერიტორიაზე, მაყვლის ბუჩქთან დასახლებულა.

ექვსი წლის მანძილზე ქადაგებდა აქ ნინო ქრისტიანობას და ღვთის ნებით მრავალ სასწაულს ახდენდა (სასწაულთა რიგს განეკუთვნება **ნანა** დედოფლის უკურნებელი სენისაგან განკურნება). „ქართლის ცხოვრებაში“ საუბარია **მირიან** მეფის გადაწყვეტილებაზე, ნადირობიდან დაბრუნებულს დაენგრია ქრისტიანული სალოცავები და გაეძევებინა ახალი რელიგიის მქადაგებელი, მოთხრობილია თხოთის მთაზე მეფის ნადირობისას მზის დაბნელებისა და ბურუსის სასწაულებრივად გაფანტვის შესახებ, რამაც მირიანს გადაწყვეტინა მიელო ქრისტიანობა. იმპერატორისაგან გამოგზავნილმა მღვდლებმა მეფე, მისი ოჯახი და ხალხი მონათლეს. შემდეგ, ღვთის ნებით, სამი ჯვარი აღმართეს: ერთი იქ, სადაც ახლა ჯვრის მონასტერია, მეორე თხოთის მთაზე და მესამე - უჯარმაში.

წმინდა ნინო დაკრძალულია ბოდბის მონასტერში.

ძველთაგანვე არსებობდა საქართველოს გაქრისტიანების სხვა ვერსიაც. საეკლესიო მოღვაწისა და მთარგმნელის **ეფთიმე მთაწმინდელის** ნაწარმოებში „ანდრია მოციქულის მოსვლა“ (X-XI ს.) საქართველოს განმანათლებლად გამოცხადებულია ქრისტეს 12 მოციქულთაგან ერთ-ერთი - **ანდრია პირველწოდებული**.

საქართველოში IV საუკუნემდე დაიწყო ქრისტიანობის გავრცელება. ცნობილია, რომ აქ ქრისტიანობა იქადაგეს მოციქულებმა **ანდრია პირველწოდებულმა**, **სვიმონ კანანელმა** და **მატათამ**. მათგან ორი საქართველოშია დაკრძალული - მათათა გონიოში (აჭარა), ხოლო სვიმონ კანანელი ახალ ათონში (აფხაზეთი). თუმცა მოციქულთა ქადაგებებს ქვეყნის გაქრისტიანება არ მოჰყოლია. გავრცელებული ვერსიით, ქრისტიანობა ქართლში 326 წელს გამოცხადდა სახელმწიფო (ოფიციალურ) რელიგიად.

დაახლოებით ამ დროისთვის (ან ოდნავ ადრე) ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად მკვიდრდება დასავლეთ საქართველოშიც (ლაზიკაში).

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: *რელიგია, ასული, ქადაგება, სასწაული, ცნობა, კერპი, გავრცელება*

3. უპასუხეთ კითხვებს:

რომელი წყაროები გვანვდის ცნობებს ქართლის გაქრისტიანების შესახებ?

ვინ იყო ნინო კაპადოკიელი?

რამდენი წლის იყო ნინო, როდესაც მისი მშობლები ღვთის სამსახურს შეუდგნენ?

სად არის დაკრძალული წმინდა ნინო?

ვინ არის ეფთიმე მთაწმინდელის ნაწარმოების მიხედვით საქართველოს განმანათლებლად გამოცხადებული?

ვინ იქადაგა ქრისტიანობა საქართველოში?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

სალოცავად, ჩრდილოეთისაკენ, მტკვარს, წარმართმა, საქადაგებლად, ღმერთს.

რიფსიმეს აღთქმა ჰქონდა დადებული, რომ მთელ სიცოცხლეს მიუძღვნოდა და ქრისტიანობის 50 ქალწულთან ერთად სომხეთში წავიდა. სომხეთის მეფე თრდატმა ისინი აწამა. ნინო ღმერთის შთაგონებით წავიდა. გადავიდა ჭავჭავთში, აუყვა და ჩავიდა ქართლის ქალაქ ურბნისში, სადაც მცირე ხანს ცხოვრობდა „ურიათა უბანში“. შემდეგ ნინო სავაჭროდ და მიმავალ ხალხს გაჰყვა ქართლის დედაქალაქში.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

სიტყვით მცხეთაში აღმართული ღმერთმა დაამსხვრია კერპები

გაუკეთებია ნინოს ნასხლავისაგან ჯვარი ვაზის

გავრცელება საუკუნემდე ქრისტიანობის საქართველოში IV დაიწყო

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

მოუნდომებია, ქალთან, შეუდგნენ, იყო

ნინო კაპადოკიელი სარდლის, ზაბილონის და იერუსალიმის პატრიარქის დის, სუსანას ასული

როდესაც ნინო 12 წლის შეიქნა, მისი მშობლები ღვთის სამსახურს

ნინო მართლ დარჩა იერუსალიმში და ორ წელიწადს ცხოვრობდა ღვინელ სომეხ

რიფსიმეს ცოლად შერთვა ბიზანტიის კეისარს

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|---------------|------------|
| ა. სასწაულს | რელიგია |
| ბ. სენისაგან | სამსახური |
| გ. მზის | შერთვა |
| დ. სახელმწიფო | ახდენს |
| ე. ღვთის | განკურნება |
| ვ. ცოლად | დაბნელება |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცი |
|-----------|---------|---------------|
| | | |

თემა 10. ვახტანგ გორგასლის მეფობა

V საუკუნის მეორე ნახევარში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის შედარებითა მშვიდობამ დაისადგურა. ქრისტიანულ მიმართულებებს შორის დაპირისპირება, სოციალური წინააღმდეგობები და ჩრდილოკავკასიელი მომთაბარეების (ჰუნების) თავდასხმები ართულებდა იმპერიის მდგომარეობას, თურქული მოღვმის მომთაბარე ტომების, ჰეფთალეების შემოსევები კი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა სპარსეთს.

ამ დროისთვის აღმოსავლეთ ამიერკავკასია ირანის გავლენის ქვეშ იყო. სომხეთი (428 წლიდან) და ალბანეთი (461 წლიდან) ფაქტობრივად სპარსეთის პროვინციებს წარმოადგენდნენ. ქართლი, მართალია, ინარჩუნებდა სამეფო ხელისუფლებას, მაგრამ ისიც სპარსეთის უზენაესობას აღიარებდა.

V საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს (ან 40-იანი წლების დასაწყისში) გარდაიცვალა ქართლის მეფე **მირდატი. ვახტანგი** ამ დროისთვის შვიდი წლის ყოფილა და ქვეყანას მისი დედა **საგლუხტი** განაგებდა. საგლუხტი რანის პიტიახშის **ბარზაბოდის** ასული იყო. რანის პიტიახში ამიერკავკასიაში ირანის უმაღლეს მოხელეს წარმოადგენდა.

ვახტანგ გორგასლის გამეფების ზუსტი თარიღი უცნობია. ისტორიკოსთა უმრავლესობა თვლის, რომ ის V საუკუნის 40-იანი წლებში უნდა ასულიყო ტახტზე. გაზიარებული მოსაზრებით, ვახტანგს VI საუკუნის დასაწყისამდე უმეფია (სავარაუდოდ, 502-503 წლები).

ვახტანგ გორგასლის მეფობის შესახებ ცნობებს გვანდის XI საუკუნის ისტორიკოსი **ჯუანშერი**. მისი თხზულება „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ შესულია „ქართლის ცხოვრების“ კრებულში.

შაჰის მოთხოვნით ვახტანგს ჯარის გამოყვანა ევალებოდა. V საუკუნის 60-იან წლებში ქართლის მეფე შუა აზიაში იბრძოდა ირანის აღმოსავლეთი საზღვრების გასაფართოებლად და დასაცავად.

ჯუანშერის ცნობით, ვახტანგის მცირეწლოვნობის დროს ქართლი ოსებს დაულაშქრავთ. დაურბევიათ და გაუძარცვავთ ტერიტორია. მომხდურებს ვახტანგის და **მირანდუხტიც** დაუტყვევებიათ. სწორედ ამ შემოსევის სანაცვლოდ დაულაშქრავთ ქართველებს ოსეთი.

ჩრდილოეთ კავკასიიდან დაბრუნებულმა მეფემ სპარსეთის შაჰის ასულზე იქორწინა. დინასტიური ქორწინება ქართლსა და სპარსეთს შორის პოლიტიკური კავშირის განმტკიცებას ემსახურებოდა.

გარკვეული მხარდაჭერის მიუხედავად, სპარსეთი ვახტანგ გორგასლის მონინააღმდეგე წარჩინებულების გადაბირებასაც ცდილობდა. მომხრეობის სანაცვლოდ მათ შაჰი ხელშეუხებლობასა და წყალობას ჰპირდებოდა. სპარსეთის მხარდაჭერით განდიდებული ხელისუფალი იყო ქვემო ქართლის პიტიახში **ვარსქენი**. მან შაჰის მხარდაჭერის მოსაპოვებლად უარყო ქრისტიანობა და გამაზღვანებული, სპარსეთის დახმარებით დაიმედებული, აშკარად დაუპირისპირდა ვახტანგს. სარწმუნოებრივ ნიადაგზე ვარსქენს წინ აღუდგა მისი მეუღლე **შუშანიკი**, სომხეთის მხედართმთავრის, **ვარდან მამიკონიანის**, ასული.

ქვეყნის გაძლიერებისა და საბოლოო გათავისუფლებისაკენ იყო მიმართული აღმშენებლობითი საქმიანობაც.

ვახტანგ გორგასლის სახელთანაა დაკავშირებული თბილისის გადაქცევა ქართლის დედაქალაქად (ეს საქმე ვახტანგის მემკვიდრემ, **დაჩიმ** დაასრულა).

ვახტანგ გორგასლის უმთავრესი ამოცანა სპარსეთის გავლენისაგან ქვეყნის სრული გათავისუფლება იყო. ამ მიზნის მიღწევა ანტიირანული ძალების კონსოლიდაციით თუ მოხერხდებოდა. ამიტომ განამტკიცა მეფემ სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან (ჰუნებთან და ოსებთან), ალბანელებსა და სომხებთან.

სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყების ტოლფასი იყო 482 წელს ვარსქენის მოკვლა. დრო გონივრულად იქნა შერჩეული.

484 წელს სპარსეთის შაჰი **პეროზი** ჰუნებთან ბრძოლაში დაიღუპა. შექმნილმა მდგომარეობამ ახალი შაჰი აიძულა კავკასიელი ხალხების მიმართ გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. განვეულ იქნა სპარსეთის ჯარი, შესუსტდა ირანელთა ბატონობა...

V საუკუნის მიწურულს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის მორიგი ომი დაიწყო. ირანმა ქართლის მეფეს დახმარება სთხოვა. ვახტანგმა უარი შეუთვალა და საბრძოლო სამზადისს შეუდგა. ირანელთა მრავალრიცხოვანი ჯარი ქართლისაკენ გამოემართა. გადამწყვეტი შეტევის დროს ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა.

ვახტანგის გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. მეფე სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: დახმარება, ბრძოლა, საფრთხე, თავდასხმა, მოხელე, ჯარი, ბატონობა

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის გარდაიცვალა ქართლის მეფე მირდატი?

რამდენი წლის იყო ამ დროს ვახტანგი?

რა ერქვა ვახტანგის დედას?

ვინ იყო საგლეხტის მამა?

როდის გამეფდა ვახტანგ გორგასალი?

სად არის დაკრძალული ვახტანგ გორგასალი?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

პიტიახში, წყალობას, სარწმუნოებრივ, მონინალმდევე, ქრისტიანობა, მხარდაჭერის

გარკვეული მიუხედავად, სპარსეთი ვახტანგ გორგასლის
წარჩინებულების გადაბირებასაც ცდილობდა. მომხრეობის სანაცვლოდ მათ შაჰი
ხალშეუხებლობასა და ჰპირდებოდა. სპარსეთის მხარდაჭერით განდიდებული
ხელისუფალი იყო ქვემო ქართლის ვარსქენი. მან შაჰის მხარდაჭერის
მოსაპოვებლად უარყო და გამაზღვრებული, სპარსეთის დახმარებით
დაიმედებული, აშკარად დაუპირისპირდა ვახტანგს. ნიადაგზე ვარსქენს წინ
აღუდგა მისი მეუღლე შუშანიკი.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

საუკუნის სპარსეთსა მეხუთე მინურულს და ბიზანტიას მორიგი ომი დაიწყო შორის

ჯარი ირანელთა მრავალრიცხოვანი გამოემართა ქართლისაკენ

ვახტანგი სასიკვდილოდ შეტევის გადამწყვეტი დროს დაიჭრა

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

დასაცავად, ევალუბოდა ოსეთი, დაულაშქრავთ.

შაჰის მოთხოვნით ვახტანგს ჯარის გამოყვანა

V საუკუნის 60-იან წლებში ქართლის მეფე შუა აზიაში იბრძოდა ირანის აღმოსავლეთი საზღვრების გასაფართოებლად და

ჯუანშერის ცნობით, ვახტანგის მცირეწლოვნობის დროს ქართლი ოსებს

სწორედ ამ შემოსევის სანაცვლოდ დაულაშქრავთ ქართველებს

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|---------------|-------------|
| ა. ტახტზე | ტომები |
| ბ. მშვიდობამ | ხელისუფლება |
| გ. საფრთხეს | ქორწინება |
| დ. მომთაბარე | ასვლა |
| ე. სამეფო | დაისადგურა |
| ვ. დინასტიური | უქმნის |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 11. „დიდი ომიანობა ეგრისში“

V საუკუნის II ნახევრიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასია ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა. სპარსეთი ახლა უკვე შავიზღვისპირეთშიც გეგმავდა გაბატონებას, რაც რეგიონიდან ბიზანტიის იმპერიის გაძევებას ნიშნავდა.

532 წლის „საუკუნო ზავით“ ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დროებითმა მშვიდობამ დაისადგურა. ეს დრო ბიზანტიამ ლაზიკაში (ასე უწოდებდნენ ბიზანტიელი ისტორიკოსები ეგრისს) საკუთარი პოზიციების გასამყარებლად გამოიყენა, რადგან იცოდა, რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ლაზიკას როგორც მისთვის, ისე სპარსეთისათვის.

ბიზანტიამ საკუთარი გავლენის შესანარჩუნებლად ეგრისში გაზარდა ლაშქრის რაოდენობა და სტრატეგოსების ძალაუფლება, რამაც უკიდურესად შეასუსტა ადგილობრივი ხელისუფლება და გააუარესა მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. ბიზანტიელებმა ზღვის პირას, თანამედროვე ციხისძირის ადგილას, ააგეს ციხესიმაგრე **პეტრა**, რომელიც ბიზანტიელი სტრატეგოსის რეზიდენციად იქცა.

შექმნილი ვითარება თანდათან აღრმავებდა ბიზანტიელებსა და ეგრისელებს შორის წინააღმდეგობას. ქართველი პოლიტიკოსები ბიზანტიის ძალმომრეობისგან თავის დასაღწევად სპარსეთის ძალის გამოყენებას გეგმავდნენ.

542 წელს დაირღვა „საუკუნო ზავი“. სპარსელები **შაჰ ხოსროს** მეთაურობით და ეგრისელთა მეგობრობით დასავლეთ საქართველოში შემოვიდნენ. ეგრისის მეფე **გუბაზი** „ეთაყვანა ხოსროს, ვითარცა ბატონს და... მთელი ლაზიკა გადასცა მას“ (პროკოპი კესარიელი). ლაზთა და სპარსელთა გაერთიანებულმა ლაშქარმა ბიზანტიელებთან ბრძოლაში წარმატებებს მიაღწია. პეტრა ირანულმა გარნიზონმა დაიკავა. ეს, ფაქტობრივად, ბიზანტიელებზე სპარსელთა გამარჯვებას ნიშნავდა.

სპარსელების ბატონობა ქართველებისთვის საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. ეგრისი მოსწყდა ქრისტიანულ სამყაროს, შეწყდა ვაჭრობა ბიზანტიასთან. სპარსელები კარგად გრძნობდნენ, რომ ეგრისელები ახლა უკვე მათ აღიქვამდნენ დამპყრობლებად და წინააღმდეგობისთვის ემზადებოდნენ.

ეგრისის სამუდამოდ ფლობისათვის შაჰმა ხოსრომ გუბაზის მოკვლა, ეგრისელების აყრა და მათ ადგილზე სპარსელების და სხვა ერთგული ტომების ჩასახლება გადაწყვიტა.

სპარსელებმა დახმარება ადგილობრივ დიდებულს, გუბაზზე განაწყენებულ **ფარსანს** სთხოვეს. ფარსანმა დაივიწყა გუბაზთან მტრობა და მეფეს მოსალოდნელი საფრთხე აცნობა. შაჰის ჩანაფიქრის გამჟღავნებამ რადიკალურად შეცვალა გუბაზის დამოკიდებულება სპარსეთისადმი.

ახლა ლაზიკა ბიზანტიელების მოკავშირედ გამოდის. იმპერატორმა **იუსტინიანემ** გუბაზს 8000 მეომარი გაუგზავნა დასახმარებლად. ომი მთელი სისასტიკით განახლდა.

მოკავშირეებმა, პირველ რიგში, პეტრას შეუტყეს, მაგრამ ციხესიმაგრის აღება ვერ მოახერხეს. მოგვიანებით (551 წელს) ბიზანტიელებმა მაინც აიღეს პეტრა და სპარსელების ხელახალი თავდასხმის შიშით მიწასთან გაასწორეს. მეორე მხრივ, მარცხით დასრულდა ლაზიკის დედაქალაქ ციხე-გოჯზე სპარსელების იერიში. ომი საკმაოდ გაჭიანურდა, ამაში მეფე გუბაზი ბრალს ბიზანტიელ სარდლებს სდებდა, - ისინი სწრაფ გამარჯვებაზე მეტად ხალხის ძარცვასა და პირად გამდიდრებაზე ზრუნავდნენ... სტრატეგოსებმა, თავის გადარჩენის მიზნით, გუბაზს ლაღატი დასწამეს, მოსალაპარაკებლად მდინარე ხობის ნაპირას მიიწვიეს და მოკლეს.

გუბაზ მეფის მკვლელობამ ლაზთა აღშფოთება გამოიწვია. იმპერატორმა გუბაზის მკვლელობის გამოძიება და დამნაშავეებისათვის სასჯელის განსაზღვრა ცნობილ მოსამართლეს, **ათანასეს**, დაავალა. სასამართლო ციხე-გოჯში გაიმართა. გუბაზის მკვლელობაში ბრალდებულ

სტრატეგოსებს სიკვდილი მიესაჯათ. იმპერატორმა ეგრისის ახალ მეფედ გუბაზის მემკვიდრე **ნათე** დაამტკიცა.

ომის მომდევნო წლები სპარსელების წარუმატებლობით აღინიშნა. ადგილობრივი მოსახლეობის დახმარების გარეშე მათ ძალიან გაუჭირდათ მიუდგომელ, გაუვალ ადგილებში ბრძოლა, არანაკლებ ჭირდა მრავალრიცხოვანი ჯარის სურსათით მომარაგებაც. 562 წელს მებრძოლ მხარეთა შორის 50-წლიანი ზავი დაიდო. სპარსეთმა ეგრისიდან ჯარი გაიყვანა და დასავლეთ საქართველო ბიზანტიის გავლენის სფეროდ აღიარა. ასე დასრულდა თითქმის 20-წლიანი ომი, ანუ „დიდი ომიანობა“ ეგრისისათვის.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: სტრატეგოსი, ომი, ლალატი, ზავი, ციხესიმაგრე, მოსახლეობა, მეფე

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის დაიდო „საუკუნო ზავი“

როლის დაირღვა „საუკუნო ზავი“?

როგორი აღმოჩნდა სპარსელების ბატონობა ქართველებისთვის?

რა გადაწყვიტა შაჰმა ხოსრომ?

რატომ გაჭიანურდა ომი სპარსელებთან?

ვინ გახდა ეგრისის ახალი მეფე?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

გარნიზონმა, საქართველოში, ლაზთა, მეფე, ბიზანტიელებზე, მეთაურობით

სპარსელები შაჰ ხოსროს და ეგრისელთა მეგზურობით დასავლეთ
..... შემოვიდნენ. ეგრისისგუბაზი „ეთაყვანა ხოსროს, ვითარცა
ბატონს და მთელი ლაზიკა გადასცა მას“ (პროკოპი კესარიელი). და სპარსელთა
გაერთიანებულმა ლაშქარმა ბიზანტიელებთან ბრძოლაში წარმატებებს მიაღწია. პეტრა
ირანულმა დაიკავა. ეს, ფაქტობრივად, სპარსელთა გამარჯვებას
ნიშნავდა.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

წლები მომდევნო წარუმატებლობით სპარსელების ომის აღინიშნა

დახმარების გაუჭირდათ მოსახლეობის ადგილობრივი გარეშე მათ ძალიან ბრძოლა

მებრძოლ 562 წელს შორის 50-წლიანი დაიღო მხარეთა ზავი

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

დამპყრობლებად, ბიზანტიასთან, აღმოჩნდა, მოახერხეს

სპარსელების ბატონობა ქართველებისთვის საკმაოდ მძიმე

მოკავშირეებმა ციხესიმაგრის აღება ვერ

ეგრისი მოსწყდა ქრისტიანულ სამყაროს, შეწყდა ვაჭრობა

სპარსელები კარგად გრძნობდნენ, რომ ეგრისელები ახლა უკვე მათ აღიქვამდნენ

.....

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|-----------------|-------------|
| ა. ქრისტიანული | მიაღწია |
| ბ. ციხესიმაგრის | ვითარება |
| გ. წარმატებას | სამყარო |
| დ. ბრალს | მნიშვნელობა |
| ე. შექმნილი | აღება |
| ვ. სტრატეგიული | სდებს |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცი |
|-----------|---------|---------------|
| | | |

თემა 12. არაბობა საქართველოში

640 წელს არაბებმა დაიპყრეს სომხეთი. მომდევნო წლებში მათ ლაშქარი ქართლშიც გამოგზავნეს. იმხანად ქართველებმა არაბებს შედარებით იოლად სძლიეს და ქვეყნიდან განდევნეს. ამავე დროს, კავკასიაში დაკარგული პოზიციის აღსადგენად, ბიზანტიელები სომხეთში შეიჭრნენ, მაგრამ არაბებთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ (654 წ.). ბიზანტიელთა სარდალმა **მავრიანოსმა** თავი ქართლს შეათვარა. არაბები **ჰაბიბ იბნ მასლამას** მეთაურობით ქართლს მოადგნენ. ერისმთავარმა **სტეფანოზ II-მ** არაბებთან ბრძოლა მიზანშეწონილად ჩათვალა.

ერისმთავარმა არაბ სარდალს მოციქულის ხელით მდიდრული საჩუქრები აახლა. მორჩილების სანაცვლოდ **ჰაბიბ იბნ მასლამამ** ქართლს „დაცვის სიგელი“ უბოძა.

არაბთა ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში დიდხანს არ გაგრძელებულა. სახალიფო მინაომებმა მოიკვა და 661 წლამდე არაბები ქართლში აღარ გამოჩენილან. სამოციანი წლებიდან ქართლის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გართულდა. არაბთა სახალიფო და ბიზანტია ქართლის დაუფლებისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ. მათ, ერთი მხრივ, ხარკი, ხოლო, მეორე მხრივ, საუღელტეხილო გზების ხელში ჩაგდება სურდათ. ამას ემატებოდა ხაზართა მძარცველური თავდასხმები. ამდენად, ქართველ ხალხს სამი მიმართულებით უწევდა ბრძოლა.

ქვეყნის დაუძლურებით ყველაზე კარგად ისევ არაბებმა ისარგებლეს და ქართლზე თავიანთი მმართველობა აღადგინეს. VII საუკუნის მიწურულისთვის მათ დასავლეთ საქართველოშიც მოიკიდეს ფეხი. VIII საუკუნის დასაწყისისთვის არაბებს, შავიზღვისპირა ზოლის გარდა, მთელი დასავლეთ საქართველო ემორჩილებოდა.

724 წელს ქართლში ილაშქრა არაბმა სარდალმა **ჯარაჰმა**. მან განაახლა „დაცვის სიგელი“ და, თავის მხრივ, ამ ხელშეკრულებას რამდენიმე პუნქტიც დაუმატა.

ახალმა საგადასახადო ვალდებულებამ ხალხში მღელვარება გამოიწვია. ურჩთა დასასჯელად ხალიფა **ჰაშიმმა** ამიერკავკასიაში გამოცდილი სარდალი **მურვან იბნ-მუჰამედი იგივე მურვან ყრუ** გამოგზავნა. მურვან იბნ-მუჰამედი საქართველოში 735 წელს შემოვიდა 120 ათასი მეომრით. აღმოსავლეთ საქართველოს დალაშქვრის შემდეგ ის ეგრისში გადავიდა.

VIII საუკუნის შუა წლებისათვის არაბებმა დაპყრობითი ომები დაასრულეს. სახალიფოში უწყვეტ ნაკადად აღარ მოედინებოდა ნაძარცვი ქონება. დაპყრობილ ხალხებზე განერილი ხარკი კი საკმარისი არ იყო უკიდვანო იმპერიის სამართავად, მრავალრიცხოვანი ჯარისა და ბიუროკრატიის შესანახად. ამიტომ არაბებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს გადასახადები, გამკაცრდა რელიგიური პოლიტიკაც - არაბები სულ უფრო ნაკლებ შემწყნარებლობას იჩენდნენ სხვა აღმსარებლობის მიმართ. ამ ყოველივემ დაპყრობილ ხალხებში გაააქტიურა გამათავისუფლებელი ბრძოლები.

914 წელს არაბები, აბულ კასიმის სარდლობით, ლაშქრობენ ქართლში, კახეთსა და სამცხეში. მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ყველის ციხის (ჯავახეთი) მცველებმა ახალგაზრდა აზნაურის **გობრონის** მეთაურობით.

არაბები ამის შემდეგაც არბევნ საქართველოს სხვადასხვა მხარეს. 936 წელს ამირა **საჯიმ ჯერ** კახეთი დალაშქრა, შემდეგ ქართლში გადავიდა და მცხეთის ჯვრის ტაძარი დაანგრია.

ამის მიუხედავად, არაბთა ბატონობის აღდგენა საქართველოში ვეღარ მოხერხდა. თვით თბილისის საამიროც სახალიფოსაგან სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: ლაშქარი, ბატონობა, საამირო, ბრძოლა, მეთაური, ხარკი, მეომარი

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის დაიპყრეს არაბებმა სომხეთი?

როდის გამოჩნდნენ არაბები ქართლში ხელახლა?

რომელი ქვეყნები ეცილებოდნენ ერთმანეთს ქართლის დაუფლებისათვის?

როდის დაასრულეს არაბებმა დაპყრობითი ომები?

როდის ილაშქრეს არაბებმა აბულ კასიმის სარდლობით ქართლში, კახეთსა და სამცხეში?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ხარკი, ნაძარცვი, აღმსარებლობის, რელიგიური, დაპყრობითი, ბიუროკრატიის

VIII საუკუნის შუა წლებისათვის არაბებმა ომები დაასრულეს. სახალიფოში უწყვეტ ნაკადად აღარ მოედინებოდა ქონება. დაპყრობილ ხალხებზე განერილი კი საკმარისი არ იყო უკიდვრად იმპერიის სამართავად, მრავალრიცხოვანი ჯარისა და შესანახად. ამიტომ არაბებმა მნიშვნელოვნად გაზარდეს გადასახადები, გამკაცრდა პოლიტიკაც - არაბები სულ უფრო ნაკლებ შემწყნარებლობას იჩენდნენ სხვა მიმართ.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

საჩუქრები მდიდრული მოციქულის სარდალს ერისმთავარმა არაბ ხელით აახლა

უბოძა სანაცვლოდ მორჩილების ქართლს „დაცვის სიგელი“ მასლამამ

ბატონობა დიდხანს არაბთა საქართველოში არ გაგრძელებულა აღმოსავლეთ

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ბრძოლა, ეცილებოდნენ, გამოჩენილან, თავდასხმები, ვართულდა

სახალიფო შინაომებმა მოიკვა და 661 წლამდე არაბები ქართლში აღარ
სამოციანი წლებიდან ქართლის მდგომარეობა მნიშვნელოვნად
არაბთა სახალიფო და ბიზანტია ქართლის დაუფლებისათვის ერთმანეთს
ამას ემატებოდა ხაზართა მძარცველური
ქართველ ხალხს სამი მიმართულებით უწევდა

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|----------------------|-------------|
| ა. საგადასახადო | ეცილებიან |
| ბ. უწყვეტი | ჩაგდება |
| გ. წინააღმდეგობა | ნაკადი |
| დ. ერთმანეთს | ვალდებულება |
| ე. ხელში | ბრძოლა |
| ვ. გამათავისუფლებელი | გაუწია |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 13. ახალი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება

VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე არაბთა მმართველობის ქვეშ ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ნაწილი რჩებოდა, რაც ხელს უწყობდა პერიფერიების კულტურულ, სამეურნეო და პოლიტიკურ დანინაურებას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ახალი ქართული სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებას.

კახეთის სამთავრო სამ ისტორიულ მხარეს: კახეთს, კუხეთსა და გარდაბანს მოიცავდა. კახეთის მთავარს ქორეპისკოპოსი ეწოდებოდა. თავდაპირველად ქორეპისკოპოსი იყო სასულიერო პირი, რომელმაც თანდათან საერო ხელისუფლებაც შეითავსა. მოგვიანებით ქორეპისკოპოსის თანამდებობამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა და ის საერო ხელისუფლად ჩამოყალიბდა.

ჰერეთის პოლიტიკურ გაძლიერებას მისი ეკონომიკური აღმავლობაც უწყობდა ხელს. აქ ძველთაგანვე იყო განვითარებული მემარცვლეობა და მევენახეობა, მისდევდნენ მესაქონლეობასაც.

ჰერეთზე გადიოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ ამიერკავკასიის დამაკავშირებელი სავაჭრო გზაც. ჰერები არაბულ სამყაროსთანაც აქტიურად ვაჭრობდნენ, რასაც ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არაბული მონეტებიც ადასტურებს.

ბიზანტიასთან და არაბთა სახალიფოსთან ომებმა დაასუსტა **ეგრისის** სამეფო. ამით ისარგებლა აფხაზთა საერისთავომ და ჯერ ეგრისის ქვეშევრდომობისგან გაითავისუფლა თავი, შემდეგ კი მთელი დასავლეთ საქართველო შემოიერთა. აფხაზთა სამეფოს დამაარსებელია **ლეონი**. აფხაზთა სამეფოს ფორმირება VIII საუკუნის ბოლოს მოხდა. სამეფოს დედაქალაქი იყო **ქუთაისი**.

აფხაზთა სამეფო იმთავითვე აქტიურად ჩაერთო საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში. აფხაზთა მეფე კახეთის ქორეპისკოპოსთან ერთად იბრძოდა ჰერეთის დასაუფლებლად. აფხაზთა მეფეები ფლობდნენ შიდა ქართლსაც.

დასავლეთ საქართველოში არსებული ეპარქიები – ლაზეთის სამიტროპოლიტო და აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო ბიზანტიის ეკლესიას ექვემდებარებოდნენ.

მღვდელმთავრებს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ნიშნავდა, ღვთისმსახურება კი ბერძნულ ენაზე აღევლინებოდა. ბიზანტიისაგან პოლიტიკური და ეკლესიური დამოუკიდებლობის მოპოვებას ემსახურებოდა აფხაზთა მეფის მიერ ქართული საეპისკოპოსო ცენტრების დაარსება.

IX საუკუნის დამდეგს ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის სამთავრო. მისი შექმნა ქართლის უკანასკნელ ერისმთავარ **აშოტ ბაგრატიონს** უკავშირდება.

არაბთაგან შევიწროებული აშოტი კლარჯეთში დამკვიდრდა, მურვან-ყრუსაგან განადგურებული არტანუჯის ციხე-ქალაქი აღადგინა და სამთავროს ცენტრად აქცია.

აშოტი თავიდანვე ბიზანტიის მოკავშირე იყო, ამიტომაც მიიღო კურაპალატის ტიტული.

ტაო-კლარჯეთში **გრიგოლ ხანძთელის** ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა სამონასტრო მშენებლობა.

888 წელს აშოტ კურაპალატის შთამომავალმა ადარნასე II-მ „ქართველთა მეფის“ ტიტული მიიღო, ხოლო სამთავროს „ქართველთა სამეფო“ ეწოდა. „ქართველთა სამეფომ“ განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია X საუკუნის II ნახევარში, **დავით III** კურაპალატის მმართველობის დროს (966-1001 წწ.). დავითმა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა ახალგაიშვრატორებულ **ბასილ II-ს ბარდა სკლიაროსის** აჯანყების დროს (ბარდა სკლიაროსი მცირე აზიის დიდი მოხელე იყო). ქართველთა 12000-იანმა ლაშქარმა ბერი **იოანესა**

(ერისკაცობაში **თორნიკე ერისთავი**) და ერისთავთერისთავის **ჯოჯიკის** სარდლობით, ბიზანტიელებთან ერთად, 979 წელს დაამარცხეს აჯანყებული სკლიაროსი. ქართულმა მხარემ ამ ბრძოლაში დიდი ნაღველი იგდო ხელთ, რომლის ნაწილიც ათონის ივერთა მონასტრის დაარსებას მოხმარდა. დახმარების სანაცვლოდ ბიზანტიამ დავითს რამდენიმე პროვინციაც გადასცა. ყოველივემ ამან მნიშვნელოვნად განამტკიცა „ქართველთა სამეფოს“ პოზიციები სამხრეთ კავკასიაში.

IX საუკუნიდან სახალიფოსგან დამოუკიდებლობა მოიპოვა თბილისის საამირომაც. დროდადრო ხალიფები ურჩი ამირების წინააღმდეგ სადამსჯელო ლაშქრობებს აწყობდნენ. ამ ლაშქრობათა მიზანი არა მხოლოდ ამირას დამორჩილება იყო, არამედ მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე არაბთა მფლობელობის აღდგენა. ასეთ ვითარებაში ქართულ სახელმწიფოთა ნაწილი თბილისის საამიროს მოკავშირედ გამოდის.

თბილისი თავისი აღმოსავლური იერიით საგრძნობლად განსხვავდებოდა სხვა ქართული ქალაქებისგან. ის ამიერკავკასიაში მსხვილ სავაჭრო ცენტრად გადაიქცა, რასაც ხელს უწყობდა აქ გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალეები.

თბილისის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუსლიმი იყო. გარკვეული რაოდენობით ცხოვრობდნენ ებრაელები, ქართველები და სომხები.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: ტიტული, მოკავშირე, ნაღველი, ცენტრი, პროვინცია, მოხელე, საამირო

3. უპასუხეთ კითხვებს:

რომელი საუკუნიდან მოიპოვა თბილისის საამირომ დამოუკიდებლობა სახალიფოსგან?

როდის მიიღო აღარნასე II-მ „ქართველთა მეფის“ ტიტული?

როდის ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის სამთავრო?

რომელ წელს დაამარცხა აჯანყებული სკლიაროსი ქართველთა და ბერძენთა გაერთიანებულმა ლაშქარმა?

ვის სახელს უკავშირდება ტაო-კლარჯეთის სამთავროს შექმნა?

რომელი ციხე-ქალაქი აღადგინა აშოტ კურაპალატმა?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

სახალიფოსთან, დამაარსებელია, მონეტებიც, ვაჭრობდნენ, დედაქალაქი, დასავლეთ, საერისთავომ

ჰერები არაბულ სამყაროსთანაც აქტიურად....., რასაც ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არაბული ადასტურებს. ბიზანტიასთან და არაბთა ომებმა დაასუსტა ეგრისის სამეფო. ამით ისარგებლა აფხაზთა და ჯერ ეგრისის ქვეშევრდომობისგან გაითავისუფლა თავი, შემდეგ კი მთელი საქართველო შემოიერთა. აფხაზთა სამეფოს ლეონი. აფხაზთა სამეფოს ფორმირება VIII საუკუნის ბოლოს მოხდა. სამეფოს იყო ქუთაისი.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (აანწყვეთ) წინადადებები:

თბილისის დამოუკიდებლობა IX საუკუნიდან სახალიფოსგან მოიპოვა საამირომაც

ანყობდნენ ამირების ლაშქრობებს სადამსჯელო დროდადრო ხალიფები ურჩი წინააღმდეგ

სახელმწიფოთა თბილისის ქართულ ნაწილი მოკავშირედ გამოდის საამიროს

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

გადასცა, სკლიაროსი, კავკასიაში, ხელთ

ბიზანტიელებთან ერთად, 979 წელს დაამარცხეს აჯანყებული

ქართულმა მხარემ ამ ბრძოლაში დიდი ნადავლი იგდო

დახმარების სანაცვლოდ ბიზანტიამ დაუთმო რამდენიმე პროვინციაც

ყოველივემ ამან მნიშვნელოვნად განამტკიცა „ქართველთა სამეფოს“ პოზიციები სამხრეთ
.....

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|-------------------|------------|
| ა. იგდო | ლაშქრობები |
| ბ. სავაჭრო | აღევლინება |
| გ. ღვთისმსახურება | დახმარება |
| დ. სადამსჯელო | ხელთ |
| ე. დამოუკიდებლობა | მაგისტრალი |
| ვ. სამხედრო | მოიპოვა |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 14. საქართველოს გაერთიანების დასაწყისი

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში უპირატესობა „ქართველთა სამეფომ“ მოიპოვა. **დავით III** კურაპალატის მემკვიდრე (შვილობილი) **ბაგრათი** იმავდროულად აფხაზთა უსინათლო და უმემკვიდრეო მეფის **თეოდოსის** დისწულიც იყო. ამ დროს აფხაზთა მეფეები შიდა ქართლსაც ფლობდნენ. შიდა ქართლის ერისთავად მათ **იოანე მარუშისძე** დანიშნეს. სწორედ იოანე მარუშისძე გვევლინება საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ ინიციატორად.

მისი გეგმის მიხედვით, ქართლში ბაგრათი უნდა გაემეფებინათ, ხოლო დასავლეთ და სამხრეთ საქართველო მას დინასტიური გზით უნდა რგებოდა. 975 წელს დავით კურაპალატი ქართლში გადავიდა და იქ ბაგრათი გაამეფა. 978 წელს დავით კურაპალატისა და იოანე მარუშისძის მხარდაჭერით ბაგრათი აფხაზთა მეფე ხდება.

ბაგრატ III გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფედ ითვლება. მის მფლობელობაში შედიოდა დასავლეთ საქართველო, შიდა ქართლი, კახეთი, ჰერეთი, სამხრეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი (გარდა ბიზანტიელების მიერ მიერთებული ტერიტორიებისა). ერთიანი საქართველოს გარეთ რჩებოდა თბილისის საამირო. ბაგრათი იწოდებოდა „მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა (ჰერთა) და კახთა“.

ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ტახტზე ადის **გიორგი I** (1014-1023 წწ.). მისი გამეფების პირველივე წელს ადგილობრივი აზნაურების მხარდაჭერით კახეთ-ჰერეთში აღდგა მეფობა, რითაც ეს მხარე ჩამოსცილდა ერთიან საქართველოს. გართულდა ქვეყნის საგარეო მდგომარეობაც.

გიორგი I-ის ძის, **ბაგრატ IV**-ის (1027-1072 წწ.) მეფობისას ისევ დაძაბული რჩება ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობები. გამეფების პირველსავე წელს, ბიზანტიის ნაქეზებით მეფეს ტაოელი ფეოდალები განუდგნენ. მათ მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდათ.

ბაგრატ IV-ის დროს გართულდა ქვეყნის საშინაო მდგომარეობა. სამეფო ხელისუფლებას დაუპირისპირდა კლდეკარის ერისთავი **ლიპარიტ ბაღვაში**. კონფლიქტის მიზეზთა შორის ისტორიკოსები თბილისისათვის ბრძოლის პერიპეტეიბსაც ასახელებენ. მართლაც, 1032 წელს ლიპარიტ ბაღვაში და **იოანე აბაზასძემ** (მეფის მომხრე დიდებულმა) შეიპყრეს თბილისის ამირა და მეფეს მიჰგვარეს. მეფემ ამირა შეინყალა და გაათავისუფლა. 1037 წელს, ლიპარიტის ინიციატივით, ბაგრატ IV-მ თბილისს ალყა შემოარტყა. ალყა ორ წელიწადს გაგრძელდა. ქალაქის მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდა. ამირა გაქცევის სამზადისს შეუდგა... მაგრამ მეფემ მოულოდნელად, ლიპარიტთან შეუთანხმებლად, ქალაქს ალყა მოხსნა.

ამ მოვლენების შემდეგ ლიპარიტი მეფეს დაუპირისპირდა. 1046 წელს თბილისის მმართველებმა (ბერებმა) ქალაქი ბაგრატს გადასცეს.

ამავე დროს, ლიპარიტი ბაგრატის წინააღმდეგ აჯანყდა. მეფე იძულებული გახდა ერისთავის წინააღმდეგ მიემართა ძალები და თბილისი დაეთმო.

ლიპარიტთან ურთიერთობის მოგვარების მიზნით ბაგრატ IV კონსტანტინოპოლში გაემგზავრა. იმპერატორმა ის სამ წელიწადს დააყოვნა. ამასობაში ლიპარიტმა ბაგრატის მცირეწლოვანი ძე **გიორგი** რუისის ტაძარში მეფედ აკურთხა და თავი მის გამზრდელად გამოაცხადა.

საბოლოოდ, ლიპარიტ ბაღვაში ისევ მისმა ქვეშევრდომმა აზნაურებმა შეიპყრეს. მეფემ ლიპარიტი დაატყვევა, ბერად აღკვეცა და ბიზანტიაში გააძევა.

XI საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოში თურქ-სელჩუკების შემოსევები იწყება. 1064 წელს მათ, ალფ-არსლანის სარდლობით, ახალქალაქი და მიმდებარე მხარეები დალაშქრეს,

1068 წელს კი – ქართლი და ზემო იმერეთი. მშვიდობის სანაცვლოდ ალფ-არსლანმა ბაგრატ IV-ს მორჩილება და ხარკის გადახდა მოსთხოვა. ბაგრატისათვის ეს პირობები მიუღებელი აღმოჩნდა.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით:

გააძევა, შეიპყრო, გაემგზავრა, შეიწყალა, გაათავისუფლა, აჯანყდა, დაუპირისპირდა

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის გამეფდა გიორგი I?

ვინ არის საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი ინიციატორი?

ვინ იყო დავით III კურაპალატის მემკვიდრე?

ვინ ითვლება გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფედ?

ვინ დაუპირისპირდა ბაგრატ IV-ის სამეფო ხელისუფლებას ?

რომელი წლებიდან იწყება საქართველოში თურქ-სელჩუკების შემოსევები?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

შეინყალა, მოსახლეობა, ამირა, ერისთავი, ბრძოლის, მღვთმარეობა, შეიპყრეს, ალყა

ბაგრატ IV-ის დროს გართულდა ქვეყნის საშინაო სამეფო ხელისუფლებას დაუპირისპირდა კლდეკარის ლიპარიტ ბაღვაში. კონფლიქტის მიზეზთა შორის ისტორიკოსები თბილისისათვის პერიპეტებსაც ასახელებენ. მართლაც, 1032 წელს ლიპარიტ ბაღვაში და იოანე აბაზასძემ თბილისის და მეფეს მიჰკვარეს. მეფემ ამირა და გაათავისუფლა. 1037 წელს ბაგრატ IV-მ თბილისს შემოარტყა. ალყა ორ წელიწადს გაგრძელდა. ქალაქის უკიდურეს გაჭირვებაში ჩაფარდა.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (აანწყვეთ) წინადადებები:

მეფეს ამ შემდეგ ლიპარიტი დაუპირისპირდა მოვლენების

მმართველებმა 1046 წელს თბილისის ბაგრატს გადასცეს ქალაქი

თბილისი მეფე გახდა დაეთმო იძულებული

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ითვლება, შეიპყრეს, გიორგი I, ნაწილი

ბაგრატ III გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფედ

მის მფლობელობაში შედიოდა დასავლეთ საქართველო, შიდა ქართლი, კახეთი, ჰერეთი, სამხრეთ საქართველოს უდიდესი

ბაგრატ III-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ტახტზე ადის

ლიპარიტ ბაღვაში ისევ მისმა ქვეშევრდომმა აზნაურებმა

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|--------------|-------------|
| ა. სამეფო | გახდა |
| ბ. ალყა | აკურთხა |
| გ. ტახტზე | შემოართყა |
| დ. იძულებული | ხელისუფლება |
| ე. მეფედ | გაჭირვება |
| ვ. უკიდურესი | ავიდა |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცი |
|-----------|---------|---------------|
| | | |

თემა 15. დავით აღმაშენებლის რეფორმები

1089 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე 16 წლის **დავით IV აღმაშენებელი** ავიდა (1089-1125 წწ.). მან თანდათანობით, გეგმაზომიერი რეფორმებით, დაძლია ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი პრობლემები: ფეოდალური განკერძოება, თურქ-სელჩუკთა თარეში, ქვეყნის პოლიტიკური დაქსაქსულობა, სამეურნეო ნგრევა და სხვა.

სახელმწიფოს გაძლიერებისათვის მიმართულ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო სამხედრო რეფორმა. არსებული ჯარი, როგორც ჩანს, მეფეს საიმედო დასაყრდენად არ მიაჩნდა.

ახალი ჯარი სამ ნაწილად იყოფოდა: მეფის პირად უსაფრთხოებას „მონა-სპა“ უზრუნველყოფდა, მეციხოვნეებს ქალაქებისა და ციხეების დაცვა ევალებოდათ, ჯარის ძირითად ბირთვს _ მოლაშქრეებს სახელმწიფო შემოჭრილი მტრისაგან უნდა დაცვათ.

სამხედრო რეფორმამ მეფეს საშუალება მისცა აღმოსავლეთ საქართველოს ბარიდან განედევნა თურქ-სელჩუკები და გახიზნული მოსახლეობა დაებრუნებინა. მეფემ მსხვილ ფეოდალებთან ბრძოლაშიც წარმატებას მიაღწია. დაამარცხა კლდეკარის ურჩი ერისთავი **ლიპარიტ ბაღვაში** და ერთგულების ფიცით შეიწყნარა. ლიპარიტის „ერთგულება“ ხანმოკლე აღმოჩნდა.

მეფემ ის ბიზანტიაში გააძევა, ხოლო **რატი ლიპარიტის ძის** გარდაცვალების შემდეგ კლდეკარის საერისთავო გააუქმა. დავით IV მკაცრად გაუსწორდა აბულეთისძეთა ფეოდალურ სახლსაც. მათი კუთვნილი მამულის ნაწილი (ზედაზნის ციხე და მუხრანი) შიომღვიმის მონასტერს გადაეცა.

1104 წელს რუის-ურბნისში, დავით აღმაშენებლის ინიციატივით, საეკლესიო კრება მოიწვიეს. კრებამ, რომელიც კათალიკოს **იოანეს** თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, ეკლესიიდან განკვეთა მეფის მოწინააღმდეგე სამღვდელთა. განკვეთილთა შორის იყვნენ საეკლესიო თანამდებობისათვის შეუფერებელი სასულიერო პირებიც. მეფემ ეკლესია-მონასტრებს მნიშვნელოვანი შეღავათებიც მიანიჭა - გაათავისუფლა ისინი სახელმწიფო გადასახადებისაგან. სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობების გაერთიანება. მწიგნობართუხუცესი მეფის შემდეგ უმაღლესი საერო თანამდებობა იყო. ჭყონდიდელი კი ჭყონდიდის (სამეგრელოშია) ეპისკოპოსს აღნიშნავს.

ამ თანამდებობების გაერთიანებამ დავითს საეკლესიო საქმეების გაკონტროლების საშუალება მისცა. რუის-ურბნისის კრებამ მიიღო საეკლესიო კანონი „ძეგლისწერა“. ამ კანონის მიხედვით: ეკლესიიდან უნდა გაეძევებინათ უღირსი სასულიერო პირები; წესდებოდა ასაკობრივი შემლუდვა სხვადასხვა საეკლესიო თანამდებობისთვის: ეპისკოპოსისთვის - 35 წელი, მღვდლისთვის - 30 წელი, დიაკონისთვის - 25 წელი; ამ საეკლესიო იერარქიის გავლა ცხადდებოდა სავალდებულოდ; იკრძალებოდა საეკლესიო თანამდებობების ყიდვა-გაყიდვა, მათი მემკვიდრეობით გადაცემა და სხვა.

საქართველოს პირველი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და მისი პოლიტიკის ერთგული მხარდამჭერი **გიორგი** იყო. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ გიორგი შეიქმნა ყველა იმ ღონისძიების სულისჩამდგმელი, რომლებსაც მეფე ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის გეგმავდა და ახორციელებდა. ქვეყნის შიგნით წესრიგის განმტკიცებას ემსახურებოდა „მსტოვართა“ აპარატის შექმნა.

დავითის ისტორიკოსის ცნობით, ამიერიდან ორგულებასა და ლალატს ვერავინ გაბედავდა. მსტოვართა აპარატი ქვეყნის გარეთაც მოქმედებდა, რის შედეგადაც სამეფო კარმა ზედმიწევნით

კარგად იცოდა უცხოეთში მიმდინარე პროცესების შესახებ, დროულად ხდებოდა მისი ინფორმირება მოახლოებული საფრთხის თაობაზე.

დავით აღმაშენებელმა შექმნა სპეციალური უწყება „სააჯო კარი“, რომელსაც სათავეში გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ჩაუყენა. „სააჯო კარი“ განიხილავდა სხვადასხვა სახის საჩივრებსა და მოხსენებებს. ორშაბათობით სასახლის ამ უწყებაში „ობოლთა და ქვრივთა და მიმძღავრებულთა მოჩივართა“ საქმეების განსახილველად სპეციალურად მიბრძანდებოდა გიორგი მწიგნობართუხუცესი.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: რეფორმა, ფიცი, კანონი, მემკვიდრეობით, კრება, მონინაალმღევე, შეღავათი

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის გამეფდა დავით აღმაშენებელი?

რამდენი წლის იყო დავითი, როდესაც გამეფდა?

როდის მოიწვიეს რუის-ურბნისის საეკლესიო კრება?

რომელი კანონი მიიღო რუის-ურბნისის კრებამ?

ვინ იყო საქართველოს პირველი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი?

რა რეფორმები ჩაატარა დავით აღმაშენებელმა?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

უმალღესი, შეღავათებიც, ჭყონდიდელი, სასულიერო, განკვეთა, კათალიკოს, მწიგნობართუხუცესისა

კრებამ, რომელიც იოანეს თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, ეკლესიიდან მეფის მონინალმდევე სამღვდელოება. განკვეთილთა შორის იყვნენ საეკლესიო თანამდებობისათვის შეუფერებელი პირებიც. მეფემ ეკლესია-მონასტრებს მნიშვნელოვანი მიანიჭა _ გაათავისუფლა ისინი სახელმწიფო გადასახადებისაგან. სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა და ჭყონდიდელის თანამდებობების გაერთიანება. მწიგნობართუხუცესი მეფის შემდეგ საერო თანამდებობა იყო, კი ჭყონდიდის ეპისკოპოსს აღნიშნავს.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (აანწყვეთ) წინადადებები:

კანონი საეკლესიო მიიღო რუის-ურბნისის კრებამ „ძველისწერა“

სხვადასხვა საეკლესიო შეზღუდვა ასაკობრივი თანამდებობისთვის წესდებოდა

სავალდებულოდ გავლა ცხადდებოდა ამ საეკლესიო იერარქიის

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

შექმნა, მოქმედებდა, იყო გაბედავდა

საქართველოს პირველი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი გიორგი
ქვეყნის შიგნით წესრიგის განმტკიცებას ემსახურებოდა „მსტოვართა“ აპარატის
ამიერიდან ორგულებასა და ლალატს ვერავინ
მსტოვართა აპარატი ქვეყნის გარეთაც

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|---------------|--------------|
| ა. სასულიერო | განმტკიცება |
| ბ. საეკლესიო | გადასახადები |
| გ. ფეოდალური | შემლუდვა |
| დ. სახელმწიფო | იერარქია |
| ე. ასაკობრივი | განკერძოება |
| ვ. წესრიგის | პირი |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 16. დავით აღმაშენებელი - საქართველოს გამაერთიანებელი

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა დავით IV-მ კახეთ-ჰერეთის შემოერთებით დაიწყო (1101-1104 წწ.). მეფემ აიღო ზედაზნის ციხე, რასაც კახეთის დაკავების პროცესში მნიშვნელოვანი სამხედრო პლაცდარმის როლი უნდა შეესრულებინა. ამასთან, აქ თანდათან იზრდებოდა დავითის პოლიტიკის მომხრეთა რიცხვი. სწორედ მათ შეიპყრეს კახეთ-ჰერეთის უკანასკნელი მეფე **აღსართანი**. საქართველოს გაერთიანებას მტრულად შეხვდნენ აღსართანის მოკავშირე თურქ-სელჩუკები. 1104 წელს დავით მეფემ ისინი ერწუხის ბრძოლაში დაამარცხა.

1110-1118 წლებში დავით IV-მ გაათავისუფლა თურქ-სელჩუკთა მფლობელობაში მყოფი ქალაქები: სამშვილდე, რუსთავი, ლორე და მიმდებარე ტერიტორიები. ამის შედეგად თბილისი მოსწყდა თურქულ სამყაროს.

1118 წელს დავითმა საქართველოში დაახლოებით 40 ათასი ოჯახი ყივჩაღი ჩამოასახლა. ყოველ ოჯახს თითო მხედარი უნდა გამოეყვანა მუდმივ სამხედრო სამსახურში. ამით მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართული ჯარის რიცხოვნობა და ბრძოლისუნარიანობა. ყივჩაყებმა მალევე მიიღეს ქრისტიანობა, შეითვისეს ადგილობრივი წეს-ჩვეულებები და ქართველ ხალხს შეერწყნენ. ყივჩაყები კავკასიის ჩრდილოეთით, თანამედროვე რუსეთის სამხრეთ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ და მომთაბარეობას ეწეოდნენ. ცხოვრების მკაცრმა პირობებმა ისინი კარგ მეომრებად აქცია. XI-XII საუკუნეების მიჯნაზე გაძლიერებული კიევის რუსეთის სახელმწიფო თანდათან ავიწროებდა ყივჩაყებს. ამიტომაც დათანხმდა მათი ნაწილი საქართველოში გადმოსახლებას. ყივჩაყებთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით დავითმა მათი მთავრის **ათრაქა შარალანისძის** ასულზე იქორწინა.

ცხადი იყო, გაძლიერებული ქართული სახელმწიფო მთავარი ბრძოლისთვის ემზადებოდა - დავითმა ყოველმხრივ ალყაში მოაქცია თბილისის საამირო და მისი ალებით საქართველოს გაერთიანების დასრულებას გეგმავდა. თბილისელმა მუსლიმებმა დახმარებისთვის თურქ სულთნებსა და ბაღდადის ხალიფას მიმართეს.

ბაღდადის ხალიფამ მაჰმუდ მოჰამედისძემ „ყოველთა სპარსთა და არაბთა“ საქართველოზე ლაშქრობისაკენ მოუწოდა. მრავალრიცხოვან ჯარს, რომელიც, სხვადასხვა მონაცემით, 400-დან 600 ათას მეომრამდე მერყეობდა, ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლებში გამოცდილი სარდალი ილ-ლაზი ჩაუდგა სათავეში.

საქართველოს ჯარი დაახლოებით 56000 მეომრისაგან შედგებოდა. მათგან უმრავლესობას (40 ათასს) ქართველები შეადგენდნენ. ყივჩაყთაგან გამოყვანილ იქნა 15 ათასი, ხოლო ოსთაგან 500 მეგრძოლი. აღსანიშნავია, რომ ქართული ჯარის რიგებში 100-დან 200-მდე ჯვაროსანიც („ფრანგი“) იბრძოდა.

დავითმა ბრძოლის ადგილად **დიდგორის** ველი შეარჩია. აქაური რელიეფი მტერს ჯარის გაშლისა და რიცხოვრივი უპირატესობის გამოყენების საშუალებას არ მისცემდა. გადამწყვეტი ბრძოლა 1121 წლის 12 აგვისტოს გაიმართა და, მოკლე დროში, ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. დავითის ისტორიკოსმა ამ გამარჯვებას „ძლევაი საკვირველი“ უწოდა.

დიდგორის ბრძოლაში დავითმა სამხედრო ხერხს მიმართა. ბრძოლის დაწყებამდე ქართველებს 200 მეგრძოლი გამოეყო და მონინაღმდეგის ბანაკისაკენ დაიძრა. სელჩუკებმა ისინი მოლაღატებად მიიჩნიეს და საკუთარ რიგებში შეუშვეს. ამ დროს მეგრძოლებმა ხმლები იშიშვლეს და მტრის რიგებში არეულობა შეიტანეს. კავალერიას **დემეტრე** უფლისწული (დავითის უფროსი შვილი) სარდლობდა. ზურგიდან მისმა მოულოდნელმა თავდასხმამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მტრის დამარცხებაში.

1122 წელს დავითმა თბილისი აიღო და სატახტო ქალაქი ქუთაისიდან აქ გადმოიტანა. 1123 წელს მეფემ თურქთა უკანასკნელი დასაყრდენი - დმანისი - აიღო, რითაც დასრულდა საქართველოს გათავისუფლებისა და გაერთიანების პროცესი.

დავით აღმაშენებელი თავიდან მკაცრად გაუსწორდა თბილისის დამცველებს, შემდეგ კი ქალაქის მუსლიმი მოსახლეობის მიმართ იმ დროისათვის უჩვეულო შემწყნარებლობა გამოიჩინა: ქრისტიანებს აეკრძალათ მუსლიმთა უბნებში ღორის ყოლა, მათ უფლება მიეცათ ელოცათ ხალიფასა და სულთნისათვის, დააკისრა ნაკლები გადასახადი (3 დინარი), ვიდრე ქართველებს (5 დინარი) და ა.შ.

1124 წელს დავითმა შარვანზე გაილაშქრა, აიღო ქალაქი შამახია და ეს სახანო სამეფოს შემოუერთა. ამის პარალელურად მეფემ თურქთაგან გაათავისუფლა და შემოიერთა სომხეთის ძველი დედაქალაქი ანისი.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: გამარჯვება, გაერთიანება, ბრძოლა, ხმალი, მეომარი, მოლალატე, დედაქალაქი

3. უპასუხეთ კითხვებს:

რომელ წელს ჩამოასახლა დავითმა ყივჩაყები საქართველოში?

საიდან ჩამოასახლა დავითმა ყივჩაყები?

როდის მოხდა დიდგორის ბრძოლა?

როდის გადმოიტანა დავითმა სატახტო ქალაქი ქუთაისიდან თბილისში?

რომელ წელს აიღო დავითმა დმანისი?

როდის გაილაშქრა დავითმა შარვანზე?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

მომთაბარეობას, ქართველ, მეომრებად, ჯარის, ქრისტიანობა, მხედარი, სამხრეთ, ყივჩაყი
1118 წელს დავითმა საქართველოში დაახლოებით 40 ათასი ოჯახი ჩამოასახლა.
ყოველ ოჯახს თითო უნდა გამოეყვანა მუდმივ სამხედრო სამსახურში. ამით
მნიშვნელოვნად გაიზარდა ქართული რიცხოვნობა და ბრძოლისუნარიანობა.
ყივჩაყებმა მალევე მიიღეს....., შეითვისეს ადგილობრივი წეს-ჩვეულებები და
..... ხალხს შეერწყნენ. ყივჩაყები კავკასიის ჩრდილოეთით, თანამედროვე რუსეთის
..... ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ და ეწოდნენ. ცხოვრების მკაცრმა
პირობებმა ისინი კარგ აქცია.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

დავითმა დიდგორის ხერხს მიმართა სამხედრო ბრძოლაში

დანყებამდე ქართველებს ბრძოლის ორასი გამოეყო მებრძოლი

შეუშვეს სელჩუკებმა რიგებში საკუთარ ისინი

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

მოუწოდა, შეიტანეს, მიმართეს, დამარცხებაში

ამ დროს მებრძოლებმა ხმლები იშიშვლეს და მტრის რიგებში არეულობა

ზურგიდან მისმა მოულოდნელმა თავდასხმამ გადამწყვეტი როლი შეასრულა მტრის

.....

თბილისელმა მუსლიმებმა დახმარებისთვის თურქ სულთნებსა და ბაღდადის ხალიფას

.....

ბაღდადის ხალიფამ მაჰმუდ მოჰამედისძემ „ყოველთა სპარსთა და არაბთა“ საქართველოზე ლაშქრობისაკენ

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|------------------|------------|
| ა. ბრწყინვალე | ენევა |
| ბ. სატახტო | ხერხი |
| გ. გადამწყვეტი | იშიშვლა |
| დ. მომთაბარეობას | ქალაქი |
| ე. ხმალი | როლი |
| ვ. სამხედრო | გამარჯვება |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 17. თამარ მეფე

დავით აღმაშენებლის მემკვიდრის **დემეტრე I**-ის (1125-1156 წწ.) საგარეო პოლიტიკის ძირითად ამოცანად ანისის (სომხეთის) და შარვანის შენარჩუნება იქცა. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე გაბატონებას თურქ-სელჩუქთა იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული სახელმწიფოები ცდილობდნენ. დემეტრე იძულებული გახდა, ანისი და შარვანი საქართველოს ყმადნაფიცობის პირობით ამ სახელმწიფოების მმართველებისთვის დაეთმო.

დემეტრე I-ის დროს გართულდა საშინაო მდგომარეობაც. მას ტახტს ეცილებოდა ნახევარძმა **ვახტანგი**. ვახტანგი მეფობაზე საკუთარი პრეტენზიის კანონიერების დასადასტურებლად იშველიებდა მამის, დავით აღმაშენებლის, ანდერძს. ანდერძში ნათქვამი იყო, რომ დემეტრეს ტახტი სრულწლოვანი ნახევარძმისთვის უნდა დაეთმო.

ისტორიკოსთა უმრავლესობა თვლის, რომ დავითის ანდერძი ვახტანგის მომხრეების მიერაა გაყალბებული.

1155 წელს მეფეს უფროსი შვილი **დავითი** დაუპირისპირდა. დემეტრე I უპირატესობას თავის უმცროს ძეს, **გიორგის**, ანიჭებდა. დავითი აუჯანყდა მამას და ტახტს დაეუფლა. დემეტრე მონასტერში ბერად აღიკვეცა. დავით V-მ მხოლოდ ექვსი თვე იმეფა. მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ისევ დემეტრე I დაბრუნდა. ისიც მალევე გარდაიცვალა და 1156 წელს საქართველოში დემეტრეს უმცროსი ვაჟი **გიორგი III** (1156-1184 წწ.) გამეფდა.

გიორგი III-ის საგარეო პოლიტიკა შემტევი ხასიათის იყო. მეფემ 1161 წელს ანისი დაიკავა.

1172 წელს გიორგი III-მ თურქთა ბატონობისაგან მეორე სომხური ქალაქი **ღვინიც** გაათავისუფლა.

გაიზარდა საქართველოს გავლენა შარვანზეც. საბოლოოდ კი, ეს მხარეები თამარის მეფობის დროს შემოიმტკიცეს.

1179 წელს გიორგიმ თავისი ასული **თამარი** გაამეფა. საქართველოში ქალის მეფობის ტრადიცია ჯერ კიდევ არ არსებობდა და, როგორც ჩანს, მეფე შიშობდა, მისი გარდაცვალების შემდეგ თამარის მეფობა სადავო არ გამხდარიყო.

სამეფო დარბაზის ინიციატივით, 1185 წელს თამარს ქმრად შერთეს ვლადიმირ სუზდალის მთავრის **ანდრია ბოგოლუბსკის** ვაჟი **იური** (იგივე, გიორგი რუსი). გიორგი რუსმა მალევე გამოამუღავნა მრავალი უკეთური თვისება და თამარიც იძულებული შეიქნა, გაყოლოდა ქმარს. 1188 წელს თამარმა ოს უფლისწულ **დავით სოსლანზე** იქორწინა. მათ ორი შვილი შეეძინათ: **გიორგი-ლაშა** და **რუსუდანი**.

მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა თამარის საგარეო პოლიტიკა. საქართველოს ყმადნაფიც შარვანს ირანის აზერბაიჯანის ათაბაგი აბუ-ბექრი ავინროებდა. შარვანის მმართველებმა საქართველოს სამხედრო დახმარებისათვის მიმართეს. 1195 წელს ციხე-ქალაქ **შამქორთან** (აზერბაიჯანშია) გამართული ბრძოლა საქართველოს გამარჯვებით დასრულდა.

ქართულ ჯარს დავით სოსლანი სარდლობდა. ბრძოლაში თავი გამოიჩინა ახალგაზრდა სარდალმა შალვა ახალციხელმა, რომელმაც ხელთ იგდო ხალიფას მიერ გამოგზავნილი დროშა. შამქორის ბრძოლის ახლო ხანებში ქართველებმა განძაც დაიკავეს.

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით, ბიზანტიის იმპერიის ყოფილ ტერიტორიაზე, წარმოიშვა რუმის თურქული სახელმწიფო (სასულთნო). რუმის სასულთნო განსაკუთრებით გაძლიერდა XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე, სულთან რუქნ ად-დინის მმართველობის დროს. თამარის ისტორიკოსის ცნობით, მან შეკრიბა ოთხასათასიანი ლაშქარი და საქართველოსკენ გამოემართა.

1203 წელს **ბასიანში** დაბანაკებული თურქები ქართულმა ჯარმა მოულოდნელი თავდასხმით გაანადგურა. ქართველებმა ხელთ იგდეს სელჩუკთა მდიდრული ბანაკი. რუქნადინი სხვა დიდებულებთან ერთად ბრძოლის ველიდან გაიქცა და მალევე მოკვდა.

თამარის დროს რამდენადმე შეიცვალა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა. თუ დავით აღმაშენებელი დაკავებულ (არაქართულ) ტერიტორიებს ძირითადად იერთებდა, თამარი მათ ნაწილს (უმეტესად, მუსლიმებით დასახლებულს) შინაგან მმართველობას ხელუხლებელს უტოვებდა და პოლიტიკური მოკავშირეობის, ხარკის გადახდისა და ლაშქრის გამოყვანის პირობით გარკვეულ სუვერენიტეტსაც უნარჩუნებდა. დაქვემდებარებულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასეთ ფორმას ცმადნაფიცობა ეწოდებოდა.

კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში პოზიციების განმტკიცების პარალელურად საქართველო მჭიდრო პოლიტიკურ ურთიერთობებს ამყარებდა იმ დროის ძლიერ სახელმწიფოებთან (მაგ., ეგვიპტესთან).

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: მმართველი, ცმადნაფიცი, მუსლიმი, პოლიტიკა, გამეფდა, ურთიერთობები, სუვერენიტეტი

3. უპასუხეთ კითხვებს:

ვინ მეთაურობდა ქართულ ჯარს შამქორის ბრძოლაში?

როდის გაიმართა შამქორის ბრძოლა?

ვინ ეცილებოდა სამეფო ტახტს დემეტრე პირველს?

რომელ წელს გაამეფა გიორგი მესამემ თამარი?

როდის იქორწინა თამარ მეფემ დავით სოსლანზე?

როდის გაიმართა ბასიანის ბრძოლა?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ცმადნაფიცობა, გადახდისა, ტერიტორიებს, სავარეო, პოლიტიკური, სუვერენიტეტსაც

თამარის დროს რამდენადმე შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკა. თუ დავით აღმაშენებელი დაკავებულ ძირითადად იერთებდა, თამარი მათ ნაწილს შინაგან მმართველობას ხელუხლებელს უტოვებდა და მოკავშირეობის, ხარკის და ლაშქრის გამოყვანის პირობით გარკვეულ უნარჩუნებდა. დაქვემდებარებულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასეთ ფორმას ეწოდებოდა.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

ჯარს სოსლანი ქართულ დავით სარდლობდა

შალვა ახალგაზრდა ბრძოლაში გამოიჩინა სარდალმა ახალციხელმა თავი

ქართველებმა შამქორის ახლო განძაც დაიკავეს ბრძოლის ხანებში

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

დაუპირისპირდა, გამეფდა, დაბრუნდა, ანიჭებდა

1155 წელს მეფეს უფროსი შვილი დავითი

დემეტრე I უპირატესობას თავის უმცროს ძეს, გიორგის,

მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ისევ დემეტრე I

1156 წელს საქართველოში დემეტრეს უმცროსი ვაჟი გიორგი III

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|--------------|-----------|
| ა. ბერად | გადახდა |
| ბ. საგარეო | შეიქნა |
| გ. თავი | ამოცანა |
| დ. ძირითადი | გამოიჩინა |
| ე. იძულებული | პოლიტიკა |
| ვ. ხარკის | ალიკვეცა |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 18. თამარ მეფის ეპოქა

თამარის პოლიტიკურ წარმატებასთან ერთად მის დროს საქართველო ეკონომიკურად მნიშვნელოვნად განვითარდა. დანინაურებული იყო სოფლის მეურნეობა, რასაც იმდროინდელ საქართველოში არსებული მრავალი სარწყავი არხი ადასტურებს. ეს კარგ პირობებს ქმნიდა მარცვლეული კულტურის, მევენახეობისა და მეხილეობა-მებაღეობის განვითარებისთვის. ამავე პერიოდში აგებდნენ აგრეთვე საქალაქო წყალსადენებსაც.

მაღალგანვითარებულ სოფლის მეურნეობასთან ერთად დანინაურებული იყო ხელოსნობაც, რაც, თავის მხრივ, ვაჭრობის განვითარების საფუძველს ქმნიდა. განვითარებული იყო საშინაო და საგარეო ვაჭრობა. ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის დანინაურებამ საქალაქო ცხოვრების აღმავლობა განაპირობა.

თამარ მეფის დროინდელ საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა მეზობლებთან – არაბეთთან, ბიზანტიასთან და სხვა სახელმწიფოებთან. საქართველოში იმპორტის სახით შემოჰქონდათ სხვადასხვა სახის ქსოვილი.

თამარის ეპოქის ეკონომიკურ ცხოვრებაში ფული აქტიურ როლს ასრულებდა. თბილისში საუკუნეთა მანძილზე არსებობდა ზარაფხანა. ზარაფხანა იყო ქუთაისშიც. სხვადასხვა პერიოდში, საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, თამარ მეფის დროს მოჭრილი არაერთი მონეტა აღმოუჩენიათ.

ერთიანი და ეკონომიკურად ძლიერი ფეოდალური საქართველოს განათლებამ და კულტურამ მაღალ დონეს მიაღწია. ქართულმა კულტურამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში.

ქვეყნის მაღალ განვითარებას განსაზღვრავდა სწავლა-აღზრდის საქმე. თამარის დროს სკოლები ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა. მონასტრებთან არსებობდა სპეციალური შენობები, რომლებიც სკოლებისთვის იყო განკუთვნილი.

XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის ხუროთმოძღვრება. ამ პერიოდში შეიქმნა შუა საუკუნეების საქართველოს მნიშვნელოვანი ტაძრები.

ქართულ სამონასტრო ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრა კლდეში გამოკვეთილ სამონასტრო კომპლექსს – ვარძიას. ვარძიის მშენებლობა გიორგი მესამემ დაიწყო და დაასრულა თამარმა. მნიშვნელოვანია აქ არსებული დიდი ეკლესია, რომლის კედლები ფრესკებითაა დამშვენებული. აქ არის გამოსახული გიორგი III-ისა და თამარის პორტრეტები.

თამარ მეფის პერიოდშია აგებული ბესლეთის ხიდი ქალაქ სოხუმის სიახლოვეს. თამარის ეპოქის მნიშვნელოვანი საინჟინრო ნაგებობებია ციხესიმაგრეები: ხერთვისი, აწყური, ოქროს ციხე, თმოგვი და სხვები.

მნიშვნელოვანად განსხვავდება თამარისდროინდელი კედლის მხატვრობა ადრინდელისაგან. ამ პერიოდის საქართველოში ფერწერის რამდენიმე მიმართულებას გამოყოფენ.

XII საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ფართოდ ვითარდება საერო მწერლობა, შეიქმნა საერო პოეზია. თამარის პერიოდში შექმნილი საერო მწერლობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: განათლება, კულტურა, ეკონომიკა, მხატვრობა, მწერლობა, ხელოსნობა, ვაჭრობა

3. უპასუხეთ კითხვებს:

რომელ ქვეყნებთან ჰქონდა თამარ მეფის დროინდელ საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობები?

რა შემოჰქონდათ საქართველოში იმპორტის სახით?

რა ასრულებდა თამარის ეპოქის ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურ როლს?

სად შეიძლება თამარის დროს სწავლა-განათლების მიღება?

როდის განიცდის განსაკუთრებულ აღმავლობას ხუროთმოძღვრება?

ვისი პორტრეტია გამოსახული ვარძიის ეკლესიაში?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

კულტურამ, მონეტა, ზარათუხანა, ეკონომიკურად, ფეოდალური, საქართველოს, ფული

თამარის ეპოქის ეკონომიკურ ცხოვრებაში აქტიურ როლს ასრულებდა. თბილისში საუკუნეთა მანძილზე არსებობდა ზარათუხანა. იყო ქუთაისშიც. სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა ტერიტორიაზე, თამარ მეფის დროს მოჭრილი არაერთი აღმოუჩენიათ. ერთიანი და ძლიერი ფეოდალური საქართველოს განათლებამ და მაღალ დონეს მიაღწია. ქართულმა კულტურამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

აგებული თამარ პერიოდშია სიახლოვეს ბესლეთის ხიდი სოხუმის მეფის

კედლის ადრინდელისაგან მნიშვნელოვანად მხატვრობა განსხვავდება

ფერწერის მიმართულებას ამ პერიოდის რამდენიმე გამოყოფენ საქართველოში

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

დონე, საქმეში, არსებობდა, მიაღწია

ძლიერი ფეოდალური საქართველოს განათლებამ და კულტურამ მაღალ დონეს

კულტურამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების

ქვეყნის მაღალ განვითარებას განსაზღვრავდა სწავლა-აღზრდის

თამარის დროს სკოლები ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|---------------|-----------|
| ა. კედლის | შეიტანა |
| ბ. საერო | ნაგებობა |
| გ. საინჟინრო | მწერლობა |
| დ. წვლილი | მხატვრობა |
| ე. აღმავლობას | კულტურა |
| ვ. მარცვლეული | განიცდის |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 19. XI-XIII საუკუნეების ქართული კულტურა

XII-XIII საუკუნეებს მეცნიერები ქართული კულტურის ოქროს ხანასაც უწოდებენ. კულტურის განვითარებას ხელს უწყობდა ამ პერიოდში მიმდინარე პროცესები: საქართველოს გაერთიანებით დასრულდა ქართველი ხალხის კონსოლიდაცია, ეკონომიკურმა აღმავლობამ შესაძლებელი გახადა ახალი საგანმანათლებლო კერების დაარსება, ხოლო ქვეყნის თავისუფლება კულტურული აღმავლობის მძლავრ იმპულსად იქცა. ქართული კულტურის განვითარებას არანაკლებ უწყობდა ხელს მდიდარი ტრადიციები და მეზობელ ცივილიზაციებთან ინტენსიური კავშირი.

XI საუკუნიდან იზრდება სასკოლო დანესებულებების რაოდენობა. მათი უმრავლესობა ეკლესია-მონასტრებთან არსდებოდა. აღსაზრდელები აქ სასულიერო განათლებასთან ერთად საერო ცოდნასაც ეუფლებოდნენ. საერო სასწავლებლებად ჩამოყალიბდა ცალკეული ფეოდალების სასახლეებში დაარსებული სკოლებიც.

განათლების მნიშვნელოვანი კერები არსებობდა ოშკის, ოპიზის, ხანძთის, შატბერდის, ბერთის და სხვა ეკლესია-მონასტრებთან.

ქართველი ახალგაზრდები განათლებას ბიზანტიის სასწავლებლებშიც იღებდნენ. ცნობილი ფაქტია, რომ **გიორგი მთაწმინდელმა** საქართველოდან ბიზანტიაში 80 ახალგაზრდა წაიყვანა, რომელთა უმრავლესობა იმ დროის სახელგანთქმულ სასწავლებლებში ეუფლებოდა ცოდნას.

განათლების მძლავრი კერები საქართველოშიც არსებობდა. მათ შორის გამოირჩეოდა დავით აღმაშენებლის მიერ დაარსებული გელათისა და იყალთოს აკადემიები.

იყალთოს აკადემიას ცნობილი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი **არსენ იყალთოელი** ხელმძღვანელობდა. არსებობს მოსაზრება, რომ უმაღლესი განათლების კერები არსებობდა გრემსა და შიომღვიმეშიც.

გელათისა და იყალთოს აკადემიებში სავალდებულოდ ითვლებოდა შვიდი დისციპლინა: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია და ასტრონომია.

სავალდებულო დისციპლინებთან ერთად ასწავლიდნენ დამატებით საგნებსაც: სამართალს, მედიცინას და სხვა. აღსანიშნავია, რომ გელათის მონასტერთან **დავითმა** საავადმყოფო ააშენა.

სამეფო ხელისუფლება ზრუნავდა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული სამონასტრო-საგანმანათლებლო ცენტრებზეც.

ქართული განათლებისა და კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ათონის ივერთა მონასტერს (საბერძნეთი). აქ ჩამოყალიბდა მძლავრი მთარგმნელობითი სკოლა. მონასტერში მოღვაწეობდნენ საქვეყნოდ განთქმული მწიგნობარი ბერები: **იოანე და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი, გიორგი ხუცესმონაზონი** და სხვ.

განათლებისა და მთარგმნელობითი საქმიანობის ერთ-ერთ ცენტრად იქცა პეტრიწონის მონასტერი (ბულგარეთი). მონასტერი XI საუკუნეში მოღვაწე **გრიგოლ ბაკურიანისძემ** ააგო.

იმ დროის ქართული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენლები არიან **იოანე პეტრიწი** და **ეფრემ მცირე**.

XII-XIII საუკუნეებში იქმნება საერო მწერლობის ძეგლები: მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანი“, ჩახრუხაძის „თამარიანი“, იოანე შავთელის „აბდულმესია“...

XI-XIII საუკუნეებში ვითარდება ხუროთმოძღვრებაც. ამ დროს აიგო ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავისი, იშხანი, ნიკორწმინდა, საფარა, ატენი, შიომღვიმე, გელათი, იკორთა, ბეთანია, ყინწვისი...

ამ დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი ოქრომჭედლები ბექა და ბემქენ ოპიზრები. ხელოვნების იშვიათ ქმნილებად ითვლება ქართული ოქრომჭედლობის ნიმუში - ხახულის ღვთისმშობლის ხატი.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: მონასტერი, მწიგნობარი, ხელოვნება, დისციპლინა, განვითარება, კავშირი, ცივილიზაცია

3. უპასუხეთ კითხვებს:

რომელ საუკუნეებს უწოდებენ მეცნიერები ქართული კულტურის ოქროს ხანას?

რომელ დისციპლინებს ასწავლიდნენ გელათისა და იყალთოს აკადემიებში?

სად ჩამოყალიბდა მძლავრი მთარგმნელობითი სკოლა?

სად არის პეტრიწონის მონასტერი?

ვინ აავო პეტრინონის მონასტერი?

სად არის ათონის ივერთა მონასტერი?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

პეტრინონის, ფილოსოფიური, მოღვაწეობდნენ, მთარგმნელობითი, კულტურის, მწიგნობარი, საქმიანობის

ქართული განათლებისა და ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ათონის ივერთა მონასტერს. აქ ჩამოყალიბდა მძლავრი სკოლა. მონასტერში საქვეყნოდ განთქმული ბერები: იოანე და ექვთიმე ათონელები, გიორგი მთაწმინდელი, გიორგი ხუცესმონაზონი და სხვ. განათლებისა და მთარგმნელობითი ერთ-ერთ ცენტრად იქცა მონასტერი. მონასტერი XI საუკუნეში მოღვაწე გრიგოლ ბაკურიანისძემ აავო. იმ დროის ქართული სკოლის წარმომადგენლები არიან იოანე პეტრინი და ეფრემ მცირე.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

განათლების მძლავრი არსებობდა საქართველოშიც კერები

ხელმძღვანელობდა იყალთოს არსენ აკადემიას იყალთოელი

არსებობდა უმაღლესი შიომღვიმეშიც განათლების კერები გრემსა და

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

კონსოლიდაცია, იქცა, დაარსება, პროცესები

კულტურის განვითარებას ხელს უწყობდა ამ პერიოდში მიმდინარე

საქართველოს გაერთიანებით დასრულდა ქართველი ხალხის

ეკონომიკურმა აღმავლობამ შესაძლებელი გახადა ახალი საგანმანათლებლო კერების

ქვეყნის თავისუფლება კულტურული აღმავლობის მძლავრ იმპულსად

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|--------------------|-------------|
| ა. საგანმანათლებლო | აღმავლობა |
| ბ. კულტურის | უწყობს |
| გ. ხელს | კერა |
| დ. მძლავრი | ხანა |
| ე. კულტურული | იმპულსი |
| ვ. ოქროს | განვითარება |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 20. მონღოლთა ბატონობა საქართველოში

თამარის გარდაცვალების შემდეგ საქართველოში **ლაშა-გიორგი** (გიორგი IV, 1213-1223 წწ.) გამეფდა.

ლაშა-გიორგის სოფელ ველისციხეში ყოფნისას იქაური ქალი შეუყვარდა და მისი ცოლად შერთვა გადანყვიტა. დიდებულებმა და მაღალმა სასულიერო პირებმა მეფეს დაქორწინების უფლება არ მისცეს - დაბალი წარმომავლობის ქალი მეფისათვის შეუფერებლად მიიჩნის.

ლაშა-გიორგის ველისციხელ ქალთან ვაჟი (დავითი) შეეძინა. დიდებულებმა **დავითი** ტახტის კანონიერ მემკვიდრედ არ ცნეს.

1020 წელს საქართველოში მონღოლთა მარბიელი ლაშქარი შემოიჭრა. მონღოლთა მიზანი ქვეყნის დაზვერვა იყო. მათ დაამარცხეს ქართული ჯარი, მაგრამ ქვეყნის დაპყრობა არ უცდიათ და ჩრდილოეთ კავკასიის გავლით შუა აზიაში, ჩინგიზ ყაენთან დაბრუნდნენ.

1223-1245 წლებში საქართველოში ლაშა-გიორგის და **რუსუდანი** მეფობს. 1225 წელს ქვეყანას ახალი საფრთხე დაემუქრა. მონღოლთა მიერ დევნილი ხორეზმის შაჰის მემკვიდრემ **ჯალალ ედ-დინმა** გარნისის ბრძოლაში დაამარცხა ქართული ლაშქარი, ლალათით აიღო და გაძარცვა თბილისი (1226 წ.). **ჯალალ ედ-დინმა** მეტეხის ხიდზე გამოატანინა ღვთისმშობლის ხატები და ქრისტიანებს მათი შეურაცხყოფა უბრძანა. 100 ათასმა ქრისტიანმა სინმინდევების შეურაცხყოფას სიკვდილი არჩია. ამის შემდეგ **ჯალალ ედ-დინი** კიდევ რამდენჯერმე შემოესია საქართველოს.

საქართველოსა და სხვა სახელმწიფოებთან გამუდმებულმა ომებმა დაასუსტა **ჯალალ ედ-დინი**. მან მონღოლებს ველარ გაუნია წინააღმდეგობა. 1235 წელს მონღოლები საქართველოს მოადგნენ. სამეფო კარმა მონღოლებთან ბრძოლის ორგანიზება ვერ შეძლო, ქუთაისში გაიხიზნა და აღმოსავლეთ საქართველო ბედის ანაბარა მიატოვა.

თავიანთ ციხეებში გამაგრებულმა ქართველმა ფეოდალებმა ვერ შეაჩერეს მონღოლთა წინსვლა. წინააღმდეგობას მსხვერპლი და ნგრევა მოსდევდა. არაორგანიზებული წინააღმდეგობის მიუხედავად, მონღოლებს აღმოსავლეთ საქართველოს დასაპყრობად შვიდი წელი დასჭირდათ. დასავლეთ საქართველოში მათ არც ულაშქრიათ.

დასავლეთ საქართველოში გადახვეწილი რუსუდანი 1242 წელს მონღოლებს დაუზავდა. შეთანხმების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა ჯარი რჩებოდა, ქართველებს მათთვის ყოველწლიურად 50000 პერპერა (მონღოლური ოქროს ფული) უნდა ეძლიათ და მონღოლთა ლაშქრობებში მიეღოთ მონაწილეობა. დაზავების შემდეგ სამეფო კარი თბილისში დაბრუნდა. ზავის პირობით, რუსუდანის ძეს, **დავითს**, საქართველოს მეფედ ყაენი ამტკიცებდა.

დავითი დედის სიცოცხლეშივე გაემგზავრა ჯერ ოქროს ურდოში, იქიდან კი მონღოლეთში - დიდი ყაენის კარზე.

რუსუდანი 1245 წელს გარდაიცვალა, დავითი კი ჯერ არ იყო საქართველოში დაბრუნებული. უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში გაძლიერდა მონღოლთა ბატონობა, რასაც ქართველ დიდგვაროვანთა ურთიერთმტრობაც დაერთო.

შექმნილ ვითარებაში ქართველ მთავართა ერთმა ნაწილმა გადანყვიტა ლაშა-გიორგის უკანონო შვილი დავითი გაემეფებინა. ამ მიზნით დავით გიორგის ძეც მონღოლეთში გაემგზავრა, სადაც ყაენის წყალობის მომლოდინე დავით რუსუდანის ძე დახვდა.

1248/1249 წლებში ყაენმა ორივე კანდიდატი დაამტკიცა საქართველოს მეფედ (ისინი ქვეყანას ერთობლივად 1259 წლამდე მართავდნენ). ლაშა-გიორგის ძეს დავით VII-ს „ულუ“ (უფროსი) ეწოდა, ხოლო რუსუდანის ძეს დავით VI-ს - „ნარინი“ (უმცროსი). მეფეები შეთანხმებულად მართავდნენ ქვეყანას. იმ დროის სახელმწიფო დოკუმენტებსაც ორივე მეფის ხელწერა აზის.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: ზავი, ყაენი, მეფე, მსხვერპლი, ნგრევა, შეთანხმება, ბატონობა

3. უპასუხეთ კითხვებს:

რომელ წლებში მეფობდა ლაშა-გიორგი?

რომელ წლებში მეფობდა რუსუდანი?

რომელ წელს დაუზავდა რუსუდანი მონღოლებს?

რომელ წელს აიღო ჯალალ ედ-დინმა თბილისი?

რომელ წელს გარდაიცვალა რუსუდანი?

რომელი მეფეები მართავდნენ საქართველოს ერთობლივად?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ჯარი, დასაპყრობად, მსხვერპლი, მონღოლებს, ფეოდალებმა, არაორგანიზებული, დასავლეთ

თავიანთ ციხეებში გამაგრებულმა ქართველმა ვერ შეაჩერეს მონღოლთა წინსვლა. წინააღმდეგობას და წგრევა მოსდევდა. წინააღმდეგობის მიუხედავად, მონღოლებს აღმოსავლეთ საქართველოს შვიდი წელი დასჭირდათ. დასავლეთ საქართველოში მათ არც ულაშქრიათ. საქართველოში გადახვეწილი რუსუდანი 1242 წელს დაუზავდა. შეთანხმების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა რჩებოდა.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

გაუწია მან ველარ წინააღმდეგობა მონღოლებს

მონღოლები წელს საქართველოს 1235 მოადგნენ

შეძლო სამეფო ბრძოლის კარმა მონღოლებთან ორგანიზება ვერ

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ეძლიათ, დაბრუნდა, რჩებოდა, დაუზავდა

დასავლეთ საქართველოში გადახვეწილი რუსუდანი 1242 წელს მონღოლებს შეთანხმების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში მონღოლთა ჯარი ქართველებს მათთვის ყოველწლიურად 50000 პერპერა უნდა დაზავების შემდეგ სამეფო კარი თბილისში

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|--------------|---------------|
| ა. სამეფო | მოსდევს |
| ბ. კანონიერი | ქვეყანას |
| გ. გაუწია | ანაბარა |
| დ. ბედის | მემკვიდრე |
| ე. მსხვერპლი | კარი |
| ვ. მართავს | წინააღმდეგობა |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცი |
|-----------|---------|---------------|
| | | |

თემა 21. საქართველოს გათავისუფლება მონღოლთა ბატონობისაგან. გიორგი V ბრწყინვალე

1318 წელს აღმოსავლეთ საქართველოში გიორგი V ბრწყინვალე (დემეტრე II-ს მემკვიდრე, 1318-1346 წწ.) გამეფდა. მას მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად. აღმოსავლეთ საქართველო მონღოლთა გამუდმებული ლაშქრობებისგან იყო ანიოკებული. სამეფო ხელისუფლება წესრიგს ვეღარ ამყარებდა. ქვეყანაში გავრცელდა უკანონობა, ძარცვა, მკვლელობა და სხვა დანაშაულობები. გახშირდა ფეოდალთა ურთიერთბრძოლა. მონღოლები სულ უფრო მეტად ერეოდნენ ქვეყნის საშინაო საქმეებში.

მეორე მხრივ, დინასტიური ბრძოლები, დაპყრობილი ხალხების აჯანყებები და ოქროს ურდოს შემოსევები საილხანოსაც ასუსტებდა. ასეთ ვითარებაში გიორგი V-მ უარი თქვა მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებაზე და მათთან ურთიერთობის მოწესრიგება დაისახა მიზნად.

გიორგი V-მ ისარგებლა მონღოლთა მხარდაჭერით და აქტიური პოზიცია დაიკავა ურჩი ფეოდალების მიმართ. მან კახეთში, ცივის მთაზე, სადარბაზოდ შეკრიბა ორგული ერისთავები და სხვა დიდგვაროვნები და დახოცა. მან ასევე ისარგებლა დავით ნარინის მემკვიდრეებს შორის უთანხმოებით და დაახლოებით 1330 წელს დასავლეთ საქართველო შემოიერთა.

საქართველოს ფარგლებს გარეთ სამცხე-საათაბაგო რჩებოდა. სამცხე ილხანთა ყაენს უშუალოდ ექვემდებარებოდა, ამიტომ მის შემოსაერთებლად მონღოლთა ნებართვა იყო საჭირო.

სამცხის შემოერთების პროცესში გიორგი V-ს საილხანოსაგან წინააღმდეგობა არ შეხვედრია. აქ მეფემ ნათესაური კავშირიც გამოიყენა. გიორგის დედა, **ნათელა**, სამცხის ათაბაგის **ბექა მანდატურთუხუცესის** ასული იყო. დემეტრე II-ის გარდაცვალების შემდეგ მცირეწლოვანი გიორგი სწორედ სამცხეში, ბაბუასთან, იზრდებოდა. 1334 წელს, ბექა მანდატურთუხუცესის გარდაცვალების შემდეგ, გიორგიმ თავის ბიძას, **სარგის II-ს** „მიუბოძა ათაბაგობა და ამირსპასალარობა“. ეს სამცხის შემოერთებას ნიშნავდა.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ გიორგი ბრწყინვალემ საქართველოს ყოფილი ყმადნაფიცი ქვეყნებიც (რანი, შირვანი, დარუბანდი) დაიმორჩილა.

ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისთვის მეფემ ახალი ვერცხლის ფული მოჭრა.

გიორგი V-მ პოლიტიკური კავშირი დაამყარა საილხანოს მოწინააღმდეგე ქვეყნებთან: ეგვიპტის სასულთნოსა და ოქროს ურდოსთან. მეფემ ეგვიპტის სულთანს მუსლიმთაგან მიზგითად (მეჩეთად) გადაკეთებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაბრუნება სთხოვა და სანაცვლოდ სამხედრო დახმარება აღუთქვა. სულთანმა მუსლიმი სასულიერო პირების წინააღმდეგობის მიუხედავად, გიორგის თხოვნა დააკმაყოფილა.

XIV საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს საილხანოში პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა. ყაენმა **აბუ-საიდმა**, რომელიც ვეღარ ეგუებოდა **ჩოხან ნოინის** შეუზღუდავ ძალაუფლებას, მოაკვლევინა იგი. საილხანო არეულობამ მოიცვა. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა გიორგი V-მ და მონღოლთა უკანასკნელი დუმანი საქართველოდან გააძევა. ეს კი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებას ნიშნავდა.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: არეულობა, აჯანყება, გაერთიანება, ორგული, კავშირი, თხოვნა, სულთანი

3. უპასუხეთ კითხვებს:

რომელ წელს გამეფდა გიორგი ბრწყინვალე?

რამდენი წელი იმეფა გიორგი ბრწყინვალემ?

რომელ წელს შემოიერთა გიორგი ბრწყინვალემ დასავლეთ საქართველო?

სად იზრდებოდა დემეტრე II-ის გარდაცვალების შემდეგ მცირეწლოვანი გიორგი?

როგორ გაუსწორდა მეფე გიორგი V ურჩ ფეოდალებს?

რა სთხოვა გორგი ბრწყინვალემ ეგვიპტის სულთანს?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

სამხედრო, პოლიტიკური, მონასტრის, სულთანს, სასულიერო, მონინაალმდევე

გიორგი V-მ კავშირი დაამყარა საილხანოს ქვეყნებთან: ეგვიპტის სასულთანოსა და ოქროს ურდოსთან. მეფემ ეგვიპტის მუსლიმთაგან მიზგითად გადაკეთებული იერუსალიმის ჯვრის დაბრუნება სთხოვა და სანაცვლოდ დახმარება აღუთქვა. სულთანმა მუსლიმი პირების წინააღმდეგობის მიუხედავად, გიორგის თხოვნა დააკმაყოფილა.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

ხალხების დაპყრობილი აჯანყებები ასუსტებდა საილხანოსაც

მონღოლების გიორგი V-მ უარი წინააღმდეგ აჯანყებაზე თქვა

ისარგებლა მხარდაჭერით გიორგი V-მ მონღოლთა

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ეჭვმდებარებოდა, შეხვედრია, იზრდებოდა, რჩებოდა

საქართველოს თარგლებს გარეთ სამცხე-საათაბაგო

სამცხე ილხანთა ყაენს უშუალოდ

სამცხის შემოერთების პროცესში გიორგი V-ს საილხანოსაგან წინააღმდეგობა არ

.....

დემეტრე II-ის გარდაცვალების შემდეგ მცირეწლოვანი გიორგი სწორედ სამცხეში

.....

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|--------------|--------------|
| ა. მძიმე | მიზნად |
| ბ. საშინაო | ამყარებს |
| გ. თარგლებს | კავშირი |
| დ. ნათესაური | გარეთ |
| ე. დაისახა | მემკვიდრეობა |
| ვ. წესრიგს | საქმეები |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 22. საქართველო XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დასაწყისში

საქართველოს მშვიდობიანი განვითარება ხანმოკლე აღმოჩნდა. XIV საუკუნის 80-იანი წლებიდან **თემურ ლენგის** იმპერიის სახით ქვეყანას ახალი საფრთხე დაემუქრა.

შუააზიელ მონღოლთა შთამომავალი თემურ ლენგი ისტორიაში უსასტიკესი დამპყრობლის სახელით შევიდა. ცნობილია, რომ მისი ბრძანებით ერთ-ერთი ციხის კედელს ორი ათასი ხელფეხშეკრული კაცი ცოცხლად ჩააყოლეს; ირანის ქალაქ ისპაჰანის აღების შემდეგ 70 ათასი ადამიანის მოჭრილი თავისაგან გორაკები ააგეს; სივასში ცოცხლად დამარხეს 4 ათასი სომეხი; ქვათახევის მონატერში (საქართველო) ბერები დაწვეს... თემურ-ლენგმა არ იცოდა წერა-კითხვა. მას წიგნის სპეციალური წამკითხველები ჰყავდა და წიგნებს სხვა ნადავლთან ერთად ყველა დაპყრობილი ქვეყნიდან ეზიდებოდა.

თემურ ლენგის მიზანი **ჩინგიზ ყანის** იმპერიის აღდგენა იყო. ამიტომ აწარმოებდა ის თითქმის თხუთმეტწლიან ომს მეორე მონღოლურ სახელმწიფოსთან - ოქროს ურდოსთან. ამ ბრძოლებში საქართველო ოქროს ურდოს ყანის **თოხთამიშ ხანის** მოკავშირედ გამოდიოდა, რამაც განაპირობა კიდევ თემურ ლენგის ჩვენს ქვეყანაში ლაშქრობები. საქართველო თემურს სხვა მხრივაც აინტერესებდა - კავკასიონის გადასასვლელების (დარიალისა და დარუბანდის) ხელში ჩაგდებათ ის საკუთარი იმპერიის საზღვრებსაც დაიცავდა და ოქროს ურდოსაც დაემუქრებოდა.

1386 წელს თემური საქართველოში სამცხის მხრიდან შემოიჭრა, აიღო თბილისი, დაატყვევა მეფე **ბაგრატ V** (1360-1393), თავად კი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი დალაშქრა.

გამოსაზამთრებლად ყარაბაღში დაბანაკებულმა თემურმა ბაგრატ V-ს ისლამის მიღება მოსთხოვა. ბაგრატ V-მ ტყვეობიდან თავის დასაღწევად მიიღო ისლამი. თემურ ლენგმა მეფე საქართველოში გამოისტუმრა და თან 12000-იანი ლაშქარი გამოაყოლა ქვეყნის „გასათათრებლად“.

ბაგრატმა თავის უფროს ვაჟს, გიორგის, აცნობა ყოველივე ვინაობებში ჩასათრებულმა ქართველებმა თემურ ლენგის მხედრობა დაამარცხეს.

განცდილი მარცხის შემდეგ თემურ ლენგმა კიდევ შვიდჯერ ილაშქრა საქართველოში. თემურ-ლენგის ლაშქრობებმა საქართველოს გამოუსწორებელი შედეგი მოუტანა.

1403 წელს თემურ ლენგმა ზავი დადო საქართველოს მეფე გიორგი VII-სთან (1393-1407 წწ.). ზავის მიხედვით, საქართველო თემურის იმპერიის ქვეშევრდომი ხდებოდა, თუმცა ინარჩუნებდა სამეფო ხელისუფლებასა და ქრისტიანობას.

1405 წელს თემურ ლენგი გარდაიცვალა და მისი იმპერია მალევე დაიშალა. საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებმა თურქმანებმა შექმნეს შავბატკნიანების (ყარა-ყოინლუს) და თეთრბატკნიანების (ალ-ყოინლუს) სახელმწიფოები. ამ სახელმწიფოთა სახელწოდებები მათ დროშებზე გამოსახული ბატკნის ფერებს უკავშირდება.

საქართველოს მეფე **კონსტანტინე I-ს** (1407-1411 წწ.) კარგად ესმოდა, რომ თურქმანთა შეჩერება კავკასიელი ხალხების საერთო ძალით თუ მოხერხდებოდა. ამიტომ დაეხმარა ქართველი მეფე მეზობელ შარვანს შავბატკნიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მტკვრის პირას დაბანაკებულმა შავბატკნიანებმა მდინარე გადაცურეს და მოულოდნელად დაესხნენ თავს შარვანელთა და ქართველთა გაერთიანებულ ბანაკს. მოკავშირეები დამარცხდნენ. მეფე კონსტანტინე და სამასი წარჩინებული ქართველი ტყვედ ჩაუვარდათ შავბატკნიანებს. თურქმანთა მბრძანებელმა **ყარა-იუსუფმა** ისინი სიკვდილით დასაჯა. მოგვიანებით ქართველებმა მეფის ცხედარი სამშობლოში გადმოასვენეს და ვარძიაში დაკრძალეს.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: იმპერია, ქვეშევრდომი, შთამომავალი, საფრთხე, ტყვე, დროშა, მარცხი

3. უპასუხეთ კითხვებს:

რა იყო თემურ ლენგის მიზანი?

რამდენჯერ ილაშქრა თემურ ლენგმა საქართველოში?

რომელ წელს დადო თემურ ლენგმა ზავი გიორგი მეშვიდესთან?

რომელ წელს გარდაიცვალა თემურ ლენგი?

რომელ წლებში იყო საქართველოს მეფე კონსტანტინე I?

სად დაკრძალეს კონსტანტინე I-ის ცხედარი?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

წარჩინებული, შარვანელთა, შავბატკნიანთა, მოკავშირეები, დაბანაკებულმა, კავკასიელი

საქართველოს მეფე კონსტანტინე I-ს კარგად ესმოდა, რომ თურქმანთა შეჩერება ხალხების საერთო ძალით თუ მოხერხდებოდა. ამიტომ დაეხმარა ქართველი მეფე მეზობელ შარვანს წინააღმდეგ ბრძოლაში. მტკვრის პირას შავბატკნიანებმა მდინარე გადაცურეს და მოულოდნელად დაესხნენ თავს და ქართველთა გაერთიანებულ ბანაკს. დამარცხდნენ. მეფე კონსტანტინე და სამასი ქართველი ტყვედ ჩაუვარდათ შავბატკნიანებს.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

მიიღო დასაღწევად ტყვეობიდან ბაგრატ V-მ თავის ისლამი

მხედრობა ქართველებმა ვიწრობებში ჩასაფრებულმა ლენგის დაამარცხეს თემურ

საქართველოში თემურ გამოისტუმრა მეფე ლენგმა

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

მოსთხოვა, გამოდიოდა, შემოიჭრა, იყო

თემურ ლენგის მიზანი ჩინგიზ ყაენის იმპერიის აღდგენა
ამ ბრძოლებში საქართველო თოხთამიშ ხანის მოკავშირედ
1386 წელს თემური საქართველოში სამცხის მხრიდან
გამოსაზამთრებლად ყარაბაღში დაბანაკებულმა თემურმა ბაგრატ V-ს ისლამის მიღება
.....

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|-----------|-------------|
| ა. თავს | ხელისუფლება |
| ბ. ტყვედ | დადო |
| გ. თავის | ჩაგდება |
| დ. სამეფო | დაესხა |
| ე. ზავი | ჩაუვარდა |
| ვ. ხელში | დაღწევა |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცი | რა ვიცი | რა მინდა ვიცი |
|---------|---------|---------------|
| | | |

თემა 23. საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად

ერთიანი საქართველოს ბოლო მეფის გიორგი VIII-ის (1446-1466 წწ.) გამეფებისთანავე ქვეყანაში შიდაშლილობა დაიწყო. სამცხის ათაბაგ ალბულას მისი ძმა ყვარყვარე აუჯანყდა და ათაბაგობა წაართვა. ალბულამ დახმარებისთვის საქართველოს მეფეს მიმართა. გიორგი სამცხეს გაემართა და ათაბაგობა კვლავ ალბულას დაუბრუნა. რამდენიმე წლის შემდეგ ალბულა გარდაიცვალა და მეფემ ათაბაგობა ყვარყვარეს უბოძა. ყვარყვარე მეფეზე იყო განაწყენებული. გაათაბაგების შემდეგ კი მან გიორგი VIII-ის ქვემეგრდომობისაგან გათავისუფლება განიზრახა.

მეფესა და სამცხის ათაბაგ ყვარყვარეს შორის უთანხმოება შინაომში გადაიზარდა. საკუთარ წარმატებაში დაექვებულმა ათაბაგმა ძლიერ მოკავშირეს მიაგნო. ეს იყო თეთრბატკნიანთა მბრძანებელი უზუნ-ჰასანი. ყვარყვარეს მოწვევით, მან 1462 წელს ქართლში ილაშქრა.

უზუნ-ჰასანის ლაშქარი 35-40 ათასი ჯარისკაცისგან შედგებოდა. ქართველთა ლაშქარმა ვერ მოახერხა მისი დამარცხება.

გიორგი VIII-ის თურქმანებთან დამარცხებით ისარგებლა მეფის ბიძაშვილმა, ერისთავმა ბაგრატმა და თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა.

მეფე გიორგისა და ბაგრატის მომხრეებს შორის ბრძოლა 1463 წელს ქუთაისის მახლობლად, სოფელ ჩიხორთან გაიმართა. სამეგრელოს, გურიის და აფხაზეთის მთავრების დახმარებით ბრძოლაში ბაგრატმა გაიმარჯვა.

ჩიხორთან დამარცხებულმა მეფემ სამცხის დამორჩილება გადაწყვიტა, მაგრამ ფარავნის ტბასთან (1465 წ.) დამარცხდა და ყვარყვარე ათაბაგმა დაატყვევა. შექმნილი ვითარებით ისარგებლა ერისთავმა ბაგრატმა, ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა და 1466 წელს თავი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. სამცხის ათაბაგს ხელს არ აძლევდა მოვლენათა ასეთი განვითარება. მან გიორგი ტყვეობიდან გაათავისუფლა, რადგან იმედოვნებდა, რომ ის ბაგრატს დაუპირისპირდებოდა. საბოლოოდ, ერთიანი საქართველოს ბოლო მეფე კახეთში დამკვიდრდა. 1478 წელს ბაგრატი გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრემ ქართლი ვერ შეინარჩუნა.

თბილისი გიორგი VIII-ის ძმისშვილმა, კონსტანტინე II-მ, დაიკავა და თავი ქართლის მეფედ გამოაცხადა, ბაგრატის ძეს, ალექსანდრეს კი დასავლეთ საქართველო ერგო. საბოლოო ჯამში, საქართველო სამ დამოუკიდებელ სამეფოდ: ქართლის, კახეთის, იმერეთის (დასავლეთ საქართველოს) და ერთ სამთავროდ - სამცხე-საათაბაგოდ დაიყო.

ქართლში გამეფებული კონსტანტინე II (1478-1505 წწ.) ცდილობდა საქართველოს ერთიანობის აღდგენას. დახმარების სათხოვნელად მეფემ ელჩობა გაგზავნა ეგვიპტესა და ესპანეთში, მაგრამ ამ მცდელობას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. თეთრბატკნიანთა ახალი მბრძანებლის იაყუბ ყაენის შემოსევის დროს კონსტანტინე II-მ დახმარებისთვის სხვა ქართველ მეფეებს და სამცხის მთავარს მიმართა, მაგრამ ამაოდ. იაყუბ ყაენმა თბილისი დაიკავა.

მალე კონსტანტინემ ქალაქი აიღო და თეთრბატკნიანები ქართლიდან გარეკა, თუმცა ამ ლაშქრობამ საგრძნობლად დაასუსტა ქართლის სამეფო. საბოლოო ჯამში, შიდა დაპირისპირებისა და საგარეო გართულებების ზრდის პირობებში, კონსტანტინე II იძულებული გახდა შერიგებოდა საქართველოს დაშლის ფაქტს.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლას ქვეყნისთვის მძიმე შედეგები მოჰყვა - შეფერხდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, გაძნელდა გარეშე მტრების წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლა.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: შინაომი, უთანხმოება, დაშლა, შედეგი, მოკავშირე, დახმარება, დამორჩილება

3. უპასუხეთ კითხვებს:

ვინ იყო ერთიანი საქართველოს ბოლო მეფე?

ვის მიმართა მეფის წინააღმდეგ დახმარებისთვის ყვარყვარე ათაბაგმა?

სად და როდის მოხდა ბრძოლა მეფე გიორგისა და ბაგრატის მომხრეებს შორის?

ვინ გამოაცხადა 1466 წელს თავი საქართველოს მეფედ?

რამდენ ნაწილად დაიყო საქართველო?

რა შედეგები მოჰყვა საქართველოს დაშლას სამეფო-სამთავროებად?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

დამარცხდა, ტყვეობიდან, საქართველოს, ერისთავმა, ათაბაგს, ერთიანი, დამორჩილება

დამარცხებულმა მეფემ სამცხის გადანყვიტა. მაგრამ ფარავნის ტბასთან (1465 წ.) და ყვარყვარე ათაბაგმა დაატყვევა. შექმნილი ვითარებით ისარგებლა ბაგრატმა, ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა და 1466 წელს თავი მეფედ გამოაცხადა. სამცხის ხელს არ აძლევდა მოვლენათა ასეთი განვითარება. მან გიორგი გაათავისუფლა, რადგან იმედოვნებდა, რომ ის ბაგრატს დაუპირისპირდებოდა. საბოლოოდ, საქართველოს ბოლო მეფე კახეთში დამკვიდრდა.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (აანწყვეთ) წინადადებები:

ერთიანობის საქართველოს კონსტანტინე II აღდგენას ცდილობდა

გაგზავნა დახმარების მეფემ ეგვიპტესა და ესპანეთში ელჩობა სათხოვნელად

გარეკა თეთრბატკნიანები მალე ქალაქი და ქართლიდან კონსტანტინემ აიღო

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ბიძაშვილმა, გამოაცხადა, დამარცხება, შედეგობდა

უზუნ-ჰასანის ლაშქარი 35-40 ათასი ჯარისკაცისგან
ქართველთა ლაშქარმა ვერ მოახერხა მისი
გიორგი VIII-ის თურქმანებთან დამარცხებით ისარგებლა მეფის
ბაგრატმა თავი დამოუკიდებელ მმართველად

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|--------------|---------------|
| ა. მძიმე | მტრები |
| ბ. დახმარება | შედეგი |
| გ. ხელს | დაპირისპირება |
| დ. რეალური | სთხოვა |
| ე. შიდა | აძლევს |
| ვ. გარეშე | შედეგები |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 24. ქართული სამეფო-სამთავროები XVI საუკუნეში

XVI საუკუნეში ქართული სამეფოების საგარეო მდგომარეობა უკიდურესად გართულდა. ძლიერების ზენიტში მყოფი ოსმალეთის იმპერია ჩრდილოეთ კავკასიაზეც გაბატონდა და აქ ისლამი გაავრცელა. ირანის ტერიტორიაზე კი შეიქმნა ყიზილბაშური სახელმწიფო, რომელსაც სათავეში სეფიანთა დინასტია ედგა.

1527 წელს ქართლში **ლუარსაბ I** გამეფდა. ყიზილბაშებმა რამდენჯერმე ილაშქრეს ქართლში, აიღეს და დაარბიეს თბილისი. ლუარსაბმა გადაწყვიტა გაემთავრებინა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ზღუდე, ამიტომ დაიკავა ჯავახეთი და სამცხე-არტაანის დიდი ნაწილი. სამცხის ათაბაგმა დახმარებისათვის **შაჰ თამაზს** მიმართა. შაჰი სომხეთის გამოვლით სწრაფად შეიჭრა ჯავახეთში, ააოხრა და გაძარცვა ციხესიმაგრეები, დახოცა ლუარსაბის მომხრე თავადები. ლუარსაბის წინააღმდეგობის დასაძლევად შაჰ თამაზი მთელი თავისი ძალებით შეიჭრა ქართლში. მან აიღო გორი, წედისის ციხე და მიადგა ატენის ციხეს, სადაც ლუარსაბის დედა იყო შეხიზნული. მოლაღატის გამცემლობის შედეგად ციხე დაეცა. შაჰმა ხელთ იგდო ლუარსაბის დედა და მრავალი ტყვე. მეფე მრავალგზის შეებრძოლა ყიზილბაშთა ჯარის ნაწილებს, მაგრამ დედისა და ტყვეების დახსნა ვერ მოახერხა. ტყვე დედოფალმა თავი მოინამლა.

მეფე ლუარსაბ I-მა თბილისის ციხეს, სადაც ყიზილბაშური გარნიზონი იდგა, ალყა შემოარტყა. ამის საპასუხოდ ქართლზე, შაჰ თამაზის ბრძანებით, ყარაბაღის მმართველმა გაილაშქრა. ბრძოლა 1556 წელს მდინარე ქციის ხეობაში, გარისის ველზე გაიმართა.

ქართველთა ლაშქარს უფლისწული **სიმონი** მეთაურობდა. ხანდაზმული მეფე, სხვა დარბაისლებთან ერთად, ბრძოლის ველს გორაკიდან ადევნებდა თვალს. ბრძოლა ქართველების გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ უკუქცეული მტრის ერთი რაზმი შემთხვევით ლუარსაბ მეფის მცირერიცხოვან ბანაკს გადააწყდა. ხელჩართულ ბრძოლაში მეფე სასიკვდილოდ დაიჭრა.

ლუარსაბის გარდაცვალების შემდეგ ქართლში სიმონ I გამეფდა (1556-1600 წწ.). 1569 წელს ერთ-ერთი ბრძოლის დროს ყიზილბაშებმა ყორღანაშვილის დახმარებით მეფე ტყვედ იგდეს.

სიმონ I-მა არ მიიღო ისლამი, რის გამოც ის ალამუთის ციხეში გამოკეტეს. შაჰმა ქართლი მის გამუსლიმებულ ძმას **დაუდ-ხანს** გადასცა.

1578 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ომი დაიწყო. ოსმალები ქართლში შეიჭრნენ და თბილისი, გორი და სხვა ქალაქები დაიკავეს. ქართველი ხალხის მხარდაჭერას მოკლებულმა დაუდ-ხანმა ოსმალებს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ირანის შაჰმა სიმონი ტყვეობიდან გაათავისუფლა. სამშობლოში დაბრუნებულმა მეფემ თურქთა წინააღმდეგ ახალი ძალით წამოიწყო ომი, მაგრამ მათ შესაჩერებლად ქართლის ძალები საკმარისი არ აღმოჩნდა.

XVI საუკუნეში კახეთის მეფეები მოხერხებული დიპლომატიით, ფორმალური ყმობითა და ხარკით ირან-ოსმალეთთან ბრძოლას თავს არიდებდნენ. ამასთან, ირანიცა და ოსმალეთიც ქართლის დაპყრობას ცდილობდნენ და კახეთთან ბრძოლისგან თავს იკავებდნენ.

XVI საუკუნის დასაწყისში თურქებმა სამცხის გავლით იმერეთში ილაშქრეს. სამცხის ათაბაგმა საკუთარი სამფლობელო აწიოკებისაგან რომ ეხსნა, მათ მორჩილება გამოუცხადა და იმერეთისკენ გზა გაუთავისუფლა. ოსმალებმა აიღეს ქუთაისი, გადანვეს ბაგრატის და გელათის ტაძრები...

იმერეთის მეფე ბაგრატმა (1510-1565 წწ.) მტერს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ჯარით მიუვალ ციხეებში გამაგრდა. თურქებს გაუჭირდათ მთავგორიან, ძნელად გასასვლელი ხეობებით დაღარულ იმერეთში ლაშქრობა და იქაურობას მალევე გაეცალნენ.

XVII საუკუნის დასაწყისიდანვე აფხაზეთის, გურიისა და სამეგრელოს მთავრებმა, ხოლო უფრო მოგვიანებით იმერეთის მეფემაც ოსმალეთისათვის ყოველწლიურად ხარკის მიცემა იკისრეს.

ოსმალებმა მოხერხებულად გამოიყენეს შინაფეოდალური აშლილობა, რომელმაც XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა. ისინი ყოველწლიურად უწყობდნენ ხელს შინაფეოდალური ომების გაღვივებას. დაკავებული ციხეები მათ დატყვევებული ქართველებით ვაჭრობის ბუნაგებად გადააქციეს.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: ციხესიმაგრე, აშლილობა, ლაშქრობა, წინააღმდეგობა, დედოფალი, ველი, დაიჭრა

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის გამეფდა ლუარსაბ I?

როდის გაიმართა გარისის ბრძოლა?

ვინ მეთაურობდა ქართველთა ლაშქარს გარისის ბრძოლაში?

რომელ წელს გახდა მეფე სიმონ I?

როდის დაატყვევეს სიმონ მეფე?

რომელ წელს დაიწყო ომი ირანსა და ოსმალეთს შორის?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

წინააღმდეგობის, ათაბაგმა, ილაშქრეს, ქართლში, შეიჭრა, ჯავახეთი, მომხრე, გაემაგრებინა

1527 წელს ლუარსაბ I გამეფდა. ყიზილბაშებმა რამდენჯერმე ქართლში, აიღეს და დაარბიეს თბილისი. ლუარსაბმა გადაწყვიტა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ზღუდე, ამიტომ დაიკავა და სამცხე-არტაანის დიდი ნაწილი. სამცხის დახმარებისათვის შაჰ თამაზს მიმართა. შაჰი სომხეთის გამოვლით სწრაფად ჯავახეთში, ააოხრა და გაძარცვა ციხესიმაგრეები, დახოცა ლუარსაბის თავადები. ლუარსაბის დასაძლევად შაჰ თამაზი მთელი თავისი ძალებით შეიჭრა ქართლში.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (აანწყვეთ) წინადადებები:

დაიწყო 1578 წელს ირანსა და შორის ომი ოსმალეთს

გაუწია დაუღ-ხანმა წინააღმდეგობა ვერ ჯეროვანი ოსმალებს

გაათავისუფლა ირანის ტყვეობიდან შაჰმა სიმონი

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

გადააწყდა, დაიჭრა, თვალს, მეთაურობდა

ქართველთა ლაშქარს უფლისწული სიმონი

ხანდაზმული მეფე ბრძოლის ველს გორაკიდან ადევნებდა

უკუქცეული მტრის ერთი რაზმი შემთხვევით ლუარსაბ მეფის მცირერიცხოვან ბანაკს

ხელჩართულ ბრძოლაში მეფე სასიკვდილოდ

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|----------------|---------------|
| ა. ადევნებს | ველი |
| ბ. სასიკვდილოდ | ციხე |
| გ. ბრძოლის | თვალს |
| დ. ჯეროვანი | გაუთავისუფლა |
| ე. გზა | წინააღმდეგობა |
| ვ. მიუვალი | დაიჭრა |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიცოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |

თემა 25. ქართლისა და კახეთის სამეფოები XVII საუკუნის დასაწყისში

1603 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ომი განახლდა. ირანის შაჰმა აბას I-მა თურქები რამდენჯერმე დაამარცხა და აღმოსავლეთ კავკასიაში დაკარგული პოზიციები აღიდგინა.

1614 წელს შაჰ-აბასმა კახეთში ილაშქრა და **თეიმურაზი** თავისთან იხმო. თეიმურაზმა შაჰს მძევლებად დედამისი, **ქეთევან დედოფალი**, და შვილები გაუგზავნა, თვითონ კი იმერეთში გაიხიზნა.

განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა შაჰ აბასმა 1616 წლის ლაშქრობისას, რომელიც ყიზილბაშების წინააღმდეგ კახეთის აჯანყებას მოჰყვა. აბას I-მა კახეთის სოფლები მიწასთან გაასწორა. აოხრებული ქვეყანა შაჰმა ფეიქარ ხანს ჩააბარა. შაჰ-აბასმა თეიმურაზის ოჯახზეც იძია შური. წამებით გარდაიცვალნენ ირანში მძევლებად მყოფი მეფის შვილები. შაჰმა ქეთევან დედოფალს ისლამის მიღება მოსთხოვა. დედოფალმა არ უარყო ქრისტიანობა და 1624 წლის 12 სექტემბერს მონაშენებრივად აღესრულა. მისი წმინდა ნაწილები კათოლიკე ბერებმა ინდოეთის, ბელგიის და ვატიკანის ტაძრებში დაკრძალეს. ქეთევანის წმინდა ნაწილები მათ საქართველოშიც ჩამოიტანეს. მართლმადიდებელმა და კათოლიკურმა ეკლესიებმა ქეთევან დედოფალი წმინდანად შერაცხეს.

დაუნდობლად გაუსწორდა შაჰ-აბასი ქართლის მეფე **ლუარსაბ II**-საც. მან მეფე ირანში მიიწვია, დიდი პატივით მიიღო, ბოლოს კი გამაჰმადიანება მოსთხოვა. მეფე ქრისტიანობის დათმობას არ აპირებდა. შაჰის ბრძანებით ლუარსაბს თავი მოჰკვეთეს. ქართულმა ეკლესიამ ლუარსაბ II წმინდანად შერაცხა.

1609 წელს ქართლში ოსმალები შემოიჭრნენ.

გიორგი სააკაძე თბილისისა და დეკლეთის მოურავი იყო. მეფე ლუარსაბმა მისი და თეკლე შეირთო ცოლად. თეკლეს გადედოფლებამ კიდევ უფრო გაზარდა გიორგის გავლენა სამეფოში, რაც ბევრ თავადში შურს აღძრავდა. მოშურნეებმა მეფეს ჩააგონეს, თითქოს სააკაძეს მისი მოკვლა და ქართლში გამეფება სურდა. ლუარსაბმა ირწმუნა ბრალდება. საიდუმლო თათბირზე გადაწყვიტეს - სააკაძე სანადიროდ მიეწვიათ და მოეკლათ. ეს გაიგო გიორგიმ და ცოლ-შვილიანად ირანში გადაიხვეწა.

1625 წელს შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთის საბოლოოდ დასამორჩილებლად მორიგი ლაშქრობა წამოიწყო. მარტყოფის ველზე დაბანაკებულ მრავალრიცხოვან ჯარს ყარჩიხა-ხანი სარდლობდა, მის მრჩევლად კი **გიორგი სააკაძე** დანიშნეს. შაჰ-აბასი ბოლომდე მაინც არ ენდობოდა სააკაძეს და მძევლად მისი შვილი **ჰაატა** დაიტოვა. სააკაძე ფარულად დაუკავშირდა ქართველ თავადებს და მათთან ერთად ირანელების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა შეიმუშავა. 25 მარტს, უთენია, გიორგი სააკაძემ, მისმა უფროსმა შვილმა **ავთანდილმა** და რამდენიმე თანმხლებმა მოულოდნელი თავდასხმით ყარჩიხა-ხანი და სხვა სარდლები მოკლეს. ამასობაში უმეტაუროდ დარჩენილ ყიზილბაშების ბანაკს ქართული ჯარი მოადგა და გაანადგურა. გამარჯვებულმა ქართველებმა ქართლ-კახეთი ყიზილბაშებისგან განმინდეს და მეფედ იმერეთში გადახვეწილი თეიმურაზ I მოიწვიეს.

შაჰ-აბასის ბრძანებით, გიორგი სააკაძის ვაჟს ჰაატას თავი მოჰკვეთეს, ქართლ-კახეთის ამოსაგდებად კი ირანელებმა 1625 წელსვე ახალი ლაშქრობა მოაწყვეს. ბრძოლა 1 ივლისს მარაბდის ველზე გაიმართა. თავიდან ქართველებმა მიაღწიეს წარმატებას, მტერი უკუაქციეს და ალაფის განაწილებას შეუდგნენ. ირანელთა სარდალმა ყორჩიხაშმა გაქცეული მებრძოლები შეკრიბა და მარაბდისკენ შემოატრიალა. მათ დამხმარე ძალაც მოუვიდათ. ქართველების

თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, მარაბდის ბრძოლაში გამარჯვება ირანელებს დარჩათ.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: ლაშქრობა, გეგმა, ალაფი, გაანადგურა, გამეფება, წარმატება, გამარჯვება

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის განახლდა ომი ირანსა და ოსმალეთს შორის?

რომელ წელს იხმო შაჰ აბასმა თეიმურაზ მეფე თავისთან?

ვინ გაუგზავნა თეიმურაზმა შაჰს მძევლებად?

როგორ აღესრულა ქეთევან დედოფალი?

ვინ იყო გიორგი სააკაძე?

როდის გაიმართა მარაბდის ბრძოლა?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

წინააღმდეგობის, ალაფის, მარაბდის, სარდალმა, ქართველებმა, დამხმარე, ლაშქრობა, შაჰ-აბასის

..... ბრძანებით, გიორგი სააკაძის ვაჟს ჰაატას თავი მოკვეთეს, ქართლ-კახეთის ამოსაგდებად კი ირანელებმა 1625 წელსვე ახალი მოაწყვეს. ბრძოლა 1 ივლისს ველზე გაიმართა. თავიდან მიაღწიეს წარმატებას, მტერი უკუაქციეს და განაწილებას შეუდგნენ. ირანელთა ყორჩიბაშმა გაქცეული მებრძოლები შეკრიბა და მარაბდისკენ შემოატრიალა. მათ ძალაუ მოუვიდათ. ქართველების თავგანწირული მიუხედავად, მარაბდის ბრძოლაში გამარჯვება ირანელებს დარჩათ.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

იყო გიორგი დვალეთის სააკაძე თბილისისა და მოურავი

თეკლე ცოლად მეფე მისი და შეირთო ლუარსაბმა

ცოლ-შვილიანად ეს ირანში გაიგო და გადაიხვეწა გიორგიმ

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

შეიმუშავა, დაიტოვა, სარდლობდა, წამოიწყო

1625 წელს შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთის საბოლოოდ დასამორჩილებლად მორიგი ლაშქრობა

მარტყოფის ველზე დაბანაკებულ მრავალრიცხოვან ჯარს ყარჩიხა-ხანი

შაჰ-აბასი ბოლომდე მაინც არ ენდობოდა სააკაძეს და მძევლად მისი შვილი ჰაატა

საკაძე ფარულად დაუკავშირდა ქართველ თავადებს და მათთან ერთად ირანელების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა

თემა 26. ქართული სამეფოები XVII საუკუნის II ნახევარში

ირანის შაჰმა სეფი I-მა ქართლის მმართველად გამუსლიმებული როსტომ ხანი დაამტკიცა (1632-1658 წწ.) და თან ირანული ჯარისკ გამოაყოლა.

სათანადო მხარდაჭერას მოკლებულმა თეიმურაზ I-მა როსტომს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და კახეთში გადავიდა. როსტომ ხანმა ქართლში სწრაფად განიმტკიცა პოზიციები. მონინააღმდეგეთა ნაწილს ირანული ჯარით გაუსწორდა, სხვები კი შემოირიგა.

როსტომმა ქართლში აღმშენებლობითი საქმიანობაც გააჩაღა: კეთილმოეწყო სავაჭრო გზები, თბილისში აიგო სამეფო სასახლე და ქარვასლები, მდინარე მტკვარზე გაიღო ხიდი, აღადგინეს ადრინდელი და გაიყვანეს ახალი სარწყავი არხები.

როსტომ ხანი არ დევნიდა ქრისტიანობას. ის ხელსაც კი უწყობდა მეუღლეს, მარიამ დედოფალს, დანგრეული ეკლესიების აღდგენაში. ამავე დროს, როსტომი მტკიცედ იცავდა მუსლიმურ წესებს, აშენებდა მეჩეთებს, სამეფო კარზე აწინაურებდა მუსლიმ ქართველებს.

1648 წელს როსტომმა, შაჰის ბრძანებით, კახეთიც შეიერთა, თუმცა დროებით. 1656 წელს შაჰმა კახეთი განჯის ხანს გადასცა და აქ თურქმანების ჩამოსახლება დაავალა. ირანელებმა სავანგებოდ გაამაგრეს ბახტრიონის ციხე, ციხესიმაგრედ აქციეს ალავერდის ტაძარი.

კახელები ზაალ არაგვის ერისთავის ხელმძღვანელობით აჯანყებისთვის ემზადებოდნენ. კახელთა საბრძოლველად დარაზმვა ბიძინა ჩოლოყაშვილს დაევალა, ხოლო შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებმა ქართლელთა ლაშქარი დაახმარა აჯანყებულებს. კახელებს შეუერთდნენ მთიელებიც.

აჯანყებულებმა 1659 წელს ალავერდზე მიიტანეს იერიში, იმავდროულად თუშ-ფშავ-ხევსურებმა ბახტრიონის ციხეს შეუტყეს. თავზარდაცემული ირანელები ბრძოლის მაგიერ თავის გადარჩენაზე ფიქრობდნენ.

ბახტრიონის აჯანყებამ კახეთი გაყიზილბაშების საფრთხისაგან იხსნა. შაჰის მრისხანების დასაცხრობად აჯანყების მოთავეები ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები თავიანთი ნებით წავიდნენ ირანში.

შაჰმა ისინი ბახტრიონის აჯანყების დროს დაღუპული თურქმანების თანატომელებს გადასცა დასასჯელად. გადმოცემის მიხედვით, ბიძინა ჩოლოყაშვილი ირანში მყოფ კათოლიკეებს დაუკრძალავთ. შალვა და ელიზბარ ერისთავების ნეშტი კი მათი ოჯახის წევრებმა სამშობლოში გადმოასვენეს და იკორთის მონასტერში დაკრძალეს. საქართველოს ეკლესიამ წამებულები წმინდანებად შერაცხა.

როსტომ-ხანი უმემკვიდრეოდ გარდაიცვალა. შაჰმა ქართლის ტახტზე გამუსლიმანებული ვახტანგ V (შაჰნავაზი) დაამტკიცა.

ვახტანგმა V-მ ირანის კრიზისული მდგომარეობით ისარგებლა და საქართველოს გაერთიანებისათვის ენერგიული მოქმედება დაიწყო – დაიკავა ქუთაისი და იმერეთის მნიშვნელოვანი ციხესიმაგრეები, ილაშქრა სამეგრელოსა და აფხაზეთში, გურიის მთავარმა კი მას ნებაყოფლობით გამოუცხადა ერთგულება.

XVII საუკუნის ბოლოსთვის ქართლში გიორგი XI მეფობდა. ის ცდილობდა, არ ყოფილიყო ირანზე დამოკიდებული.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: მოთავე, პოზიცია, იერიში, დაიკავა, დაკრძალეს, ნეშტი, ერთგულება

3. უპასუხეთ კითხვებს:

რომელ წლებში მეფობდა როსტომ ხანი?

რომელ წელს მოხდა ბახტრიონის აჯანყება?

ვინ იყვნენ ბახტრიონის აჯანყების მეთაურები?

ვინ გახდა როსტომ ხანის შემდეგ ქართლის მეფე?

ვინ მეფობდა XVII საუკუნის ბოლოსთვის ქართლში?

როგორი იყო გიორგი XI-ის პოლიტიკა?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

ხიდი, დევნიდა, სასახლე, სარწყავი, დანგრეული, სავაჭრო, სამეფო, აღმშენებლობითი

როსტომმა ქართლში საქმიანობაც გააჩაღა: კეთილმოეწყო გზები, თბილისში აიგო სამეფო და ქარვასლები, მდინარე მტკვარზე გაიღო....., აღადგინეს ადრინდელი და გაიყვანეს ახალი არხები. როსტომ ხანი არ ქრისტიანობას. ის ხელსაც კი უწყობდა მეუღლეს, მარიამ დედოფალს ეკლესიების აღდგენაში. ამავე დროს როსტომი მტკიცედ იცავდა მუსლიმურ წესებს, აშენებდა მეჩეთებს, კარზე აწინაურებდა მუსლიმ ქართველებს.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

მიიტანეს ალავერდზე აჯანყებულებმა იერიში 1659 წელს

დაამტკიცა შაჰმა ქართლის ვახტანგ V ტახტზე

თავის თავზარდაცემული ფიქრობდნენ ირანელები გადარჩენაზე

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

შერაცხა, დაუკრძალავთ, გადმოასვენეს, დასასჯელად

შაჰმა ისინი ბახტრიონის აჯანყების დროს დაღუპული თურქმანების თანატომელებს გადასცა

გადმოცემის მიხედვით, ბიძინა ჩოლოყაშვილი ირანში მყოფ კათოლიკეებს

შალვა და ელიზბარ ერისთავების ნეშტი მათი ოჯახის წევრებმა სამშობლოში

საქართველოს ეკლესიამ წამებულები წმინდანებად

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|-------------|-----------|
| ა. სავაჭრო | უწყობს |
| ბ. სარწყავი | გადარჩენა |
| გ. მიიტანა | წევრები |
| დ. თავის | არხები |
| ე. ოჯახის | იერიში |
| ვ. ხელს | გზები |

თემა 27.ვახტანგ VI

1703 წელს ირანის შაჰმა ქართლის მმართველად დანიშნა ვახტანგ VI. ვახტანგ VI იყო ქართლის მეფის გიორგი XI-ის ძმისწული.

ვახტანგმა ქვეყნის გასაძლიერებლად გაატარა ღონისძიებები. წესრიგის განსამტკიცებლად ვახტანგმა ძველი ქართული სამართლის ძეგლები ერთ კრებულად შეკრა და თავისი კანონებიც დაურთო. ვახტანგის სამართალი მთელ საქართველოში მოქმედებდა.

ვახტანგი სამეცნიერო, ლიტერატურულ და მთარგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. სპარსულიდან თარგმნა ასტრონომიული წიგნები და თავადაც შექმნა კალენდარული ხასიათის ნაშრომები. სპარსულიდანვე თარგმნა პოპულარული თხზულება „ქილილა და დამანა“.

1709 წელს თბილისში პირველი ქართული სტამბა დაარსდა. ამ საქმეში ვახტანგ VI-ს რუმინეთში მოღვაწე ქართველი ბერი - ანთიმოზ ივერიელი - დაეხმარა. სტამბა მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ანჩისხატისა და სიონის ტაძრებს შორის აიგო. ჩვენამდე ოცმა ნაბეჭდმა წიგნმა მოაღწია. მათი უმრავლესობა სასულიერო ხასიათისაა (ბიბლია, სახარება, დავითნი და სხვა). 1712 წელს ვახტანგ VI-ის რედაქციითა და კომენტარებით გამოიცა პირველი ბეჭდური „ვეფხისტყაოსანი“.

ვახტანგ VI-ის დროს მოღვაწეობდა სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც დაწერა იგავ-არაკების კრებული „სიბრძნე-სიცრუისა“. მანვე მრავალწლიანი შრომის შედეგად შეადგინა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც.

1709 წელს ქართლის მეფე გიორგი XI აჯანყებულმა ავღანელებმა მოკლეს. ირანის შაჰმა ვახტანგს ქართლში გასამეფებლად ისლამის მიღება მოსთხოვა. ვახტანგმა ქრისტიანობის დათმობაზე უარი განაცხადა, რის გამოც ის დაატყვევეს.

რამდენიმეწლიანი ტყვეობის შემდეგ (1719 წელს) იძულებით გამაჰმადიანებული ვახტანგ VI ქართლში დაბრუნდა.

ირანის მფლობელობაში არსებული კასპისპირეთის მიმართ სულ უფრო მეტ ინტერესს ამჟღავნებდა რუსეთი. კასპისპირეთის ხელში ჩაგდება თურქეთსაც სურდა. ასეთ ვითარებაში მეტოქე სახელმწიფოებისთვის კავკასიელი ხალხის მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამას რუსეთის ხელისუფლებაც ითვალისწინებდა და ირანთან მომავალ ომში ქართლის სამეფოსთან სამხედრო კავშირის დამყარებას ცდილობდა.

1722 წელს დაწყებულ ირან-რუსეთის ომში ვახტანგ VI-მ რუსეთის მხარე დაიჭირა და 40000-იანი ჯარით განჯასთან დაბანაკდა. სამთვიანი ლოდინის შემდეგ ქართლის მეფემ შეიტყო, რომ რუსეთს ირანთან ზავი დაედო და კავკასიაში ლაშქრობა შეწყვიტა. 1723 წელს ირანის შაჰმა ქართლი კახეთის მაჰმადიან მეფე კონსტანტინეს უბოძა, რომელმაც ლეკთა დაქირავებული ჯარით თბილისი აიღო. მალე აღმოსავლეთ საქართველოში თურქები შემოიჭრნენ.

ვახტანგსა და მის მომხრეებს სამშობლოში აღარ დაედგომებოდათ. სამხედრო დახმარების სათხოვნელად ვახტანგი, 1200 კაციანი ამალით, რუსეთში გაემგზავრა. 1724 წელს რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც თურქეთმა აღიარა კასპისპირეთის რუსეთთან შეერთება, რუსეთმა კი, თავის მხრივ, ცნო თურქეთის უფლებები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაზე, მათ შორის, ქართლზეც. ვახტანგი რუსეთში, ქალაქ ასტრახანში გარდაიცვალა, დაკრძალულია იქვე, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: დახმარება, ამაღლა, გარდაიცვალა, მოკლეს, სამხედრო, ინტერესი, ვითარება

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის დაინიშნა ქართლის მმართველად ვახტანგ VI?

როდის დაარსდა პირველი ქართული სტამბა?

როდის გამოიყა პირველი ბეჭდური „ვეფხისტყაოსანი“?

რომელ წელს დაიღუპა ქართლის მეფე გიორგი XI?

ვისი მხარე დაიჭირა 1722 წელს დაწყებულ ირან-რუსეთის ომში ვახტანგ VI-მ?

სად გარდაიცვალა ვახტანგ VI?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

სასულიერო, მარჯვენა, რუმინეთში, კომენტარებით, ნაბეჭდმა, სტამბა

1709 წელს თბილისში პირველი ქართული დაარსდა. ამ საქმეში ვახტანგ VI-ს მოღვაწე ქართველი ბერი _ ანთიმოზ ივერიელი დაეხმარა. სტამბა მტკვრის სანაპიროზე, ანჩისხატისა და სიონის ტაძრებს შორის აიგო. ჩვენამდე ოცმა წიგნმა მოაღწია. მათი უმრავლესობა ხასიათისაა (ბიბლია, სახარება, დავითნი და სხვა). 1712 წელს ვახტანგ VI-ის რედაქციითა და გამოიცა პირველი ბეჭდური „ვეფხისტყაოსანი“.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

მოღვაწეობდა ვახტანგ VI-ის სულხან-საბა ორბელიანი დროს

მოკლეს ავღანელებმა 1709 წელს ქართლის გიორგი XI აჯანყებულმა მეფე

შაჰმა გასამეფებლად ვახტანგს ირანის ქართლში მიღება მოსთხოვა ისლამის

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ჰქონდა, სურდა, ცდილობდა, რუსეთი

ირანის მფლობელობაში არსებული კასპისპირეთის მიმართ სულ უფრო მეტ ინტერესს ამჟღავნებდა

კასპისპირეთის ხელში ჩაგდება თურქეთსაც

მეტოქე სახელმწიფოებისთვის კავკასიელი ხალხის მხარდაჭერას განსაკუთრებული მნიშვნელობა

რუსეთი ირანთან მომავალ ომში ქართლის სამეფოსთან სამხედრო კავშირის დამყარებას

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|-------------|--------------|
| ა. უარი | ლექსიკონი |
| ბ. ინტერესს | ხელშეკრულება |
| გ. კავშირის | დადება |
| დ. ზავის | დამყარება |
| ე. დაიღო | ამჟღავნებს |
| ვ. შეადგინა | განაცხადა |

თემა 28. ქართული სამეფოები XVIII საუკუნის II ნახევარში

ქართველი პოლიტიკოსები ირან-ოსმალეთისაგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებას რუსეთის დახმარებით ცდილობდნენ. რუსეთისაგან სამხედრო დახმარების მიღების მოლოდინში **თეიმურაზ II** 1762 წელს პეტერბურგში გარდაიცვალა (დაკრძალულია ასტრახანში, **ვახტანგ VI-ის** გვერდით). მამის გარდაცვალების შემდეგ **ერეკლე II-მ** ქართლი და კახეთი ერთ სამეფოდ გააერთიანა.

XVIII საუკუნის II ნახევარში გაძლიერდა იმერეთის სამეფოც. **სოლომონ I-მა** (1752-1784 წწ.) დაამარცხა მოწინააღმდეგე ფეოდალები და მომხრე თავად-აზნაურებზე დაყრდნობით მნიშვნელოვნად განიმტკიცა ძალაუფლება. გაჩანაგებული მეურნეობის აღდგენის მიზნით სოლომონ I-მა გადასახადებისგან გაათავისუფლა გლეხობის დიდი ნაწილი. მეფის ხელისუფლების გაძლიერებას ვერ ეგუებოდა ოსმალეთი. სულთნის ბრძანებით ახალციხის ფაშა იმერეთს შეესია. რაჭის ერისთავი **როსტომი** და მისი მოკავშირე იმერელი თავადები ოსმალებს მიემხრნენ. ბრძოლა 1757 წელს ხრესილთან გაიმართა და სოლომონის გამარჯვებით დასრულდა. 1758 წელს სოლომონ I-მა, ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ გარეშე მტრების წინააღმდეგ ურთიერთდახმარების ხელშეკრულება დადეს.

სოლომონ I-ს მემკვიდრე არ ჰყავდა. მან სიცოცხლეშივე გამოაცხადა ერეკლე II-ის შვილიშვილი **დავითი** იმერეთის მომავალ მეფედ. ამის მიუხედავად, სოლომონის გარდაცვალებისთანავე (1784 წ.), ტახტის დასაუფლებლად შიდაბრძოლები დაიწყო. იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს წარმომადგენლებმა ქართლ-კახეთის მეფეს, ერეკლეს, სთხოვეს გაეერთიანებინა საქართველო. ერეკლე მეფემ უარი თქვა დასავლეთ საქართველოს შემოერთებაზე და იმერეთში საკუთარი შვილიშვილი გაამეფა.

XVIII საუკუნის 80-იანი წლებში საქართველოს საკითხმა რუსეთის პოლიტიკურ წრეებში კიდევ მეტი აქტუალობა შეიძინა. ეკატერინე II-მ ერეკლესთან მოლაპარაკებების წარმოება გამოცდილ პოლიტიკოსს, გენერალ პოტიომკინს დაავალა. 1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის მფარველობითი ხელშეკრულება („გეორგიევსკის ტრაქტატი“) გაფორმდა. „ტრაქტატის“ მიხედვით:

- ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შედიოდა.
- რუსეთი დაიცავდა მას გარეშე მტრებისგან.
- ერეკლეს მემკვიდრეებს რუსეთის იმპერატორი ამტკიცებდა და სამეფო ნიშნებს: გვირგვინს, სიგელს და დროშას უგზავნიდა. ამ დროშაზე რუსეთის იმპერიის გერბი უნდა ყოფილიყო გამოსახული, ძველი ქართული გერბი კი მასში ჩახატული.
- რუსეთის მთავრობა არ ჩაერეოდა ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში.
- ქართველი თავად-აზნაურები წოდებრივად უთანაბრდებოდნენ რუს თავადებს. ქართველ ვაჭრებს კი რუსეთში თავისუფალი ვაჭრობის უფლება და საგადასახადო შეღავათები ეძლეოდათ.
- რუსეთი ერეკლე მეორეს ჰპირდებოდა, რომ დაუბრუნებდა ირანის და თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს.

რუსეთის მფარველობაში შესვლით ქართლ-კახეთის საგარეო მდგომარეობა უკიდურესად გართულდა. ირანი, ოსმალეთი და მათი გავლენის ქვეშ მყოფი ისლამური სახანოები არ მალავდნენ თავიანთ მტრულ ზრახვებს ქართული სახელმწიფოს მიმართ.

1794 წელს ირანის მმართველობა ხელთ იგდო ყაჯართა საგვარეულოს წარმომადგენელმა, აღა-მაჰმად ხანმა. მან ერეკლეს რუსეთთან კავშირის განწყვეტა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეფოს აოხრებით დაემუქრა. რუსეთის მთავრობა ერეკლეს სამხედრო დახმარებას

დაჰპირდა. ალა-მაჰმად ხანი 35 ათასიანი ჯარით სწრაფად მოადგა ქართლ-კახეთის საზღვრებს. რუსეთისაგან შეპირებული ჯარი არსად ჩანდა. სახელდახელოდ შეკრებილი ქართული ლაშქარი მხოლოდ ხუთი ათას კაცს ითვლიდა. აქედან თითქმის ნახევარი იმერეთის მეფეს, სოლომონ II-ს გამოეგზავნა ერეკლეს დასახმარებლად. 1795 წლის 10 სექტემბერს ირანელებმა თბილისზე პირველი იერიში მიიტანეს. ქართველებმა იერიში მოიგერიეს და ირანელებს საგრძნობი ზარალი მიაყენეს. ალა-მაჰმად ხანი უკან გაბრუნებასაც აპირებდა, მაგრამ ქართველთა მცირერიცხოვნობა შეიტყო და 11 სექტემბერს თბილისისთვის ბრძოლა განაახლა. ირანელთა ჯარის სიმრავლემ საბოლოოდ გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. მხლებლებმა ერეკლე II-ს ძალით დაატოვებინეს აღმოდებული თბილისი. სიცოცხლის ბოლო სამი წელი ერეკლემ თელავში გაატარა და 1798 წელს, 78 წლის ასაკში, იქვე გარდაიცვალა. დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: მფარველობა, მტერი, ზარალი, აოხრება, საზღვარი, მითაცხებული, პოლიტიკოსი

3. უპასუხეთ კითხვებს:

რომელ წელს გაიმართა ხრესილის ბრძოლა?

ვინ გამოაცხადა სოლომონ მეფემ იმერეთის მომავალ მეფედ?

რომელ წელს დაიდო გეორგიევსკის ტრაქტატი?

რომელ წელს შემოესია ალა-მაჰმად ხანი თბილისს?

სად გაატარა სიცოცხლის ბოლო წლები ერეკლე II -მ?

როდის გარდაიცვალა ერეკლე II?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

შეპირებული, დასახმარებლად, სამხედრო, ჯარით, ლაშქარი, ირანელებმა, აოხრებით, რუსეთთან

ალა-მაჰმად ხანმა ერეკლეს კავშირის განწყვეტა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეფოს დაემუქრა. რუსეთის მთავრობა ერეკლეს დახმარებას დაჰპირდა. ალა-მაჰმად ხანი 35 ათასიანი სწრაფად მოადგა ქართლ-კახეთის საზღვრებს. რუსეთისაგან ჯარი არსად ჩანდა. სახელდახელოდ შეკრებილი ქართული მხოლოდ ხუთი ათას კაცს ითვლიდა. აქედან თითქმის ნახევარი იმერეთის მეფეს, სოლომონ II-ს გამოეგზავნა ერეკლეს..... 1795 წლის 10 სექტემბერს თბილისზე პირველი იერიში მიიტანეს.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

მდგომარეობა გართულდა რუსეთის შესვლით ქართლ-კახეთის მფარველობაში

მმართველობა საგვარეულოს 1794 ხელთ წელს ირანის იგდო წარმომადგენელმა ყაჯართა

განწყვეტა ალა-მაჰმად რუსეთთან კავშირის ხანმა მოსთხოვა ერეკლეს

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

შემოერთებაზე, დაინყო, საქართველო, მეფედ

მან სიცოცხლეშივე გამოაცხადა ერეკლე II-ის შვილიშვილი დავითი იმერეთის მომავალ
.....
სოლომონის გარდაცვალებისთანავე ტახტის დასაუფლებლად შიდაბრძოლები
.....

თემა 29. ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმება

ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი გიორგი XII-მ დაიკავა (1798-1800 წწ.). გიორგის მეფობა ხანმოკლე და რთული აღმოჩნდა.

ირანი კვლავ ცდილობდა საკუთარი გავლენის ქვეშ მოექცია ქართლ-კახეთის სამეფო. შექმნილი ვითარებიდან გამოსავალს მეფე რუსეთთან კავშირის გაღრმავებაში ხედავდა.

რუსეთის ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა გიორგი XII-ის სურვილი შეზღუდული თვითმმართველობის უფლებით შეენარჩუნებინა სამეფო ხელისუფლება. იმპერატორ პავლე I-ს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება. რუსეთში ამ გეგმის განსახორციელებლად მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს - გიორგი XII-ის გარდაცვალებას ელოდნენ.

გიორგი მეფის გარდაცვალებიდან მალევე, 1801 წლის 18 იანვარს, იმპერატორმა პავლე I-მა გამოსცა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ. მალე იმპერატორი შეთქმულებმა მოკლეს. ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დაავალა საგანგებოდ განეხილა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების საკითხი. სახელმწიფო საბჭომ მხარი დაუჭირა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას. საბჭოს მხოლოდ სამმა წევრმა - ვორონცოვმა, კოჩუბეიმ და ჩარტორიისკიმ - არ დაუჭირეს მხარი ამ გადაწყვეტილებას. 1801 წლის 12 სექტემბერს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა განაახლა პავლე I-ის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ.

აღმოსავლეთ საქართველოს შეერთების შემდეგ რუსეთის წინაშე იმერეთის სამეფოს გაუქმების საკითხი დადგა. რუსეთის ხელისუფლება კარგად სარგებლობდა იმერეთის სამეფოში შექმნილი ვითარებით - მეფესა და მთავრებს შორის დაპირისპირებით და ამ უკანასკნელთა გადაბირებას ცდილობდა. 1803 წელს სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა რუსეთის ქვეშევრდომობა აღიარა. ამიერიდან გრიგოლ დადიანი (და მისი მემკვიდრეები), ნაცვლად იმერეთის მეფისა, საქართველოს მთავარსარდალს ან მის მიერ სამეგრელოში მივლინებულ მოხელეს უნდა დამორჩილებოდა.

სამეგრელოს შეერთების პარალელურად რუსეთის ხელისუფლება სოლომონ მეორესთანაც განაგრძობდა მოლაპარაკებებს.

1810 წელს რუსებმა სოლომონ II მოტყუებით (თითქოს მოსალაპარაკებლად იწვევდნენ) დააპატიმრეს, თბილისში ჩაიყვანეს და იმერეთის სამეფო გაუქმებულად გამოაცხადეს. მსახურის ტანსაცმელში გამოწყობილმა სოლომონმა მოახერხა ტყვეობისგან თავის დაღწევა და ერთგული თავადების თანხლებით ახალციხის საფაშოში გადავიდა. იმერეთში რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ვარკვეული წარმატების მიუხედავად, აჯანყება მარცხით დასრულდა. სოლომონ II ახალციხიდან თურქეთში, ქალაქ ტრაპიზონში, გადავიდა, სადაც 1815 წელს გარდაიცვალა. 1990 წელს სოლომონ II-ის ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და გელათის ტაძარში დაკრძალეს.

ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების შეერთების შემდეგ, 1811 წელს, რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა. კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II თანამდებობიდან გადააყენა და რუსეთში, ქალაქ ნიჟნი-ნოვგოროდში გადაასახლა. საქართველოს ეკლესიის მმართველად ეგზარქოსი დაინიშნა.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: გაუქმება, შეერთება, მოლაპარაკება, მანიფესტი, საბჭო, აღიარა, დაინიშნა

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის ავიდა სამეფო ტახტზე სამეფო ტახტი გიორგი XII?

როდის გამოვიდა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ?

როდის აღიარა სამეგრელოს მთავარმა გრიგოლ დადიანმა რუსეთის ქვეშევრდომობა?

როდის გარდაიცვალა სოლომონ II?

რომელ წელს გააუქმა რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია?

ვინ დაინიშნა საქართველოს ეკლესიის მმართველად კათალიკოს-პატრიარქის ნაცვლად?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

შეერთების, სამეფოს, მანიფესტი, სახელმწიფო, იმპერატორმა, გაუქმებისა, გადაწყვეტილებას, გარდაცვალებიდან

გიორგი მეფის მალევე, 1801 წლის 18 იანვარს, ჰავლე I-მა გამოსცა ქართლ-კახეთის სამეფოს და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ. მალე იმპერატორი შეთქმულებმა მოკლეს. ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა რუსეთის საბჭოს დაავალა საგანგებოდ განეხილა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან საკითხი. სახელმწიფო საბჭომ მხარი დაუჭირა ქართლ-კახეთის გაუქმებას. საბჭოს მხოლოდ სამმა წევრმა არ დაუჭირეს მხარი ამ

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

საკითხი იმერეთის გაუქმების რუსეთის წინაშე სამეფოს დადგა

შექმნილი იმერეთის ხელისუფლება რუსეთის სარგებლობდა სამეფოში ვითარებით კარგად

სამეგრელოს ქვეშევრდომობა 1803 წელს მთავარმა დადიანმა რუსეთის ალიარა გრიგოლ

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

დასრულდა, გადავიდა, დაიწყო, დაღწევა

მსახურის ტანსაცმელში გამოწყობილმა სოლომონმა მოახერხა ტყვეობისგან თავის
იმერეთში რუსული მმართველობის წინააღმდეგ აჯანყება
გარკვეული წარმატების მიუხედავად აჯანყება მარცხით
სოლომონ II ახალციხიდან თურქეთში, ქალაქ ტრაპიზონში

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|---------------|---------------|
| ა. გეგმის | დადგა |
| ბ. თავის | საბჭო |
| გ. სახელმწიფო | დაღწევა |
| დ. მხარი | დასრულდა |
| ე. საკითხი | დაუჭირა |
| ვ. მარცხით | განხორციელება |

თემა 30. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა

1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ რუსეთში თანდათან მწვავდებოდა პოლიტიკური კრიზისი. 1917 წლის 25 ოქტომბერის გადატრიალების შედეგად რუსეთში საბჭოთა წყობილებამ გაიმარჯვა.

1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში მუშაობას შეუდგა სრულიად საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, რომელსაც 329 სრულუფლებიანი დელეგატი ესწრებოდა. ეროვნული ყრილობის თავმჯდომარეობა ნოე ჟორდანიას დაეკისრა.

ყრილობამ მოიწონა აღმასრულებელი კომიტეტის შექმნა. ეროვნული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ **ნოე ჟორდანია** აირჩიეს.

საქართველოს ეროვნული ყრილობა იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე.

1918 წლის 26 მაისს თურქეთმა ამიერკავკასიის ფედერაციულ მთავრობას წაუყენა ულტიმატუმი 72 საათის განმავლობაში გადაეწყვიტა ახალი საზღვრების, საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის ჯარების გატარების და სამხრეთ კავკასიაში რეფერენდუმის თაობაზე თანხმობის საკითხი.

ამიერკავკასიის სეიმი 26 მაისის დილის სხდომაზე დაიშალა. 5 საათისათვის კი დაინიშნა საქართველოს ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა. სხდომა ნოე ჟორდანიამ გახსნა განცხადებით: „მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მოწამე იყავით ერთი ისტორიულის და იმავე დროს ტრალიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს“.

მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ მან წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ და საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ ხელმოწერით ეროვნული საბჭოს წევრებმა და სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა დაადასტურეს.

აქტს ასზე მეტმა ეროვნულმა მოღვაწემ მოაწერა ხელი.

მეფისნაცვლის სასახლესთან, სადაც ეროვნული საბჭოს სხდომა ტარდებოდა, უამრავი ხალხი შეკრებილიყო.

დამსწრე საზოგადოებას დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი ივანე ზურაბიშვილმა გააცნო. ხალხი დიდი სიხარულით შეხვდა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენას. სახალხო ზეიმი გვიან ღამემდე გაგრძელდა.

ტექსტზე მუშაობა

1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და ტერმინები, მოიძიეთ ლექსიკონში და განმარტეთ:

| | |
|-------|-------|
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |
| ----- | ----- |

2. შეადგინეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით: *გადატრიალება, წყობილება, სეიმი, სხდომა, აქტი, დელეგატი, ყრილობა*

3. უპასუხეთ კითხვებს:

როდის გაიმართა სრულიად საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა?

რამდენი დელეგატი ესწრებოდა სრულიად საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას?

ვინ აირჩიეს ეროვნული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ?

როგორი მოვლენა იყო საქართველოს ეროვნული ყრილობა?

ვინ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა?

ვინ გააცნო დამსწრე საზოგადოებას დამოუკიდებლობის აქტის ტექსტი?

4. მრავალწერტილის ნაცვლად ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:

საფუძველი, გახსნა, სეიმი, ისტორიულის, საბჭოს, სახელმწიფო, სხდომაზე

ამიერკავკასიის 26 მაისის დღის დაიშალა. 5 საათისათვის კი დაინიშნა საქართველოს ეროვნული გაფართოებული სხდომა. სხდომა ნოე ჟორდანიამ განცხადებით: „მოქალაქენო! დღეს თქვენ აქ მონამე იყავით ერთი და იმავე დროს ტრალიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი და აი ახლა, ამავე დარბაზში, ეყრება მეორე სახელმწიფოს“.

5. წარმოდგენილია სიტყვათა არეული რიგი: გამართეთ (ააწყვეთ) წინადადებები:

აქტს ასზე ეროვნულმა მეტმა მოაწერა მოღვაწემ ხელი

აქტის საზოგადოებას ტექსტი ივანე დამოუკიდებლობის გააცნო ზურაბიშვილმა

ხალხი სახელმწიფოებრივი სიხარულით სუვერენიტეტის დიდი აღდგენას შეხვდა

6. დაასრულეთ წინადადებები შემდეგი სიტყვების გამოყენებით:

ულტიმატუმი, შექმნა, დაეკისრა, გზაზე

საქართველოს ეროვნული ყრილობა იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს დამოუკიდებლობის

თურქეთმა ამიერკავკასიის ფედერაციულ მთავრობას წაუყენა

ეროვნული ყრილობის თავმჯდომარეობა ნოე ჟორდანიას

ყრილობამ მოიწონა აღმასრულებელი კომიტეტის

7. დაუკავშირეთ ერთმანეთს ლოგიკური წყვილები:

- | | |
|-------------|-------------|
| ა. მოაწერა | თავმჯდომარე |
| ბ. წაუყენა | საზოგადოება |
| გ. ყრილობის | ხელი |
| დ. სხდომა | საფუძველი |
| ე. დამსწრე | ულტიმატუმი |
| ვ. ეყრება | გახსნა |

8. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი.

9. შეავსეთ ცხრილი:

| რა ვიცოდი | რა ვიცი | რა მინდა ვიყოდე |
|-----------|---------|-----------------|
| | | |